საერთო გაზეთი

№5 (317) ● 18 თებერვალი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

ლევან ვასაძე:

პირადად ჩემთვის ქართველობა ნიშნავს ნორმალურობას და ტრადიციული საზოგადოების ღირსეულ წევრობას, სადაც კაცი უნდა იყოს კაცი, ქალი უნდა იყოს ქალი...

„ვგავარ მფრთხალ კაცს? მე მეშინია იმის, რომ, თუ ასე გაგრძელდება, საქართველო წაილეკება ამ აგრესიული რელიგიით, რომელსაც ჰქვია დასავლური ლიბერალიზმი...“

ვახტანგ ხარჩილავა:

ვინ გამოაცხადებს საქართველოს მშვიდობის სახლად?

უკვე იმდენი რამე დაარეხვა **ირაკლი ალასანიამ**, ეჭვი გაჩნდა, რომ ამ დარეხვება-დარეხვებაში თვითონაც დაირეხვა...

კახა კუკავა:

სახელმწიფომ ყველაფრისთვის, რაც ბოლო 25 წლის მანძილზე მოხდა, ქართველ ხალხს ბოდიში უნდა მოუხადოს...

რამდენად სწორია ინფორმაცია, რომ **ირაკლი ფირცხალავამ** კაზინოში

200 000 do l a r i waago

და ოჯახი უსახლკაროდ დატოვა?

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

პატრიოტი

მსოფლიო ჯრჯასის მიხედვით

„პუტინისეული“ დაზავება – კიდევ ერთი საფყუარა მსოფლიოსთვის

მინსკში პუტინმა ბევრი რამ მოიგო: უკრაინა საზღვრის გაკონტროლებას მხოლოდ 2015 წლის ბოლოს თუ შეძლებს, სეპარატისტულ ოლქებს დაჰპირდნენ მნიშვნელოვან ავტონომიას, რომელსაც კონსტიტუცია გაამყარებს. დაზავების გადადებამ გააძლიერა დებალცევოს გარშემო ათასობით უკრაინელი ჯარისკაცის ალყა, გაზის წყალობით პუტინი უკრაინის ეკონომიკაზეც ბატონობს. პოროშენკო მაინც მართებულად მოიქცა, „მინსკი-2“ რომ მოიწონა და მერკელი და ოლანდი მართალი იყვნენ, როცა შეთანხმების გაფორმებას დაჟინებით მოითხოვდნენ.

T: აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების ოდნავ მაინც შენელება უკვე დიდი შედეგია, თუმცა თავს არავინ იმშვიდებს ილუზიით, რომ დაშოშმინება თითქოს სადღაც აქვეა.

პუტინს ხელში არაერთი „ძლიერი ბანქო“ აქვს. უკრაინის ეკონომიკაზე ზემოქმედებს გაზის ფაქტორით. რუსეთის მთლიანობის სამართლიანი დამცველის პოზა თანამოქალაქეებში მის რეიტინგს ამაღლებს. ის კვლავ უარყოფს, თითქოს კონფლიქტში უმთავრესი როლი არ აკისრიათ რუსეთის ძალებს და ამ თავხედური ფარისევლობის გამო მოლაპარაკებებზე ნდობას არ აღძრავს.

გამოცემა ურჩევს ევროკავშირსა და ამერიკას, ახლავე შეთანხმდნენ საერთო პოზიციაზე – „მკაფიოდ გააგებინონ პუტინს, რომ არსებული სანქციები მანამდე არ შერბილდება, ვიდრე „მინსკი-2“-ის პირობებს ბოლომდე არ შეასრულებს“.

The New York Times: დაზავების პირველსავე დღეს ჩრდილი მიადგა იმით, რომ კვირას აღმოსავლეთ უკრაინაში მომაკვდინებელი საარტილერიო შეტევა განხორციელდა, რაშიც უკრაინელი სამხედროები და რუსეთის მხარდაჭერით შეგულიანებული სეპარატისტები ერთმანეთს ახალი შეთანხმების დარღვევაში ადანაშაულებდნენ. დებალცევოს რაიონში მყოფი 8 ათასი უკრაინელი ჯარისკაცის ბედზე მოლაპარაკებების დროს გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ერთ-ერთმა ამბოხებულმა გააფრთხილა ყველა, რომ შეთანხმება ამ ტერიტორიაზე არ გავრცელდება, თუ ალყაშემორტყმული უკრაინული არმია ამ ალყის გარღვევას შეეცდება. პეტრე პოროშენკო კი უარყოფს, რომ დებალცევო ალყაშია.

საკამათო გახდა ლუგანსკსა და დებალცევოს შორის არსებული 15 კილომეტრიანი გზის მონაკვეთი, რომელსაც სამთავრობო არმია აკონტროლებს. იგი დანაღმული და ორივე არმიის საარტილერიო ცეცხლისთვის მისაწვდომი მანძილზეა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ვერც ერთი მხარე მასზე ვერ გაივლის და შესაბამისად, ვერც კიევი და ვერც სეპარატისტები ვერ განაცხადებენ, რომ მას აკონტროლებენ.

თუ უკრაინა ვერ მოახერხებს იქ მყოფი ჯარისკაცების ევაკუაციას ან ორგანიზებულად მათ მომარაგებას, საარტილერიო დარტმების შედეგად გადარჩენილთა კაპიტულაციამ შესაძლოა ომის ბედი გადაწყვიტოს და უკრაინაში საშინაო პოლიტიკის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს.

როგორც რუსული გამოცემა Êî ì åðñàí ò იუწყება, სამშვიდობო მოლაპარაკებების 16 საათიდან 8 დებალცევოს ბედს მიუძღვნეს.

დაზავების პირველსავე დღეს უამრავი ადამიანი ამოვიდა ბუნკერებიდან და სარდაფებიდან და ზარალის შეფასება დაიწყო.

The New York Times: პუტინმა მინსკში აშკარა წარმატებას მიაღწია – მოლაპარაკებები მაშინვე არ დაიწყო, ამ ორი დღით კი ისარგებლეს სეპარატისტებმა და კიდევ უფრო გააძლიერეს დებალცევოს ალყა.

შეთანხმებაში წერია, რომ უკრაინა საზღვრების კონტროლს შეძლებს 2015 წლის მიწურულს – როცა ამბოხებულთა ხელში არსებულ ოლქებში ადგილობრივი არჩევნები გაიმართება და სეპარატისტული ოლქების ავტონომიის შესახებ კონსტიტუციაში ცვლილებები შევა. არმოსავლეთ უკრაინის პრორუსულ რეგიონებში გარკვეული ხარისხის თვითმმართველობა საკვანძო საკითხია. მოლაპარაკებები გაიმართება იმის ფონზე, რომ რუსეთი შეინარჩუნებს საზღვარზე ხალხისა და შეიარაღების გადაადგილების შესაძლებლობას.

ეს შეთანხმება სხვა არაფერია, თუ არა მწარე აბები პოროშენკოს მოსათაფლად, მაგრამ მას სხვა გზა არ დარჩენოდა, უნდა მიეღო ის, რაც შესთავაზეს.

მინსკის მოლაპარაკებების დამთავრებისთანავე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განაცხადა, რომ უკრაინას ახალ „მხსნელ რგოლს“ გადაუგდებს, თუკი რეფორმებს დაიწყებს; საამისოდ კი მას კონფლიქტისგან სულის მოთქმა სჭირდება.

ახლა დასავლეთისთვის უკიდურესად აუცილებელია, ზემოქმედება მოახდინოს პუტინზე. არ უნდა შეასუსტონ სანქციები, ვიდრე შეთანხმების უცილობლად შესრულების მზადყოფნას არ დაანახვებს მათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი სანქციების დაწესების შესახებ ყოყმანი დაუშვებელია.

The Guardian: მინსკის შეთანხმება აღმოსავლეთ უკრაინაში მშვიდობას ვერ უზრუნველყოფს და შესაბამისად, კიდევ ერთი „გაყინული“ კონფლიქტი სეგვრჩება.

თუკი დაზავება მტკიცე აღმოჩნდება, ის იქნება პირველი შეთანხმება, რომელიც დაიდო ამჟამად გახლეჩილი ევროპის შუამავლობით: რუსეთი თითქმის მარტო დარჩება, ევროპის დანარჩენი ქვეყნები მხარს უკრაინას დაუჭერენ. დონბასში კონფლიქტის გაგრძელება ამ განხეთქილებას კიდევ უფრო გააღმავებს, ხოლო კონფლიქტი რომც შეწყდეს, მეგობრული ურთიერთობის აღდგენა მაინც შეუძლებელი იქნება. მაშასადამე, თვალმისაწვდომ მომავალში ევროპის კონტინენტზე ვერც უსაფრთხოების ერთიანი სისტემა იარსებებს, არც ნორმები, რომლებზეც თითქოს ყველა შეთანხმდა და არც ქცევის წესები. მსოფლიო უწესრიგობამ შეაღწია მსოფლიოს იმ ნაწილში, რომელიც ბოლო პერიოდში ყველაზე სტაბილური იყო. ეს ევროპაა.

მინსკში პუტინმა პროგრამამინიმუმი შეასრულა: კიევმა აღიარა წარუმატებლობა, გაენადგურებინა ამბოხებულები. თუ დაზავება გაგრძელდება, დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკები დნესტრისპირეთის მსგავს წარმონაქმნად გადაიქცევა.

თუმცაღა პუტინმა აღიარა რუსეთის ოფიციალური პოზიცია, რომ დონბასი უკრაინის ნაწილად დარჩება. ეს არ არის დათმობა: უკრაინის შემადგენლობაში დონეცკისა და ლუგანსკის დარჩენა – ეს უკრაინის მთავრობის წინააღმდეგობის ცენტრი იქნება.

Der Spiegel: „მინსკი-2“ იგივეა, რაც სექტემბრის მინსკის შეთანხმება მისი ბუნდოვანი ფორმულირებებით. ერთადერთი სიახლეა ის, რომ გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და უკრაინის ლიდერებმა უპირატესობა მიანიჭეს უფრო მოკრძალებულ შედეგებს.

„მინსკი-2“ – დეკორაციები და ტაქტიკური წარმატებებია დროის მოსაგებად. მაგალითად, დღემდე გაურკვეველია, რა ბედი ელის დებალცევოს, რომლის რაიონში ალყაში მოქცეული ათასობით უკრაინელი ჯარისკაცი იმყოფება. შეეცდებიან კი ისინი ამ ქვაბულიდან თავის დაღწევას? ამბოხებულები ითხოვენ, რომ მათ იარაღი დაყარონ, ამაზე კი არც უკრაინის გენშტაბში ფიქრობს ვინმე და არც მთავრობაში.

შეთანხმების კიდევ ერთი პუნქტი ეხება უკრაინელებისთვის საზღვრის გაკონტროლების დაბრუნებას. თუმცა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა ჯერ კიდევ მინსკის შეხვედრამდე განაცხადა, რომ მოთხოვნა საზღვრის კონტროლის აღდგენის შესახებ „არარეალისტურია“ და ეს საკითხი კიევმა ამბოხებულებთან პირისპირ უნდა გადაწყვიტოს. ეს განცხადება შეუნიღბავი ცინიზმია იმ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრისა, რომელიც უკვე წელიწადზე მეტია უკრაინაში „მოხალისეებსა და თანამედროვე იარაღს გზავნის“.

ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ვლადიმირ პუტინია. „თუკი რამე კომპრომისი მაინც არსებობს, იგი მზად არ არის რამე დათმოს, და სწორედ ის აძლევს ნებას ამბოხებულებს, ომი აწარმოონ უკრაინაში. ამიტომაც უკრაინის კონფლიქტი ზუსტად იმდენ ხანს გაგრძელდება, რამდენ ხანსაც ის პუტინის ინტერესებს შეესაბამება“ – გამოცემა იმოწმებს რუსი პოლიტიკოსის ნათქვამს.

ახლახან რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა განაცხადა, რომ უკრაინის მეშვეობით დასავლეთი „რუსეთის დაშლას“ ესწრაფვის, ხოლო სხვა რუსი პოლიტიკოსი, საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის საბჭოს საპატიო პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ „პარტნიორებმა და რუსეთის მეზობლებმა უნდა შეიგნონ, რომ თამაში, რომელსაც ისინი ბოლო 20 წლის განმავლობაში ეწეოდნენ, დასასრულს მიუახლოვდა. რუსეთმა შემოხაზა თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების ზონა და მისთვის გააფთრებით იბრძოლებს“.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „გამომცემლობა საბჭოგლობი“; ტელ.: 599 95 31 90
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

უკვე იმდენი რამე დაარეხვა ირაკლი ალასანიამ, ეჭვი გაჩნდა, რომ ამ დარეხვება-დარეხვებაში თვითონაც დაირეხვა...

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ერთხელ წაიოცნებასავით, საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას ვიზუალი მომცაო — ჭკუა, ჯიგარი, ქართველობა, სინდისი და გამბედაობა კი სხვებისკენ მოიკითხა. მაშინ არავის მიუქცევია ყურადღება, რომ ფილოსოფოსმა პრეზიდენტმა თავისდაუნებურად, თავდაცვის მინისტრი, ფაქტობრივად, ყველა ადამიანური და თანამდებობრივი ღირსებისგან დაცლილ ცარიელ ფუტლიარად გამოაცხადა. სხვათა შორის, არც მინისტრის ფსიქოლოგ მეუღლეს ამოუკითხავს რაიმე მნიშვნელოვანი, თორემ მის კომენტარებს რა ძალა შეაკავებდა — ასე გამოვიდა, რომ საქართველოს თავდაცვა ებარა უჭკუო, უჯიგრო, ქართველობადაკარგულ, უსინდისო, ლაჩარ („გაუბედავი“ არ ესადაგება კონტექსტს) მაგრამ სიმპათიურ მამაკაცს. ამ არასახარბიელო ჩამონათვალს, შეიძლება, ყველა პუნქტში და ყველა არ ეთანხმებოდეს, მაგრამ ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ ბატონმა ალასანიამ უკვე იმდენი რამე დაარეხვა და იმდენჯერ, სოციალურ ქსელ Facebook-ში სერიოზულად ეჭვობენ, რომ თვითონ დაირეხვა.

კაცმა რომ თქვას, მართლა იმდენი უაზრობა აქვს ნათქვამი სხვადასხვა დროს, ძნელია გადაწყვეტა საიდან დაიწყო ათვლა, თავიდან თუ ბოლოდან; თემატურად დაალაგო თუ რაიმე სხვა ნიშნით, ამდენად, ძალიან დაწვრილმანება რომ არ გამოვიდეს, მხოლოდ ის გავიხსენოთ, რაც გველის ნაკბენივით დაამახსოვრდა ხალხს.

უპირველესი დარეხვება, რის შემდეგაც ხალხმა „აითვალწუნა“ (ლამაზად ნათქვამი რომ გამოვიდეს, თორემ ქალი არ დაუტოვეს უგინებელი), მას შემდეგ მიიღო პასუხად, როცა იმ ავადსახსენებელ 26 მაისს, სააკაშვილის ბრძანებით შემოსეულმა ოფიციალური თუ არაოფიციალური ძალოვანი უწყების ყველა გულტვინგაყინულმა მონამ დაგვარბია, გვცემა, გვაწამა, ციხეებში გამოგვამწყდია და მოგვკლა, სისხლით შენალებ რუსთაველზე ჟურნალისტის გადამღები კამერის წინ ამაყად მდგარმა ირაკლი ალასანიამ კი ენით მოგვიღო ბოლო, ეგენი, უხარისხო ქართველები იყვნენო...

„მე აბსოლუტურად სხვა განწყობა მაქვს — მე არ ვთვლი „ნაციონალურ მოძრაობას“ მტრად. მათი დამარცხება და განადგურება არ მიმაჩნია ჩემს მთავარ ამოცანად“, — დაარეხვა ალასანიამ და ვინც მანამდე კიდევ რაიმე სიკეთეს ელოდა მისგან, მათაც თავიანთი წილი მიაგინეს.

ბატონმა ალასანიამ პირდაპირ, ყოველგვარი შელამაზების გარეშე დაარეხვაა, როდესაც პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები NATO-სა და ევროკავშირის წინააღმდეგ გამოდიან, მაღალი კონტრდაზვერვითი საფრთხის შემცველია და ამნისტიის დროს პარლამენტს ამაზე მეტი დრო უნდა დაეხარჯაო. თავდაცვის მინისტრმა პირდაპირ თქვა, რომ ადამიანები, რომელთა პოლიტიკური შეხედულება არ ემთხვეოდა მის შეხედულებებს, ციხიდან არ უნდა გამოეშვათ, ანუ მისი (თავდაცვის მინისტრის) ნება რომ იყოს, მისგან განსხვავებულად მოაზროვნეებს ციხეში ამოალპობდა „კონტრდაზვერვითი საფრთხის“ საფუძველზე — კიდევ რამდენი გინება აიტვირთა, ვინ მოთვლის.

რომ ჰკითხეს: — რატომ წაავე სამეგრელო, მართლა გაურიგდით ახალაიების კლანსო? — ჟურნალისტს რომ დაურეხვა: — „ეს აბსურდია, ამიტომ არ გაგცემთ პასუხს, მაგრამ, პრაქტიკულად, ზუგდიდში მაინც ჩვენ მოვიგეთო“. — ამაზე ლალი ანთიას თამადობით მისი მაგინებლების რაოდენობას იმ მეგრელების გინების რაოდენობა დაემატა, რომელთაც „დასტურ იცოდნენ“ რაღაც-რაღაცები. (ალასანიას „დარეხვებებთან“ კავშირში არ არის, მაგრამ რადგან ამ დროს უკავშირდება გახმაურებული ტრაგედია, აუცილებლად ჩასართავია და თავისთავად საკითხავია, რას ნართაულობდა პარლამენტარი ხაჩიძე, როდესაც კითხვას სვამდა, პატარა ბარბარე რაფალიანცის ბურუსით მოცული ამბავი რომ მოხდა, რა უნდოდა იმ ღამეს ალასანიას კახეთში ფარულად, როცა რეალურად ის სამეგრელოში უნდა ყოფილიყოო?)

ჟურნალისტის შეკითხვაზე: — შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ერთ ქვეყანაში ერთდროულად იყოს ნატო-სა და რუსეთის სამხედრო ბაზებიო? სიმპათიური თავდაცვის მინისტრი არეხვებს: — ეს კითხვა ვის მოუვიდა თავშიო? და განმარტავს, რომ ჩვენი ჯარი უკვე ნატოშია...

ნატო-ში შესვლის გზა რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე შესვლაზე გადის, ამის შესახებ რას იტყვით თავდაცვის მინისტრიო? — ჰკითხა ჟურნალისტმა. ეს არისო განწყობები, რომელიც შეგნებულად შემოაქვთ მარგინალური პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებსო, — დაარეხვა მისებურად ალასანიამ. („მარგინალური“, „მარგინალია“ საერთოდ რას ნიშნავს მისთვის, ნეტავ?)

ალასანიას ჰკითხეს: არჩევნების წინ პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატად რომ ითვლებოდი და ვიცე-პრემიერობიდანაც კი დაცურდი, ეს რაღა იყოო?

„პოლიტიკას სულ ვადარებ ჯაზს, რადგან მუდმივ იმპროვიზაციას ითხოვს და ქართული პოლიტიკა ამ მხრივ ძალიან მრავალფეროვანი და მოულოდნელობით აღსავსეაო,“ — გააჯაზ-დაარეხვა.

„საქართველოში უნდა განთავსდეს საჰაერო თავდაცვითი შესაძლებლობები და რუსეთი მიხვდება, რომ თქვენ სერიოზულად უდგებით საკითხს,“ — ისეთი და ისეთ დონეზე დაარეხვა ალასანიამ აშშ-ში სტუმრობისას, მიმიკები აურია დამსწრე საზოგადოებას. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა ალასანიას ცოლის დასლა „გაუმხილა“ ერთობლივ კონფერენციაზე საქართველოს დასავლეთელი მეგობრების ზოგადი აზრი „დარწმუნებული ვარ, არის კიდევ სხვა გზა, რომელიც ჩვენ მიგვიყვანს საქართველოში უსაფრთხოების გაძლიერებისკენ-ო.“ ჰეიგის წონის ფიგურა რომ ამ სიტყვებს ეტყვის თავდაცვის მინისტრს შენი ინიციატივის საპასუხოდ, დიპლომატიურ ენაზე ეს ნიშნავს: „შვილო, შენ დარეხვილი ხომ არ ხარო?“

გაიჭედა ალასანია და დაიწყო უარესი აბდაუბდას დარეხვება, ისეთების, რომ იქით პარლამენტის ვიცე-სპიკერის წასაშველებელი გახდა, აქეთ — უშიშროების საბჭოს მდივნის, იმის იქით არაერთგზის დაჭაშნიკებული მეგობრის გიგა ბოკერიასი.

დარეხვებაცაა და დარეხვებაც!

აშშ-ის თავდაცვის მდივნის ვიზიტის დროს ქართულმა მხარემ აშშ-ს სირიელი ამბოხებულების საქართველოს ტერიტორიაზე გაწვრთნა შესთავაზა, რაც საქართველოს ელჩმა აშშ-ში არჩილ გეგეშიძემ დაადასტურა და დასძინა, ეს იქნება კონტრტერორისტული საწვრთნელი ცენტრი ნებისმიერი ეროვნების ადამიანისთვისო. გამოცემა Foreign Policy-ს აზრით, ეს შეთავაზება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას მიზანს ემსახურებოდა, რომ საქართველო NATO-სთან ურთიერთობის სპეციფიკურ მოდელზე ყოფილიყო. საქართველო მასხრადაგდებული აღმოჩნდა, რაც ყველას ნაცვლად მოკლედ გამოხატა კარნეგის ცენტრის ექსპერტმა კავკასიის საკითხებში თომას დე ვაალმა: — „ეს ნიშნავს, რომ მართალია NATO-ს წევრობის პერსპექტივა არ ჩანს, თუმცა მათ გადაწყვიტეს, რომ გააკეთონ ყველაფერი, რათა იყვნენ NATO-ში NATO-ს გარეთო.“ ახლა კი რაღაცები ეჩვენება სამარცხვინოდ...

ერთადერთხელ არ დაურეხვებია, ალალად დაიჩივლა „მე რა ვქნა, მე?! საით წავიდე, ამერიკაში... რუსეთში...“ — და ესეც ამოუქექეს. სულ ყურთან დაუტრიალეს, თუმცა, არავინ ჩაძიებია, ხოხ, ვინ ხარ, რომ ხარ და საერთოდ, ვინ ხარ ასეთი, შემდგომში ქვეყნის (საქართველოს) თავდაცვის მინისტრად რომ არ დაენიშნე, ასარჩევად გქონდა საქმე, საით წასულიყავ, ჩრდილოეთისკენ (ოკუპანტისკენ) თუ დასავლეთისკენო (მეგობარი აშშ-ისკენ).

თუმცა, ჩასაძიებელი რა არის, 2011 წელს დაარეხვა“: — „ჩვენი ეროვნული ინტერესების უმთავრესი პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაა. სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებზე აქცენტების გაკეთებისგან თავი უნდა შევიკავოთ. სწორი პოლიტიკური აქცენტებითა და რეალისტური პოლიტიკით, დარწმუნებული ვარ, შევძლებთ დიალოგის აღდგენას აფხაზებთან, ოსებთან, შემდგომ უკვე პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენას რუსეთთან.“

2013 წელს კი სრულიად საპირისპირო დაარეხვა: — „ჩვენი კონფლიქტი, ალბათ, ძალიან მტკივნეულად კიდევ დიდხანს დარჩება ორ ქვეყანას შორის უდიდეს პრობლემად. თავდაცვის სამინისტრო ვაგრძელებთ NATO-ს სტანდარტებთან მიახლოებას და საბოლოოდ, ჯამში, მასში გაწევრიანებას წინ ვერაფერი დაუდგება.

თავდაცვის სამინისტროში 4 მილიონ 234 ათას 239 ლარზე ე.წ „კაბელების ამბავზე“ აეროპორტიდან კანადაში მიმავალმა (იქიდან აშშ-ში) ალასანიამ თავდაპირველად დალაგებულად თქვა: — „არავინ უნდა გამორიცხოს რაიმე გადაცდომა. ეს დიდი ორგანიზაციაა და შეიძლება, ვიღაცას რაღაცა დონეზე შეცდომა ჰქონდეს დაშვებული, მაგრამ არ სჭირდება ამხელა აჟიოტაჟი. ასეთი რამ ხდება ყველა ორგანიზაციაში და ამის პრევენცია სწორედ აუდიტის სამსახურის საქმეაო“, მაგრამ შემდეგ „წამოუარა“ და დაარეხვა: იმ ქმედებებს, რასაც პროკურატურა ჩვენი მისამართით ახორციელებს, პოლიტიკური სარჩული აქვს. ერთს, ორს თუ ათ საქმეს შეკერავენ, მათი საქმეა. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ სიმართლეში და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევაო (დემარში სხვა საკითხია).

უცბად, იშვლიპა და „ტაბულა ბიცოლასთან“ დაარეხვა, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემზე შეტევის ერთ-ერთი მიზეზი გამოკითხვებში (იგულისხმება ნავარო) ჩემი მაღალი რეიტინგიც არის, რომ ეს არის შესაძლო პოლიტიკური კონკურენტის, ან ოპონენტის პოლიტიკური განადგურების მცდელობა, მაგრამ ამისგან არაფერი გამოუვათო — ეს მაინც არ ეთქვა!

„ტაბულადან“ გულაჩქროლებული სასწრაფოდ „რუსთავი-2-ის“ ეთერში დაჯდა ლამის მთელი ოჯახიანად და ახლა იქიდან არეხვა და არეხვა, რაც ენაზე მოდგა — თავდაცვის სამინისტროს ეზოში ჩამწკრივებული ტაშისმკვრელები იქით იყოს, ლიფტის მოძრაობასაც კი დაჰყვებოდა „რუსთავი-2-ის“ გადამღები კამერა...

კიდევ ერთი დაარეხვა (ფაქტობრივად, თქვა, მაგრამ წამგებიანობის გამო დარეხვებაა მაინც) „ყველა ძალასთან ვითანამშრომლებო...“ ოდნავ მოგვიანებით შესწორებული სახით, „ნაციონალების“ გარდაო. „ნაციონალებთან“ ღიად ასოცირება, რომ ყელ-

4 gv.

უკვე იმდენი რამე დაარეხვა ირაკლი ალასანიამ, ეჭვი გაჩნდა, რომ ამ დარეხვება-დარეხვებაში თვითონაც დაირეხვა...

3 gv.

ზე დიდი ლოდის მობმას ნიშნავს, ვიღაცას გაახსენდა, თორემ...

ახლა ის ტაშისმკვრელებიც გამოუყარეს თავდაცვის სამინისტროდან და მთლად გადაირია.

ახლახან მორიგი დარეხვების სერია წამოვიდა — „მაესტროს“ ეთერით გაცხადდა, რომ ალასანიას ხელისუფლებაში დაბრუნების საფუძვლიანი იმედი აქვს. ჩვენ სრულად არ ჩამოგვითვლია რამდენი მაგინებელი ჰყავს, მხოლოდ აქა-იქ ამოვძენძეთ და ნეტავ, ვისი ან რისი იმედი აქვს ეს სიტყვები რომ დაარეხვა: — „ჩვენი მთავრობაში ყოფნის დროს „თავისუფალი დემოკრატების“ მიმართულებები წარმატებული იყო, საზოგადოებაც ასე აფასებს, მიუხედავად იმისა, რას იტყვის ფიქტიური პრემიერი... საზოგადოება დაღლილია, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი მმართველობით, ასევე „ქართული ოცნების“ მიერ დაშვებული შეცდომებით, ეძებს მესამე ძალას და ეს ძალა იქნება „თავისუფალი დემოკრატები!“

დასაწყისში შემთხვევით არ გავიხსენეთ პრეზიდენტ მარგველაშვილის სიტყვები პირუკუ, თუმცა, როგორც ჩანს, ამ კაცს კიდევ ერთი ნაკლი შემატებია — შუბლის ძარღვი გაწყვეტია, ხალხი, საზოგადოება, მართლა გამოქლიავებულად გამოჰყავს... სწორედ ამიტომ დაესხა თავს ლაფი, მესამე ძალა კი არა, ერთი უძლური, ხელოვნურად გამოყვანილი მფრთხალი, წუწუნა და მაბეზღარა ნარცისია, ხან რუსეთისკენ და ხან აშშ-ისკენ მომზირალიო...

კიდევ „უკეთესი“ დაარეხვა: — „არანაირ პოლიტიკურ გაერთიანებას არ ვგეგმავთ. „თავისუფალი დემოკრატები“ მარტო გავლენ არჩევნებზე. ჩვენ ვართ ის ალტერნატივა, რომელიც მომდევნო არჩევნებზე აუცილებლად დაამარცხებს ივანიშვილის გუნდს!“ — წამოიკიდა კვლავ გინების ახალი ტალღა, მაგრამ ჩერდება?

ახლა „რუსთავი-2-ის“ ეთერით დაარეხვა, რომ ე.წ „კაბელების საქმეზე“ დაკავებული პირები ბიძინა ივანიშვილის პირადი ტყვეები არიან და მოუწოდა ივანიშვილს დაუჯდეს დებატებში თუ თავმოყვარეობა აქვს და არგუმენტებს ფლობს.

სხვისი თავმოყვარეობის სასწორზე შეგდება რამდენად გამოუვა საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად ალასანიას, ვნახავთ, მაგრამ ისე კი გამოსდის, როცა მინდა, მაშინ დაველაპარაკები, ვინ არის ბიძინაო?

გვახსოვს „მე აქ ბიძინა ივანიშვილთან სასაუბროდ არ მოვსულვარო“, — როგორც გავრცელდა, უბრძანებია ალასანიას ერთ დღეს, თუმცა მანამდეც და მეორე დღესაც სწორედ ბიძინა ივანიშვილთან საუბრობდა... ისე, ამ ამბავს სხვაგვარად ჰყვებიან: ივანიშვილს ალასანიასთვის უთქვამს, შენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს, დღეიდან სასამართლოში არკვიე საქმეო და მისი პარტიის წევრებისთვის უკითხავს: რატომ ეფარებით და რატომ იცავთ კორუმპირებულ ალასანიასო? ამ ფრაზების თქმისთანავე წამომდგარა ალასანია და პოლიტსაბჭოს სხდომა ასე დაუტოვებია, უკან კი აღგზნებულ-ატირებული თანაგუნდელები მიჰყოლიან — „აღარ ღირს მაგათთან ყოფნაო“...

ეს არაფერი, აწმყო დროს დავუბრუნდეთ — იქით „ტაბულაში“ გადახტა და იქიდან იხუვლა: — „რასაც ვემხრობი, ეს არის ნარკომანიის სრული დეკრიმანილიზაცია, სრული! — არა მხოლოდ მარიხუანის. მოქალაქე, ადამიანი, არ უნდა დააკავო იმის გამო, რომ მას საკუთარი მოხმარებისთვის ნებისმიერი ნარკოტიკი ჰქონდეს თან. ამას დასჭირდება სპეციალური ცვლილებები კანონმდებლობაში, მაგრამ ეს არის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. გააკეთებ შენ ამას? — მსწრაფლ ჩაეძია წამყვანი. აუცილებლად! — იყო პასუხი. რაღა ჩიჩოლინას ტაქტიკა და რაღა ამისა, მაგრამ ეგ ნიშა რომ სხვებს აქვთ დაკავებული, მათ ვინც წლებია ნივთიერად ისედაც უსრულებენ გარანტირებულ ამომრჩეველს, ამას რა ეშველება?

ცალკე იმას წუხს, „კაბელების საქმეზე“ დაკითხულიც არ ვარ, იმიტომ რომ, ეს ამბავი ივანიშვილ-ღარიბაშვილის ორგანიზებული იყოო; ცალკე იმას წუხს, ღარიბაშვილს ივანიშვილი მართავს, ამიტომ ღარიბაშვილი უნდა შეიცვალოსო; იქით უამრავი საქმე აქვს, რეგიონებში დავდივარ და ხალხს თვალს ვუხელო, აქეთ — საერთაშორისო სტრუქტურებთან და არასამთავრობოებთან ვაპირებ შეხვედრებს, ნიღბები უნდა ჩამოვგლიჯო ზოგიერთებსო; გზად — მინდია ჯანელიძე და მისი მოადგილე არიან „ცუდები“ და საერთოდ, ყველა ცუდია, ვინც მისი სურვილების ასრულებაში რამენაირად „ფეხებში მოებლანდება“.

ახლა ის დაარეხვა, ბოლო რამდენიმე კვირაა თავდაცვის სამინისტროდან თანამშრომელთა დიდი ნაკადი გაათავისუფლეს, რაც თავდაცვის უწყებას აზიანებსო; მათგან რამდენიმე ისეთი პირია, რომელთაც განათლება დასავლეთში ჰქონდათ მიღებული და იმ რეფორმის განუყოფელი ნაწილი იყვნენ, რომელიც NATO-მ მოიწონაო; ვიღაცის ახლობლობის გამო საჯარო სამსახურში ხალხი არ უნდა იცვლებოდესო. ახალაია-კეზერაშვილის კადრები გააგზავნეს დასავლეთში განათლების მისაღებად, შემდგომში თვით ალასანიამ დააწინაურა მათი კადრები, ახლა კი მათი გათავისუფლება გახდა ცალკე „ნაციონალების“, ცალკე ალასანიას გაგულისების ამბავი, რა საინტერესოა, რატომ?

გიორგი ჩხეიძე

ვინ აღმოფხვრის მასიურ ანტისანიტარიას სავაჭრო ობიექტებზე?!

ქალბატონი მანანა უკვე 3 წელია სადგურის მოედანზე პროდუქტების გაყიდვით ირჩენს თავს. მისი სამუშაო დღე დილის 9 საათზე იწყება და საღამოს 6-7 საათზე მთავრდება. ყინვასა თუ აუტანელ სიცხეში დაბინძურებულ გარემოში ყოფნა და პროდუქტების გაყიდვა მისთვის არცთუ ისე სასიამოვნოა, მაგრამ მას არსებობის სხვა საშუალება, უბრალოდ, არ აქვს.

მანანა, გარემოვაჭრე:

„უკვე სამი წელია აქ ვმუშაობ. მიუხედავად იმისა, რომ ყველგან ნაგავია და არ მსიამოვნებს ასეთ პირობებში პროდუქტების გაყიდვა, ხალხი მაინც მოდის და ყიდულობს. მიზეზი, ალბათ, დაბალი ფასებია. მე პასუხს ვაგებ ჩემი პროდუქტის ხარისხზე და არ მინდა, ვინმეს რამე ვავნო, მაგრამ ამით ვირჩენ თავს და სხვა გზა არ მაქვს. ამ ტერიტორიების დასუფთავება ჩემს კომპეტენციაში არ შედის, ამაზე დასუფთავების სამსახურმა უნდა იზრუნოს“.

ქალბატონი მანანა ერთადერთი რესპონდენტი აღმოჩნდა გარემოვაჭრეებს შორის, რომელმაც ამ თემაზე საუბარი ისურვა. კითხვაზე, თუ რამდენად უსაფრთხოა ის პროდუქტი, რომელიც სადგურის მოედანზე იყიდება, ასეთი პასუხები მივიღე: “რა გინდათ, რისთვის მოხვედით, რომ სახალხოდ გამომაჭენოთ?“, „ეს პროდუქტი ახალია, თუ გინდა იყიდე, თუ არა, სხვა მაინც გამოატარე, დახლს ნუ ეფარები“, „მე მაქვს უფლება გავყიდო, თუ მაცლი კარგი იქნება, რასაც მინდა, იმას გავყიდი“.

არსებულ ანტისანიტარიაში პროდუქტების ყიდვა არც რუსიკო ნარუშვილს სიამოვნებს, მაგრამ დაბალი ფასები მისთვის ხელმისაწვდომია და სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი იმისა, რატომაც ყიდულობს ის პროდუქტებს სადგურის მოედანზე.

რუსიკო ნარუშვილი: არ მსიამოვნებს, მაგრამ მაინც აქ მიწევს მოსვლა. სახლში რომ მივალ, ვცდილობ ყველაფერი კარგად გავრეცხო, კარტოფილსაც ვრეცხავ, სანამ გავთლი. ვერ მოგატყუებ, რომ აქაურობა ძალიან მომწონს, მაგრამ აქ პროდუქტის ფასები შედარებით დაბალია და სხვა გზა არ მაქვს. ვინმემ აუცილებლად უნდა იზრუნოს იმაზე, რომ სისუფთავე იყოს.

„თბილისის დასუფთავების სამსახურში“ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთეს: „სადგურის მოედანზე გამოწვეული ანტისანიტარია ისევ და ისევ მოსახლეობის ბრალია, რადგანაც ისინი დღის განმავლობაში იმდენ ნაგავს ყრიან, რომ ამის გაკონტროლება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. სადგურის მოედნის ტერიორია ყოველ დილით სუფთავდება, მაგრამ დღის ბოლომდე მას ხალხი თავად აბინძურებს“.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად იზრდება სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვის შემთხვევები. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მალფუჭებადი საკვები პროდუქტების უმეტესობა ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, განსაკუთრებით მაშინ, თუ პროდუქტი შეძენილია იმ ადგილებში, სადაც დარღვეულია ელემენტარული სანიტარული პირობები.

რა გზებით აპირებენ მერია და ადგილობრივი ორგანოები ამ პრობლემის მოგვარებას? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა ფაქტია, რომ ქალბატონი მანანა და მისი მსგავსი უამრავი გარემოვაჭრე სადგურის მოედანზე პროდუქტების გაყიდვას კვლავ განაგრძობს.

მარიამ გაბისონია
574 86 16 81

ირაკლი გოგოხია:
ზუგდიდი მალე ევროპული ყაიდის ქალაქი გახდება...

2014 წელს ზუგდიდი თვითმართველი ქალაქი გახდა, ხოლო კოალიცია „ოცნების“ კანდიდატი ირაკლი გოგოხია - თვითმართველი ქალაქის არჩეული პირველი მერი. არჩევნებიდან 7 თვის თავზე, ზუგდიდი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ.

ვესაუბრებით ქალაქ ზუგდიდის მერს ირაკლი გოგოხიას

— ბატონო ირაკლი, მძიმე „მემკვიდრეობა“ გერგოთ?...

— მემკვიდრეობას ვერ დავარქმევდი... რადგან პირველი მერი მე ვარ, თავისთავად მემკვიდრეობასაც ვერავისგან მივიღებდი.

— 2002- 2003 წლებში ქალაქს მერი ხომ ყავდა და მაშინ თქვენ იყავით ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე.

— დიახ, მაგრამ მაშინ ზუგდიდს არ ქონდა დამოუკიდებელი, თვით მართველი ქალაქის სტატუსი და იგი რაიონის შემადგენლობაში შედიოდა. ქონება გაუმიჯნავი იყო და ფაქტიურად დიდი „გასაქანი“ არ ქონდა არც საკრებულოს და არც მერს. ძალიან დიდი დრო, ფაქტობრივად, ნახევარი წელი წაგვართვა ქონების გამიჯვნამა და დაკანონებამ.

— ძალიან ბევრი სამსახური გაიყო...

— ქალაქსა და რაიონს შორის თერთმეტამდე მსხვილი ობიექტი გაიყო. გაჩდა ახალი შტატები, მაგრამ ამან მოითხოვა დგამ- ავეჯით, ტექნიკით, შესაფერისი სამუშაო ფართებით უზრუნველყოფა, რამაც წარმოქმნა სიძნელეები. მოკლედ, დიდი შრომა იქნა გაწეული „საძირკვლის ჩასაყრელად“.

— თავისთავად გაიყო რაიონისა და ქალაქის ბიუჯეტი...

— გეთანხმებით. შემოსავლები ცენტრალიზებულია, მაგრამ გვაქვს მოსაკრებლები... ძირითადი მოსაკრებელი სათამაშო ბიზნესიდან (ტოტალიზატორები და კაზინოები) შემოგვდის. ეფექტური უნდა გახდეს დასუფთავების მოსაკრებლები...

— სხვათა შორის, თქვენს მიერ შემოღებულმა „ნაგვის გადასახადმა და თან მისმა ელექტროგადასახადზე მიბმამ უკმაყოფილება გამოიწვია ზუგდიდელებში.

— 19 ათასი კომლიდან 280 უკმაყოფილო განცხადება ცხელ ხაზზე, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პროექტმა არ გაამართლა. ჩვენ უნდა შევეჩვიოთ გადასახადების გადახდას. მით უმეტეს, მინიმუმი გვაქვს დაწესებული - თითო პირზე 50 თეთრი, 4 და მეტსულიან ოჯახებზე კი - 2 ლარი. ეს ზღვაში წვეთია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენ დასუფთავების სამსახურზე ვხარჯავთ მილიონ სამასი ათას ლარს. გასულ წელს ჩვენმა ქალაქმა ყველაზე სუფთა ქალაქის სტატუსი მიიღო, რაც ძალიან მიხარია. ჩვენი კუთხისთვის ხომ სხვანაირი პეწი და სიკოხტავეა დამახასიათებელი.

ახლახან დამთავრდა საატესტაციო გამოცდები და გასაუბრებები საჯარო მოხელეებისთვის. მმე კომისიის თავმჯდომარე არ ვყოფილვარ. სამსახურში ინიშნებიან ისინი, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ორივე ეტაპი და არ ხდება შერჩევა არც პარტიული ნიშნით და მით უფრო ნათესაობითა და მეგობრობით. რაც შეეხება სამუშაო ადგილებს, თვითმართველობა სამუშაო ადგილებს არ ქმნის უშუალოდ. ჩვენ ხელს ვუწყობთ ბიზნესის განვითარებას, ბიზნესგარემოს შექმნას, ვიძიებთ ინვესტორებს, ბიზნესის განვითარება კი თავისთავად ქმნის სამუშაო ადგილებს.

— ბიზნესგარემოს შექმნის გეგმაში ხომ „არ ჩაჯდა“ გუბერნიისა და საკრებულოს შენობისთვის „მაკდონალდსის მიწებება?“ ბევრი უკმაყოფილო ზუგდიდელი გაგიჩინათ ამ ფაქტმა, განსაკუთრებით უფროსი და საშუალო თაობა. შედარებასაც კი მოვკარი ყური: ამას, ვთქვათ, ოთარ ფაცაცია არაფრით გააკეთებდაო.

— სამაგიეროდ, ახალ თაობას ძალიან მოსწონს ეს პროექტი. ან რატომ გგონიათ, რომ ეს გადაწყვეტილება მე მივიღე ცალსახად. ამაზე საკმაოდ სერიოზული მონიტორინგი გასწია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა. მოსახლეობაში გამოკითხვები ჩატარდა, ჩვენს ფეისბუქ-გვერდზეც მიეცა საზოგადოებას, ზუგდიდელებს საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება. ზუგდიდელების უმრავლესობას უკმაყოფილება არ გამოუთქვამს. „მაკდონალსი“ მსოფლიო ბრენდია და მისი აშენება წინაპირობაა სხვა ინვესტორებისა და ბრენდების მოზიდვის. როგორც კი გაიგეს, რომ ზუგდიდში „მაკდინალდსი“ შემოდის, ეგრევე განაცხადეს შემოსვლაზე მზადყოფნა ისეთმა ბრენდებმა, როგორიცაა „ვენდი“ და „კარფური“.

— ესე იგი, მალე „ვენდი“ და „კარფურიც“ გვექნება ზუგდიდში?

— არ მინდა მოვლენებს გავუსწრო და წინასწარ ვისაუბრო, მაგრამ მალე გვექნება. ტურიზმი, რომელიც ჩვენი მთავარი დასაყრდენი უნდა გახდეს, გულისხმობს ქალაქის ალმშენებლობით პროცესს თავისი ინფრასტრუქტურით, სასტუმროებისა და რესტორნების, კვების ქსელებით, კულტურული კერებით.

ბოტანიკური ბაღი, რომლის რეაბილიტაციაც მალე დაიწყება და ორივე - ნიკოსეული და მთავარი სასახლე, რომელიც ერთ ანსამბლად შეიკვრება, განა პატარა ხიბლია ტურისტებისთვის? გარდა ამისა, ზუგდიდში ღვთისმშობლის კვართია დაბრძანებული, რაც რელიგიური ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. აი, რატომ გვჭირდება „კარფური“, „მაკდონალდსი“, „ვენდი“, აყვავებული ინფრასტრუქტურა ზუგდიდში. ეს ყველაფერი ხომ სამუშაო ადგილებსაც გულისხმობს. „მაკდონალდსი“ მალე ამუშავდება და ხალხსაც დაასაქმებს...

— ქალაქის ცენტრში სასტუმრო „ოდიშის“ შენობას დღემდე ვერაფერი ეშველა.

— ნაფიქრია ამ შენობაზეც. ჩვენამდე მისი მფლობელები კერძო პირები იყვნენ, ეკონომიკის სამინისტრომ მათ ჩამოართვა ეს შენობა და ახლა თავის ბალანსზეა. როგორც კი ქალაქს გადმოეცემა, მაშინვე შევუდგებით მის რეაბილიტაციას.

— ქალაქში გაიჟღერა აზრმა, რომ რაგბის მოედანს აკეთებთ.

— გვინდა ზუგდიდშიც ჩაეყაროს სპორტის ამ ლამაზ სახეობას საფუძველი. ამის პოტენცია ზუგდიდში ნამდვილად არსებობს. პარალელურად ვიწყებთ ფეხბურთის სტადიონის მშენებლობასაც.

— დღემდე ვერაფერი ეშველა თეატრსაც...

— წლების მანძილზე რაც პრობლემები გროვდებოდა, თქვენ გინდათ ერთბაშად მოგვარდეს. ჩვენ გვაქვს ორ- სამ წელზე გაწერილი პროექტები. დღე და ღამეს ვასწორებთ, და შედეგსაც ძალიან მალე ნახავთ. წესით, იმდენი რამე გაკეთდა, ახლაც უნდა ხედავდნენ, მაგრამ ჩანს პიარი „არ გვივარგა“, არ იცის ხალხმა ამის შესახებ...

თუმცა, გვაქვს ძალიან საინტერსო და „გამჭვირვალე“ მერიის ვებ-გვერდი, თუმცა ტელევიზიის ეფექტი სხვაა. გაცილებით ყურებადია. თეატრს რაც შეეხება, მოძიებული გვაქვს სახსრები, მოლაპარაკებას ვაწარმოებთ მსხვილ ინვესტორთან და ამ დღეებში უნდა გადაწყდეს მისი საკითხი. ერთი დანამდვილებით ვიცი. შენობა რეკონსტრუქციას არ ექვემდებარება, უნდა დაიშალოს და ახალი უნდა აშენდეს.

— შეგიძლიათ, ისარგებლოთ „საერთო გაზეთის“ ამ შემთხვევაში უფასო რეკლამით. ისაუბრეთ განხორციელებულ პროექტებზე.

— ზუგდიდის ისტორიას არ ახსოვს, ალბათ, თექვსმეტი მრავალსართულიანი კორპუსის გადახურვა ერთბაშად მომხდარიყოს. მინდა გითხრათ, რომ ვიცე მერი, ბატონი გია გულორდავა ხელმძღვანელობს ამ სამუშაოებს და უკვე დასასრულს უახლოვდება. დასრულდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის გარე ფასადის რემონტი და ახლა შენობის შიგნითა რემონტს ვაგრძელებთ. მის მიმდებარედ, ჭადრაკის სასახლის გვერდით დაიდგა მოქანდაკე ჯუმბერ ჯიქიას მიერ შესრულებული ანდრია დადიანის ძეგლი, ასევე მუზეუმის მიმდებარე პარკში ჩაიდგა მუზეუმის დამაარსებლის, ღვაწლმოსილი ზუგდიდელის, აკაკი ჭანტურიას ძეგლი.

სულ რამდენიმე დღის წინ, წინა კვირას ქორწინების სახლი გაიხსნა ზუგდიდში, თავისი სარიტუალო დარბაზით. ასევე, დაწყებული იყო მშენებლობა, მაგრამ ჩვენ დროს დასრულდა და გაიხსნა საჯარო რეესტრის ახალი შენობა. უვადო სარგებლობის უფლებით გადმოგვეცა იუსტიციის სახლის ყოფილი შენობა... მალე ქალაქის თვითმართველობა იმ შენობაში გადავა. აქ ხედავთ უკვე დაწყებულია სარემონტო სამუშაოები.

— ვიცი, რომ სერიოზული რემონტი ჩაუტარდა საბავშვო ბაღებს.

— არა. სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ შევძელით ბაღებისთვის მიგვეხედა. გავაუმჯობესეთ კვება, შევიტანეთ მაცივრები და ტელევიზორები, გავუკეთეთ კოსმეტიკური რემონტი... ქალაქს სულ 17 საბავშვო ბაღი აქვს და აქედან 14-ში დევნილები ცხოვრობენ. 2016 წლისთვის ჩვენ არც ერთ ბაღში არ გვეყოლება დევნილი ოჯახები, რადგან მათთვის აშენდება კორპუსები. თქვენ იცით, რომ 5 კორპუსი უკვე აშენებულია 320 დევნილი ოჯახისთვის და მარტის თვისთვის მოხდება მათი შესახლება ამ კორპუსებში. გარდა ამისა, ზუგდიდში კიდევ უნდა აშენდეს 17 კორპუსი, 2400 დევნილი ოჯახისთვის...

— მინდა, რამდენიმე სიტყვით სოციალურ და ჯანდაცვის სფეროსაც შეეხოთ.

— სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გაჭირვებული გვყავს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ისტორიული მონაპოვარია. 70 % -ით სამედიცინო ხარჯების სახელმწიფოს მიერ დაფარვა, უპრეცედენტო შემთხვევაა, მაგრამ ჩვენ სოციალურად დაუცველი ფენებისთვის, რა თქმა უნდა, ყველაზე გაჭირვებულებისთვის დავუშვით პლუს 30% დაფინანსება. ერთჯერადი დახმარების თანხები, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გავუზარდეთ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, მარტოხელა, უმწეო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. დღესასწაულებთან დაკავშირებით ვუკეთებთ მცირედ „სასაჩუქრე კალათებს“. განვახორციელეთ ძვირადღირებული მედიკამენტების სოციალურად დაუცველი პირებისთვის უფასოდ შესყიდვების პაკეტი...

— დაბოლოს, ახალგაზრდებზე შეკითხვით დავამთავროთ... რა პერპექტივები აქვთ, ახალგაზრდებს ამ ქალაქში საკუთარი გონებრივი რესურსების დასახარჯად და გასავითარებლად.

— ჩვენ ვცდილობთ ყველა პროექტი, რომელიც მორგებულია ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენისთვის, მათი შემდგომი განვითარებისა და წინსვლისთვის, დავაფინანსოთ. მადლობა უფალს განსაკუთრებულად ნიჭიერი ახალგაზრდები ყავს ჩვენს ქალაქს. ჩვენ არაერთი ახალგაზრდული პროექტი დავაფინანსეთ გასულ წელს და ამ კუთხით კვლავ გაგრძელდება მათდამი ჩვენი მხარდაჭერა.



ფატი ნაჭყებია

ალი ბაბაევი: მე გახლავართ აგენტი, ოღონდ საქართველოს აგენტი...

გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე, ბატონი ალი ბაბაევი.

— როგორც „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ყოფილი წევრი, მმართველი პარტიის აქტივისტი და მხარდამჭერი, რას იტყვით დღეს პარტიაში შემქნილ ვითარებაზე. ჩვენ, დაახლოებით, ერთი წლის წინ გამოვაქვეყნეთ ინტერვიუ თქვენთან. მაშინ პრობლემებზე ვსაუბრობდით. აღმოიფხვრა წინააღმდეგობები?

— პირველ რიგში, მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველებს. „საერთო გაზეთი“ არის გამოცემა, რომელიც მართლაც ობიექტურად აშუქებს პრობლემებს.

ამ ერთი წლის განმავლობაში სასიკეთო ძვრები განხორციელდა.

მაგრამ რაც 1 ოქტომბერს შეძლო საქართველომ, იმას დაცვა სჭირდება. პირველ რიგში, „ქართულმა ოცნებამ“ საკადრო პოლიტიკას უნდა მიხედოს, რადგან ბოლო ხანებში, რაც ხდება ძალოვან სტრუქტურებში, თავდაცვის სამინისტროში და სხვაგანაც, ეს თითქოს ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ე. წ. ჩანერგილების პრობლემას ვგულისხმობ. ამაში ეჭვმიტანილი ხალხი კვლავაც თანამდებობებზე არიან და აფერხებენ „ქართული ოცნების“ საქმიანობის ეფექტურობას.

ასე ხდება რეგიონებშიც.

მე იმ რეგიონებზე გესაუბრებით, სადაც კომპაქტურად არის ჩასახლებული აზერბაიჯანული მოსახლეობა.

ამ რეგიონებში პასუხსაგებ თანამდებობებზე. ჯერ კიდევ ისეთი ადამიანები მუშაობენ, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ნაციონალების დროშის ფრიალით რომ გვატერორებდნენ, გვემუქრებოდნენ და გვლანძღავდნენ.

— ეს ძველი შემორჩენილი კადრებია თუ ახალდანიშნულები, რომლებიც შეძვრნენ და მიეტმასნენ „ქართულ ოცნებას“?

— ზოგი ძველი, ზოგი ახალი.

— როგორც ამობენ, სავალან მირზოევი, ზაურ დარგალი და ქამანდარ ისმაილოვი „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები იყვნენ. რას ფიქრობთ, როგორ მოხვდნენ ისინი „ქართულ ოცნებასთან?

— მოგახსენებთ, გარდაბანში, ბატონი **ფეიქრიშვილი**, რომელიც დეპუტატი გახლავთ, ნაციონალებიდან გადაბრძანდა „კონსერვატორებში“. დღეს „კონსერვატორების“ დროშა უკავია, მაგრამ გულით ნაციონალია და როცა მომენტი მიეცემა, მათ პოლიტიკას ატარებს.

ნაციონალების დროს არჩევნების ბედს რომ წყვეტდა **ქამანდარ ისმაილოვი**, ნაციონალების მარჯვენა ხელი, ტერორში ჰყავდა სკოლების დირექტორები და პედაგოგები, მშობლები, რათა ხმა მიეცათ ნაცმოძრაობისთვის, ეს ადამიანი დღეს გამგებლის მოადგილე ბრძანდება.

130 000-იან აზერბაიჯანულ მოსახლეობაში არ მოიძებნა ერთი ქართულენოვანი აზერბაიჯანელი, რომელიც ამ ხელისუფლების მხარდამჭერი იქნებოდა. მაინცა და მაინც ქამანდარ ისმაილოვი შეარჩიეს.

— ვინ შეარჩია და რა ნიშნით, არ იცით, ბატონო ალი?

— ზუსტად ეს მაინტერესებს მეც. გარდაბნის გამგებელს რომ შევეკითხეთ, საიდან აღმოჩნდა თქვენთან **ქამანდარ ისმაილოვი**-თქო, რეკომენდირებული იყოო. ვინ იყო რეკომენდატორი, ეს ვერ გავარკვიეთ.

ისმაილოვს დღემდე შესანიშნავი ურთიერთობა აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან.

გახსოვთ, ალბათ, 2003-04 წლებში, როცა ნაციონალები ხელისუფლებაში მოვიდნენ, ძველი კადრებისგან გაწმინდეს სტრუქტურები. ახლა რა მოხდა, იცით? ყველა, ვინც „ქართული ოცნების“ გამარჯვებისთვის იბრძოდა, ვისაც წესრიგი უნდოდა, კორუფციის აღმოფხვრა, ხალხისთვის მიწების დაბრუნება, ყველანი გაყარეს სამსახურებიდან და ახლოსაც არ იკარებენ.

მე ადამიანების წინააღმდეგი კი არ ვარ, პოლიტიკური იდეოლოგია არ მომწონს ნაციონალების, ამიტომ, მიმაჩნია, რომ ახალ ხელისუფლებას „ნაცმოძრაობის“ ნარჩენებისგან უნდა გაეწმნიდა ყველა ორგანო და სახელმწიფო სტრუქტურა. ეს არ მოსწონს ხალხსაც. ყველა უკმაყოფილოა, ვინც ნაციონალების ტერორის პერიოდში სიცოცხლეს რისკავდა, იდგა „ქართული ოცნების“ და ბატონი ბიძინას გვერდით. 1 ოქტომბერიც მათი დამსახურებაა.

— ანუ პარტიაში თვალშისაცემი პრობლემები არსებობს?!

— რაიონებში თითქმის არ არსებობს პარტიული ორგანიზაციები. პარტიის აქტივისტები მმართველ სტრუქტურებში შევიდნენ და პარტიული მუშაობა საერთოდ მიატოვეს.

თითქმის ყველგან ასეა. გამონაკლისი მხოლოდ დმანისის რაიონია. პარტიის ოფისი მუშაობს, რაიონის ხელმძღვანელობა ის ხალხია, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმული ნაციონალების მოსაშორებელ კამპანიაში 2012 წელს.

ცნობილია, რომ თითქმის ყველა მთავრობას არაქართველი და, კერძოდ, აზერბაიჯანელი მოსახლეობა ხმებისთვის სჭირდებოდა საარჩევნოდ. დღეს კი მოსახლეობამ შეიგნო, რომ მათ აქვთ კონსტიტუციური უფლება, არჩევანში თავისუფალნი არიან და თავიანთი ნების მიხედვით შეუძლიათ მისცენ ხმა იმას, ვინც სურთ.

ეს ბიძინა ივანიშვილის დიდი დამსახურებაა, რადგან 2012 წლის არჩევნების დროს „ქართულ ოცნებას“ მათრახი და ტყვია არ გამოუყენებია. ბატონი ბიძინა ხალხთან თავისი ფეხით მივიდა და მას ენდო ხალხი.

თუმცა მე პრობლემებსაც არასდროს ვუვლი გვერდს. უამრავი პრობლემაა ქვემო ქართლის რეგიონში. ამას წინათ რაიონები კიდევ ერთხელ მოვიარე და აღმოჩნდა, რომ პოლიკლინიკების შენობები გაყიდულია. მიწები უცხოელებზე არის გასხვისებული. მოსახლეობა ითხოვს საკუთრების დაბრუნებას. აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები, მაგრამ პროკურატურა დღემდე დუმს.

— სასოფლო-სამეურნეო მიწები ახსენეთ წეღან. საქართველოს პარლამენტი სახელმწიფო მიწის კანონ-პროექტზე მუშაობს, რომელიც ზედმეტად ლიბერალური გახლავთ უცხოელი ინვესტორებისთვის. ამ კანონის მიღება მნიშვნელოვანი და ძალიან მგრძნობიარე საკითხია, ჩემი აზრით, ძირითადად, მიწათმოქმედი, კერძოდ, ქვემო ქართლის მოსახლეობისთვის.

— ხალხის აზრი, რატომღაც, არავის აინტერესებს. დაჯდებიან კაბინეტებში და წერენ კანონებს. ჯერ შეეკითხონ ხალხს, მიწათმოქმედებს, მეცნიერებს და მერე წერონ კანონები.

მშრომელი ადამიანი, აზერბაიჯანელი იქნება, სომეხი, ქართველი თუ სხვა, მიწა თუ არ ექნება, წავა თურქეთში, რუსეთში ან სხვაგან და იქ იმუშავებს იგივე მიწაზე. რატომ არ შეიძლება საქართველოში იმუშაოს და სოფლის მეურნეობის პროდუქტის იმპორტი ნაკლებად იყოს ჩვენს ქვეყანაში.

— კვლავ გადაუჭრელ პრობლემად დგას და დროდადრო თავს იჩენს რელიგიური პრობლემები. ბატონო ალი, რელიგიურ ნიადაგზე ჩვენთან წინააღმდეგობები არასოდეს ყოფილა. რატომ გახდა ასეთი აგრესიული მუსულმანური მოსახლეობა დღეს?

— გეთანხმებით, ჩვენს შორის რელიგიური დაპირისპირება არასდროს ყოფილა და არც იქნება. ეს არის გლობალური პოლიტიკის ნაწილი, ე. წ. მასონური, უღმერთო ძალები ცდილობენ კონფლიქტების გაღვივებას სხვადასხვა კუთხეში, თორემ ქრისტიანები და მუსულმანები რატომ უნდა ებრძოდნენ ერთმანეთს, როცა ორივენი ღმერთს ადიდებენ და ქვეყნის და მომავლისთვის ლოცულობენ?!

სხვათა შორის, საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც შიიტი და სუნიტი მუსულმანები ერთ მეჩეთში ლოცულობენ და არ ემტერებიან ერთმანეთს.

ნაციონალებმა შექმნეს რელიგიური დაპირისპირების ადგილები. სპეცსამსახურებმა ჩანერგეს მაშინ ხალხში განხეთქილება, მაგრამ მოსალოცი ამბავია, — დღევანდელმა ხელისუფლებამ შეძლო ამ საკითხების დარეგულირება.

ჩვენ გვყავს ახალგაზრდა რელიგიური წინამძღოლი **რამინ იგიდოვი**, რომელმაც მოახერხა და ჩვენსა და აჭარის მუსულმანურ მოსახლეობას შორის შესანიშნავი ურთიერთობები დაამყარა.

საქართველო ჩვენი სამშობლოა და ერთად უნდა ავაშენოთ ეს ქვეყანა. ესაა მთავარი მიზანი და ამოცანა, ამიტომ რელიგიურ განხეთქილებას ვინც უწევს პროვოცირებას, ის არის ქვეყნის მტერი, გინდ ქრისტიანი იყოს, გინდ — მუსულმანი.

ძალიან ბევრი ეკლესიის მშენებლობაში მეც მაქვს ჩემი პატარა წვლილი შეტანილი, რადგან ღმერთის შვილები ვართ და ეს ჩვენი ვალია.

— ბატონი ალი, რეგიონს ახალი გუბერნატორი ჰყავს, ბატონი პაატა ხიზანაშვილი, იცნობთ მას? შეხვდით?

— ბატონ პაატას ვიცნობ, როგორც კარგ ქართველ კაცს. წარმოშობით დმანისელია და არის თავისი კუთხის პატრიოტი. გამოცდილი და ერთგული ადამიანია. მისი დანიშვნა „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი წარმატება გახლავთ და მმართველი გუნდის კიდევ ერთი მიღწევა კადრების საკითხში. ამ კაცმა კარგად იცის აზერბაიჯანული ენა და შესანიშნავად ურთიერთობს მოსახლეობასთან. ისე კი არა, ზემოდან რომ უყურებდა ხალხს კირკიტაძე და მისნი მსგავსნი.

ქვემო ქართლის გუბერნატორის პაატა ხიზანაშვილის შეხვედრა მოსახლეობასთან

ბატონ პაატას მხარს უჭერს ქვემო ქართლის მოსახლეობა. ამ ერთი თვის განმავლობაში ხალხში მისი რეიტინგი ერთიორად გაიზარდა. ჩვენ გვიხარია, რომ ქვემო ქართლში გვყავს ისეთი თვალსაჩინო ადამიანი, როგორიც **პაატა ხიზანაშვილია**.

— თქვენ ნაციონალებიდან გადმობარგებულებს და ე. წ. ჩანერგილებს ხშირად ახსენებთ, არადა, პრესაში, ადრე გავრცელებული ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ რამდენიმე სხვა წარმომადგენელთან ერთად თქვენც დაგასახელეს „ჩანერგილად“. როგორ განვითარდა პროცესები, გამოგააშკარავეს თუ დაუმტკიცეთ მავანთ, რომ ე.წ. „ჩანერგილი“ არ ბრძანდებოდით? საზოგადოებას უნდა ჰქონდეს თქვენზე ეჭვები თუ არა?

— (ეღიმება.) უნდა გითხრათ, რომ არასდროს ვყოფილვარ არავის აგენტი. მე გახლავართ საქართველოს აგენტი. მიყვარს ეს ქვეყანა და ვინც ამ ქვეყნის წინააღმდეგ იმოქმედებს, იცოდეს, რომ მას დავუპირისპირდები.

რაც შეეხება „ნაცმოძრაობის“ აგენტობას. 2005 წლიდან ნაციონალების წინააღმდეგი ვარ. 2007 წლის 2 ნოემბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ნაციონალების, ასე ვთქვათ, მტერი ვარ. მათ საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის ქონება მთლიანად მითვისეს და დააყაჩაღეს. კუდი და სოდი დამდევდა და მაკონტროლებდა. ვინც მიცნობს და იცის ჩემს შესახებ, ყველა დამერწმუნება, რომ ღიად ვებრძოდი მათ. ბიძინა ივანიშვილთან ერთად 82 სოფელი და 12 რაიონი მოვიარე კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში. ჩემი ავტორიტეტის დამცირების მცდელობას ემსახურებოდა პრესაში აგორებული ის კამპანია, რაზეც მკითხეთ. მე კონსტიტუციური უფლება მქონდა და მაქვს, ამ საკითხებზე სასამართლოსთვის მიმემართა და მოვიგე პირველი ინსტანცია. ამ საქმეს ბოლომდე მივყვები. რაც ეხება იმ პირს, ვინც მე აგენტობას მწამებს, ის ადამიანი მხოლოდ მე კი არა, მთელ საქართველოს ებრძვის. ახლა არ მინდა ამაზე საუბარი. გპირდებით, პირველი თქვენ იქნებით, ვისაც ამ საკითხზე ვრცლად და ამომწურავად ვესაუბრები უახლოეს ხანებში, როცა საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს უმაღლესი სასამართლო ამ საკითხზე.

— ადრეც საუბრობდით და ახლაც მინდა გკითხოთ ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებთან დაკავშირებით. საზღვრის პრობლემა კვლავ დგას, გასულ ნომერში საინგილოს თემაზე სტუდენტის წერილიც დავბეჭდეთ. ამ კუთხით გააქტიურებას არ გეგმავთ?

— საქართველოს და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობის პრობლემა არასდროს არსებულა და არც იარსებებს. აზერბაიჯანი ყოველთვის მეგობრულად ედგა გვერდით საქართველოს და სწორედ საქართველოა ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც აზერბაიჯანი უდაბლესი ტარიფით აწვდის გაზს. არსებობს გარკვეული ძალები, რომლებიც გარკვეულ დროს წამოწევენ ხოლმე პრობლემებს იგივე დავით გარეჯის ან განჯის კარის და ა.შ. ეს არის სპეკულაცია. არავითარი ცვლილებები ამ კუთხით არ ხდება. ნურავინ ეცდება, რომ ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებს გააფუჭებს და დაძაბავს. ეს არ მოხდება.

თუმცა აუცილებელია შეიქმნას კომისია, ჩაერიოს კომპეტენტური ხალხი, თქვენნაირი მიუკერძოებელი ჟურნალისტები და დალაგდეს ურთიერთობები ისე, როგორც ეს ისტორიულად იყო.

ახლახან განათლების მინისტრის მოადგილეს შევხვდი და შევთავაზე — შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი და შეისწავლონ, რა ხდება ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებით საინგილოში, ქვემო ქართლში. ჩვენს სამშობლოში ვართ და ქართულ ენას არ გვასწავლიან. ქართული ენის მასწავლებლები არ არის რეგიონში. არც უნახავს ხალხს საინგილო და ქვემო ქართლი და ისე საუბრობენ ამ პრობლემებზე. ნებისმიერ დროს წავიდეთ, ვნახოთ, გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ. გავაკეთოთ საქმე.

ირანდა კალანდაძე
593 561 118

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება

№5, თებერვალი, 2015 წ.

პირადად ჩემთვის ქართველობა ნიშნავს ნორმალურობას და ტრადიციული საზოგადოების ღირსეულ წევრობას, სადაც კაცი უნდა იყოს კაცი, ქალი უნდა იყოს ქალი...

***ტელევიზიაში სტუმრად მიწვეულ ბიზნესმენ ლევან ვასაძეს** ისეთი არაფერი უთქვამს, რასაც „საერთო გაზეთი“ წლების მანძილზე არ გაჰყვირის. სწორედ იდეური თანხვედრის გამო, გთავაზობთ საქართველოსა და ქართველი ხალხის მნიშვნელოვან გასაზრებელ ამონარიდებს ბატონი ლევანის ნაუბარიდან.*

„ჩვენ გვაქვს განცხადებები ყოფილი გენპროკურორის, არჩილ კბილაშვილის, რომ ნაპოვნია 27 000 ვიდეო-ფაილი. უამრავ მათგანზე არის ძალადობა, მათ შორის მამაკაცებზე სექსუალური ძალადობისა. რას ნიშნავს ეს – რაღაც ლაბორატორიული ექსპერიმენტი, რომელიც დაიდგა ჩვენ ქვეყანაში? ვინ იყო ავტორი ამ ექსპერიმენტის? ეს იყო მანიაკალური ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილი კრიმინალი ანტიდემოკრატიული ვაი-ლიდერი თავისი ყაჩაღების ბანდით თუ რაღაც, უფრო დიდი იყო, რომელმაც მერე ამას მოკიდა ხელი ქეჩოში, წაიყვანა თავისთან, შეიფარა და თქვა, ამის ხალხი, ვინც დაიჭირეთ, ეხლავე გამოუშვითო და გადაავჯინა მეზობელ ქვეყანა, უკრაინაში და ახლა აქ მართე შენ ესენიო?

მე ვფიქრობ, ორივე – ეს იყო ფსიქიურად დაავადებული, უმძიმესი ფსიქოპროფილის ადამიანის ტირანია შეჯერებული იმ იდეოლოგიასთან, რომელსაც ამ ტირანიის განხორციელება აქ სურდა, ვგულისხმობ აგრესიულ დასავლურ ლიბერალიზმს, რომელიც ამ ღარიბ-ღატაკ ქვეყანაში, იმის ნაცვლად, რომ ზრუნავდეს მის ნამდვილ პრობლემებზე, გვახვევს თავს ასეთ პრობლემებს.

რა არის ეს მოვლენა, რა იყო ეს 9 წელი ჩვენი ერის ისტორიაში, რა ფსიქიკური ეთნოიარა დაგვასვეს სოციუმზე, როგორ გამოვალთ ჩვენ აქედან? რას ნიშნავს ეს გაჭონილი ერთი-ორი შოკისმომგვრელი ციხის კადრი, რომელმაც მე ცხოვრება გამიფუჭა — ეს რომ ვნახე, არ ვიცი რამდენი წლით დავბერდი იმ წუთებში. რას ნიშნავს ეს ჩვენი შვილებისთვის? — ამ ეპოქიდან გამოსვლა მარტივი არ არის.

ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და უნდა გვესმოდეს, რომ ვართ გაგლეჯილები ორი სუპერ-ძალის, ორი ზე-სახელმწიფოს ჭიდილში. ჩემთვის, პირადად, როგორც ქართველისთვის მიღებია მხოლოდ გამორჩევითი პოზიცია, როდესაც ადამიანი ამბობს, რომ აქედანაც და იქიდანაც მე უნდა ავიღო მხოლოდ ის, რაც ჩემი ქვეყნისათვის არის მისაღები და არავითარ შემთხვევაში არ დავამონო ჩემი ქვეყანა, ჩემი ტრადიცია, ჩემი კულტურა თავიდან ბოლომდე რომელიმე მხარეს. როდესაც ამბობ, რომ ერთი არის თავიდან ბოლომდე კარგი, ხოლო მეორე თავიდან ბოლომდე ცუდი, მაშინ შენ ღალატობ ქართველობას – ეს არის ჩემი მსოფმხედველობა, რასაც ძალით არავის ვახვევ.

პირადად ჩემთვის ქართველობა ნიშნავს ნორმალურობას და ტრადიციული საზოგადოების ღირსეულ წევრობას. როდესაც არ შეიძლება იქნას სიტუტუცე და უზრდელობა; სადაც კაცი უნდა იყოს კაცი, ქალი უნდა იყოს ქალი; შვილი პატივს უნდა სცემდეს მშობლებს. არ უნდა იყოს გაუთავებელად ადამიანების ერთმანეთზე თავებით დაჯახება ეთერში და ამ ისედაც გაწვალებული ჩვენი მოსახლეობის, რომელიც სახლში მოდის და ტელევიზორს რომ ჩართავს, უნდა დაისვენოს, ფსიქიკა დაიწყნაროს, რაღაც კარგი ნახოს, რაღაც განათლება მიიღოს, ამის ნაცვლად ვიღაცამ ტელეეკრანიდან გადმოყოს თითი, ჩაუყოს სულში და უჩიჩქნოს ყველაზე ბინძური ვნებები, აიყოლიოს, ააგდოს, აანერვიულოს, მერე მიაჯინოს კომპიუტერთან და რაღაც ანონიმური სახელებით ზიზღის და ცინიზმის გაუთავებელ ნაკადს ანთხევდეს.

ჩვენ ქვეყანაში იმდენი კარგი რამ ხდება — მაგრამ არავის აინტერესებს. ათასი კარგი ოჯახი არის, ვიღაც თავის ფერმას უვლის, ვიღაც თავის ბიზნესს აშენებს, ვიღაც საკუთარ მშობლებს ესიყვარულება — ეს საერთოდ არ გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს იმ პოლიტიკოსმა ამაზე რა თქვა, იმან რა თქვა, თქვენ რას ფიქრობთ – აბსოლუტურად არ მაინტერესებს! მე აქ მოვედი მხოლოდ იმიტომ, რომ ვცდილობ, არ მიიღონ მიწის კანონი ამ ფორმით.

ის, რასაც სააკაშვილი აკეთებდა ამ ქვეყანაში, არ იყო მხოლოდ მისი და მისი დანაშაულებრივი გუნდის ხუშტურები, ეს უფრო დიდი ძალის სურვილები იყო. საწყალი... ვუსამძიმრებ უკრაინას! როდესაც იმ საწყალ, გახლეჩილ, სისხლისგან დაცლილ, გაუბედურებულ ქეყანას ახლა ეს ურდალაკების გუნდი მოახვიეს თავს და უნდათ გააკეთებინონ ის, რასაც ჩვენთან აკეთებდნენ.

ის რაც დღეს ხდება უკრაინაში, ევრომაიდანზე, არაკონსტიტუციური, სისხლიანი სამხედრო რევოლუცია, როგორ შეიძლება კორუმპირებული იანუკოვიჩი მოგწონდეს, მაგრამ ამერიკელებმა არ მოახდინეს? ვიქტორია ნულანდი დადიოდა და ფუნთუშებს არიგებდა კიევის ცენტრში ოპოზიციონერებთან... უბედურებაა, რაც

9 gv.

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

ვინ გამოაცხადებს საქართველოს მშვიდობის სახლად?

ვახტანგ ხარჩილავა

მიუხედავად იმისა, რომ 21-ე საუკუნეა, ადამის მოდგმამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლა.

ის ისეთივე სასტიკი, უგნური და ველურია, როგორიც იყო 20, 30, 40 საუკუნის წინათ.

კაცობრიობის ის ნაწილიც კი, რომელიც თავის თავს ცივილიზებულს ეძახის, „ცივილიზებულად“ კლავს, ხოცავს, ანადგურებს და ამ საშინელებას ჰუმანიზმის, პროგრესის, დემოკრატიის სახელით აკეთებს.

თუ ეს ცივილიზაციაა, მაშინ ეს არის ცივილიზაცია კანიბალებისა, რომლებმაც განადგურების ტექნოლოგია გაა-ლებად ანაღვლებთ – საქართველო მათთვის სამშობლო კი არა მსხვერპლშეწირვის საგანია, რომელიც მსოფლიოში აგიზგიზებულ დიდ სატანისტურ ცეცხლს უნდა შესწირო.

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ „ვარდების რევოლუციად“ წოდებული უბედურება ეს იყო წმინდა წყლის სატანისტური რიტუალი, ამ რიტუალისთვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტიკით.

ის, რასაც „ნაცმოძრაობა“ ცხრა წლის განმავლობაში აკეთებდა და რასაც ახლა აკეთებს, 2003 წლის ნოემბერში დაწყებული იმ სატანისტური რიტუალის გაგრძელებაა და ეს არ დამთავრდება, სანამ არ დამთავრდება თვით „ნაცმოძრაობა“.

* * *

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თავგამეტებით ცდილობს, როგორმე სხვებს გადააბაროს და გადაუნაწილოს დამოუკიდებლობის ტვირთი.

თითქოს არასრულფასოვნების კომპლექსი სჭირს ან კიდევ უარესი – დამოუკიდებლად მოქმედების ავადმყოფური შიში აქვს და სულ ვიღაცას ეპოტინება, რომ დაეყრდნოს.

ამასთან ერთად, სულ ვიღაცას ბაძავს, სულ ვიღაცის ტყავში ცდილობს შეძრომას, რომ როგორმე გადაკეთდეს და გადასხვაფერდეს.

სულიერების პლასტიკური ოპერაცია ჰქვია იმას, რასაც დღეს ჭრა-კერვაში დაოსტატებული უცხოელი „ქირურგები“ გვიკეთებენ, ჩვენ კი გვიხარია, საკუთარ მეობას და თავისთავადობას რომ ვკარგავთ და ვიღაც სხვას რომ ვემსგავსებით.

არადა, **საქართველო არა მარტო გეოპოლიტიკური, არამედ გეოკულტურული გზაჯვარედინია,** კულტურათა და ცივილიზაციათა გადაკვეთის წერტილია, რამაც ჩამოაყალიბა ქართული ხასიათის თავისთავადობა, მისი ტოლერანტული ბუნება და შემწყნარებლობა.

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში არავინ არასოდეს არ უდევნიათ ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით.

საქართველო მთელი თავისი არსებობის განმავლობაში მუდამ იყო მშვიდობისა და სიკეთის სახლი ყველასთვის, ვისაც ამ სახლის კარი შემოუღია და თავშესაფარი უთხოვია.

ჩვენ არ გვჭირდება დემოკრატიის სწავლება, რადგან ჩვენი ეროვნული ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ თვითონ ვართ ერთ-ერთი პირველნი, რომლებიც ჯერ კიდევ შორეულ საუკუნეებში დემოკრატიულ ინსტიტუტებს ვუყრიდით საძირკველს.

როდის გავბედავთ ჩვენ, დანარჩენ მსოფლიოს ვუთხრათ: ნუ უყურებთ საქართველოს, როგორც სამხედრო ბაზების განლაგებისთვის ხელსაყრელ და მომგებიან ადგილს – შემოგვხედეთ, როგორც კულტურათა სახლს, შემოგვხედეთ, როგორც თანასწორს, როგორც პარტნიორს და არა „პაბეგუშკაზე“ გასაგზავნ ხელისბიჭს, რომელსაც ხან ვინმესთვის პანღურის ამორტყმას ავალებენ, ხან ვინმესთვის ენის გამოყოფას ან შეგინებას.

საქართველო დღეს დენთის საწყობივითაა – ერთი ნაპერწკალი და ავფეთქდებით...

ვინ გაბედავს და ვინ გამოაცხადებს საქართველოს მშვიდობის სახლად, მშვიდობის ზონად, რომელიც ერთმანეთის გასანადგურებლად დაძრულ ცეცხლის გრიგალებს გაჰყოფს და შეაკავებს.

საქართველოს, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით, შეუძლია ეს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია შეასრულოს, თუმცა ეს რომ გავაკეთოთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ჩვენი ფუნქცია სწორად გვესმოდეს.

აუმჯობესებს და თუ ადრე ჯოხით, ქვით, შუბით, ისრით, ხმლით კლავდნენ, ახლა ატომური, ქიმიური თუ ბაქტერიოლოგიური იარაღით ჟლეტენ ადამიანებს.

დედამიწაზე სატანის ზეიმია.

დედამიწაზე დიდი უღმერთობის, დიდი ცინიზმის ეპოქა ჩამოდგა, ამ ეპოქის იდეოლოგები და შემოქმედნი გვარწმუნებენ, რომ სინათლისა და სიკეთისკენ მივდივართ.

არადა, მათ მიერ შემოთავაზებული სინათლე სინამდვილეში სიბნელეა, მათ მიერ სიკეთედ შემოსაღებული სიკეთე – ბოროტება, მათი ლმობიერება და კაცთმოყვარეობა – სისასტიკე და სადიზმი.

კაცობრიობის „ცივილიზებული“, „ელიტარული“ ნაწილი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებისკენ გვაქეზებს და ამის გაპროტესტებასდ ადამიანის უფლებათა დაცვის წინააღმდეგ გალაშქრებად მიიჩნევს.

კაცობრიობა შეიშალა, კაცობრიობა შიზოფრენიის ზღვარზე დგას.

* * *

დღეს „ნაცმოძრაობა“ და სააკაშვილი რომ ყოფილიყვნენ ხელისუფლებაში, მერწმუნეთ, საქართველო უკვე ჩართული იქნებოდა იმ ომში, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომად იწოდება, თუმცა ეს ომი ამ ორი, სისხლით და ხორცით მონათესავე ერის დაპირისპირების ფარგლებს სცილდება და შეიძლება ისეთ მასშტაბებს მიაღწიოს, რომ მთელი მსოფლიო ცეცხლის ალში გაეხვიოს.

სააკაშვილს და მის ბანდას ძალიან სურს საქართველოს როგორმე უკრას თავი ამ ცეცხლში, რაც ასპროცენტიანი გარანტიით ქართული სახელმწიფოს სრული განადგურებით დამთავრდება, თუმცა სააკაშვილს და მის სექტას ეს ნაკ-

7 gv.

ხდება სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში, მაგრამ რისი შედეგია? – ამერიკელების მოწყობილი ანტიკონსტუტუციური გადატრიალებისა კიევში.

არა, დედა ვაგინოთ რუსეთს, როგორც მიშა აგინებდა შეშინებული შორიდან, ვიძახოთ რომ ჩვენ მაინც მოგიგეთ ომიო და როცა ის ტანკები შემოგრიხინდებიან აქ, კონცერტები მოვაწყოთ და ვიძახოთ რომ მოვიგეთ ომი. რას ნიშნავს ეს ჩვენი ფსიქოლოგიური მიდგომა? სლავები, ძმები ხოცავენ ერთმანეთს – აბსოლუტური სისულელეა, ახლა ჩვენ მხარეები დავიჭიროთ და ვიძახოთ რომ მოდით, წავიდეთ უკრაინაში, ვიომოთ და ვახოცინოთ უკრაინელებს რუსები. თუ ომი გვინდა, ვიომოთ ჩვენი ქვეყნისთვის, რა?! ამ სიტუაციაში, როცა ორი ზე-სახელმწიფო გლეჯს ერთმანეთს, შენ, პატარა ქვეყანა ხარ შუაში და ხედავ, პრაქტიკულად ერთი ერი ხოცავს ერთმანეთს, აქედან იჭიჭყინო და იძახო, მე ერთის მხარეს ვარ რომ მეორეები მოვკლა, არის საქართველოს ღალატი. როდესაც შენ გამოდიხარ და ომობ ამ ომში რომელიმე მხარეს, შენ ღალატობ შენ ქვეყანას – შენ ქვეყანას მიხედე, რა?!

ჩვენი ამოცანა არის საქართველოს გადარჩენა, რაც ნიშნავს იმას, რომ არასოდეს არ შევარჩენთ რუსეთის სახელმწიფოს ჩვენი მიწების მიტაცებას, მაგრამ სწორედ ეს მსოფლხედვა ნიშნავს იმას, რომ არასოდეს არ მივიღებთ დასავლეთიდან ყველაფერს, არ ვიტყვით, რომ რადგან დასავლეთიდან მოდის, შემოვუშვებთ ჩვენ ოჯახებში და დავნერგავთ – აი, ეს არის ქართველობა, სხვა ყველაფერი მოღალატეობაა.

მაგალითად, იმისათვის, რომ აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა, გვინდა თუ არ გვინდა, პირდაპირ უნდა დავუჯდეთ კრემლს და ველაპარაკოთ როგორ აღვადგინოთ – არა, ოლანდთან ლაპარაკებით მოაგვარებთ რუსეთთან პრობლემებს და კიდევ მერკელთან! და აი, ამას შეძლებისდაგვარად გვიკრძალავენ ჩვენ დასავლური არასამთავრობები, ქართული ტელემედიის დიდი ნაწილიც და ზოგიერთი დასავლური ქვეყნის საელჩო.

რეგიონალური დაცლა – ყველანაირი ინიციატივა, რასაც ჰქვია სოფლის აღორძინება და ეკონომიკური ვექტორების იქით გადატანა, არის აღკვეთილი და მთელი პოპ კულტურა მიმართულია იმისკენ, რომ ყველა გადმოვიდეს თბილისში და იძიგძიგოს ღამის კლუბებში. ასიმეტრიული ურბანიზაცია არის კატასტროფა ჩვენთვის. თბილისი არის 1,5 მლნ-იანი მეგაპოლისი, სადაც სამსახური აქვს ჩემი ვარაუდით მხოლოდ 500 000 კაცს. როგორ, კაცო! ჩვენ გვაქვს მსუყე, ქონიანი მიწა, რომელზეც ყველაფერი მოდის. საქართველოში, საშუალოდ 84% იმისა, რასაც ვჭამთ, შემოდის გარედან. რატომ არის სასოფლო-სამეურნეო მიწების ნახევარი დაუმუშავებელი – იმიტომ რომ ბოლო 30 წელია პოლიტიკა გვაქვს ასეთი! აქედან თურქეთში პამიდორი რომ

პირადად ჩემთვის ქართველობა ნიშნავს ნორმალურობას და ტრადიციული საზოგადოების ღირსეულ წევრობას, სადაც კაცი უნდა იყოს კაცი, ქალი უნდა იყოს ქალი...

გაიტანო 300% გაქვს ბაჟი, იქიდან რომ შემოდის 0-ია ბაჟი – ასეა ყველაფერში, შანსი არ დავუტოვეთ ჩვენ სოფლის მეურნეობას რომ ქვეყანა თვითონ გამოკვებოს.

საქართველოს მიწის ფონდი 700-800 ათასი ჰექტარი, ეს არის კატასროფულად მცირე. ის, რასაც ჩვენ მოვითხოვთ რომ ჩაიდოს „მიწის კოდექსში“ არის ზუსტად ის, რაც არის იქ – ხომ გინდათ რომ დასავლეთს დავემგვანოთ?! ზუსტად ის რეგულიაციები, რაც არის დასავლეთში, გვინდა რომ ის ჩაიდოს აქაც. მაგალითად, ავსტრიაში რომ იყიდოთ სასოფლო-სამეურნეო მიწა, როგორც უცხოელს, უნდა იყოთ რეგისტრირებული ავსტრიაში, გქონდეთ 10-წლიანი გამოცდილება (დამტკიცებული) სასოფლო-სამეურნეო მიწების დამუშავებისა, უნდა წარადგინოთ ბიზნეს-გეგმა რას აპირებ იმ მიწაზე და თუკი შენი ბიზნეს-გეგმა არ ეწინააღმდეგება ავსტრიის ამ რეგიონის სოციო-კულტურულ ტრადიციებს მაშინ მოგცემენ ამ მიწის ყიდვის უფლებას; თურქეთში – მაქსიმუმ, შემიძლია ვიყიდო 2,5 ჰექტარი; არგენტინაში – პირდაპირ უწერიათ, რომ რომ 20%-ზე მეტი არ შეიძლება ეკუთვნოდეთ უცხოელებს; დანიაში – დანიელმა რომ გვიჩივლა, მისივე ქვეყანაში უცხოელი მიწას ვერ იყიდი თუ არ ცხოვრობ იქ ხუთი წელი, არ გაქვს ფერმერის სერტიფიკატი, არ წარმოადგენ ბიზნეს-გეგმას და ა.შ აშშ-ში, რომელიც გაღმერთებული გვყავს და შევდაღადებთ, სასოფლო მიწების 1%-ზე ნაკლები ეკუთვნით უცხოელებს. უყურეთ, რა ცირკია! – იქიდან აქ გვთხოვენ მივიღოთ კანონი რომელიც თვითონ არ უნდათ თავიანთ ქვეყნებში. მათ შორის, 10-ჯერ, 20-ჯერ იაფია ჩვენთან, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში...

სასოფლო-სამეურნეო მიწა არის ერის სასიცოცხლო რესურსი და ვერ იყენებს იმიტომ, რომ დააჩოქე, დაამონე, ყველანაირი საზღვარი გაუხსენი, არანაირი დაფიანსება არ მიეცი და გაანადგურე. „ქართული ოცნება“ რაც მოვიდა, 400 000 ჰექტარი მოხნეს 2013 წელს, გიორგი მარგველაშვილს დავურეკე, ბიძინას ჩემგან მადლობა უთხარი-მეთქი, რომ მოვფრინავდი, პირველად ოცი წელია, საითაც გავიხედავდი ნახნავი მიწები დავინახე-მეთქი – გული ამიჩუყდა. სასოფლო-სამეურნეო მიწა არ არის ნავთობი, ის არ თავდება, ულევია, ოღონდ არ თავდება დროში, თავდება რაოდენობაში. ხომ გვინდა ეს ევროპელობა და ამერიკელობა, რავა ყველაფერ უმსგავსობასა და უზნეობაში გვინდა, ამაში მივბაძოთ, როგორც იქ არის, ისე გავაკეთოთ! რასაც ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ, რომ ეს დაეცვათ, ახლა ჩვენ გვინდა რომ „აბა, ინვესტიციებს ვინ ჩადებს“...

სინგაპურიზაცია თქვენ საკაშვილის შემთხვევითი ლოზუნგი გგონიათ? სინგაპური რა არის, იცით? 5 მლნ-იანი ქალაქი-ქვეყანა, რომელსაც ერთი სოფელი არ აქვს და არის ერთი ოჯახის დიქტატურის ქვეშ – დემოკრატია არ გეგონოთ სინგაპური თქვენ!

ანტიდისკრიმინაციული კანონი იყო საქართველოს ზნეობის გამყიდველობა და ჩემი, როგორც მოქალაქის ცხოვრების აზრი არის ის, რომ მივიდეთ იმ რეალობამდე, როცა ამ კანონს გავაუქმებთ და როგორც მე თქვენ გიყურებთ, ისე გავაუქმებთ.

ვგავარ მფრთხალ კაცს? მე მეშინია იმის, რომ საქართველო წაილეკება თუ ასე გაგრძელდება ამ აგრესიული რელიგიით, რომელსაც ჰქვია დასავლური ლიბერალიზმი, რომელიც ანადგურებს ადამიანს. 45 მლნ ბავშვი იკვლება ყოველ წელს მსოფლიოში დედის საშოში და ამას ჰქვია „დედის უფლება“. ამდენი ადამიანი ყოველ წელს კაცობრიობის ისტორიაში არ მოუკლავს არც ერთ რელიგიას. მათ შორის, ჩვენს ქვეყანაში იკვლება 40 000 ოფიციალურად, არაოფიციალურად 120-150 ათასი ბავშვი. იყოს 100 ათასი, ეს იცით რამდენია? ჩვენ სულ ვაჩენთ 55 ათასს! როგორ უნდა გავმრავლდეთ, როგორ უნდა გავბრწყინდეთ! გაერო-მ დაგვითვალა და გვითხრა, რომ 2050 წელს ქართველების რაოდენობა საქართველოში შემცირდება 50%-ით თუ რაღაცას არ ვიღონებთ, მაგრამ ამავე პერიოდში, საქართველოშივე ჩვენი მოძმე აზერბაიჯანელების რაოდენობა გაიზრდება 35%-ით, სომხებისა 7%-ით – იდენტურ სოციალურ პროფილში. რა ხდება? რაღაც, რაც ჩვენ არ გვყოფნის იმისთვის, რომ შვილები გავაჩინოთ, მათ ჰყოფნით. **ჩვენ იდეოლოგიური დაავადება გვჭირს, რაღაც ცრუ იდეოლოგიის ქონა, რომელმაც მიგვიყვანა იქამდე, რომ მიწების 22% დაკარგეთ, რაოდენობრივად გავნახევრდით, გავნარკომანდით და ახლა კიდევ ახალი უბედურებები გვემართება. ფიზიკურად ვნადგურდებით ამ იდეოლოგიის გამო, ამაზე უნდა ვლაპარაკობდეთ და არა იმაზე, რატომ მივედი მე კანცელარიაში“.**

ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲓᲘᲡᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲗᲐᲠᲘᲐ

ᲒᲔᲓᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ,

ანუ სამუდამო დევნილის მოგონებები და ფიქრები



ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲗᲐᲠᲘᲐ

ყოველთვის, როცა რუსეთზე საუბრობენ, მას სხვების მსგავს სახელმწიფოდ წარმოიდგენენ. სინამდვილეში ასე არ არის. რუსეთი – განსაკუთრებული სამყაროა, მუდამ ერთი ადამიანის ნება-სურვილსა და ფანტაზიას დამორჩილებული, – მნიშვნელობა არა აქვს, პეტრე იქნება ის, თუ ივანე: ყველა შემთხვევაში, ეს თვითნებობის განსახიერებაა. ადამიანური თანაარსებობის ყველა კანონის საპირისპიროდ, რუსეთი მიაბიჯებს საკუთარი თვითდამონების და, ამავდროულად, მეზობელი ხალხების დამონების გზით. ამიტომაც, ახალ, განსხვავებულ რელსებზე მისი გადაყვანა არა მარტო სხვა ხალხების, არამედ თვით რუსეთის პირად ინტერესებში შედის.

პ. ი. ჩაადაევი, „L`Univers“, 15 იანვარი, 1854 წელი

სოხუმის ყოფილი ცენტრალური ქუჩის გაყოლებაზე (ომის შემდეგ ქალაქს „სუხუმ“ ეწოდა, მის ცენტრად კი ბაზარი იქცა, და ყველაფერი, რაც ამ ბაზრის მიღმაა, პერიფერიას წარმოადგენს), წიგნის მაღაზიის ფანჯრის რაფებზე გამოფენილ წიგნთა შორის, თვალი ვკიდე გარეკანს დამაინტრიგებელი სათაურით – „პოსტსკრიპტუმი“. რაკი ავტორის გვარი მეცნო, შევჩერდი, გადავფურცლე. ერთ-ერთ გვერდზე კურიოზული ფრაზა ამოვიკითხე, რის გამოც, – არ ვიცი, შევძრწუნდი თუ გავხალისდი, – ზედმეტად ხმამაღლა წამოვიძახე: „კხა!“, და უცებ გამახსენდა, რომ ავტორი, ალექსეი გოგუა, არც მეტი, არც ნაკლები, ყოფილი თავმჯდომარე, ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო 80-იანი წლების ბოლოს შექმნილი აფხაზური წითელყავისფერი პარტიისა – „აიდგილარა“, რომელმაც ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღო ომისათვის მზადებაში, ომის დროს კი – ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებიდან მებრძოლი ბოევიკების მობილიზაციაში. „სწორედ შენ მჭირდებოდი, მეგობარო“, – ბოროტი სიხარულით გავიფიქრე და ვიყიდე წიგნი, რომლის გარეშე ეს მოთხრობა, შესაძლოა, არც შექმნილიყო – მოგეხსენებათ, ყოველგვარ დასაწყისს მიზეზი უდევს საფუძვლად, ამ შემთხვევაში კი მიზეზი გახდა ის, რომ გამახსენდა ძველი, მაგრამ დღემდე ძალზე ნაცნობი და ტკივილიანი ისტორია, რომელიც 1989 წლის 9 აპრილს უკავშირდება. ამ ისტორიის ერთ-ერთი ფიგურანტი იყო ავტორი წიგნისა, რომელსაც ახლა მშვიდობის პროსპექტზე მდებარე წიგნის მაღაზიასთან ვფურცლავდი.

1989 წლის 9 აპრილის ისტორიული თარიღის შესახებ, რომლის შემდეგაც ქართულ-აფხაზური ომის გათვლა უბრალოდ „თითებზე“ შეიძლებოდა, აგრეთვე იმ როლის შესახებ, რომელიც ალექსეი გოგუას დაეკისრა ამ მოვლენების დროს, და იმაზეც, თუ როგორ აისახა ეს ისტორიული თარიღი თქვენს წინაშე წარმოდგენილი „მოგონებების“ ავტორის ცხოვრებასა და ბედზე, ქვემოთ ვისაუბრებთ... ახლა კი, ერთი ცოცხალი მაგალითით, მინდა იმათ დასანახად, ვინც ადვილად წამოეგება ამა თუ იმ მოვლენის ან მის უკან მდგარი პიროვნებების პროპაგანდისტულ ანკესს, ვაჩვენო – როგორი სახისა და ხასიათის, რა განათლებისა და ინტელექტის პერსონები წყვეტენ ათასობით, ზოგჯერ – მილიონობით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებს, ან სულაც მთელი ხალხების ბედს. თავს უფლებას მივცემ შეგახსენოთ, რომ იმ ხალხთა ბედი (მით უფრო – ისტორიის გარდამტეხ, ავბედით პერიოდებში), რომელთაც სათავეში უდგანან უვიცი, ხარბი, სიძულვილითა და ბოროტებით დაბრმავებული წინამძღოლები, გრძელვადიან პერსპექტივაშიც კი არასახარბიელოა: ადრე თუ გვიან, სამართლიანი შურისგება პოულობს მათ, და ამის მაგალითები მრავლადაა როგორც ისტორიულ წარსულში, ისე თანამედროვე ისტორიაში; აიღეთ თუნდაც იუგოსლავია, რომელმაც შეწყვიტა არსებობა...

მაგრამ, დავუბრუნდეთ „კულტურის“ საყოველთაოდ ცნობილ და პატივსაცემ მოღვაწეს, ერთ-ერთ ბელადს აფხაზი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა „სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის“, – ბრძოლისა, რომელიც დასრულდა შიდა სისხლიანი ბუნტით, უაზრო და დაუნდობელი დაპირისპირებით, რის შედეგადაც, აფხაზეთი, რომელსაც საქართველოსგან თავდასახსნელად გამოყენებულმა მეთოდებმა და საშუალებებმა სამუდამოდ დააკარგვინა ადამიანურობაც, – იქცა იმად, რადაც რჩება დღემდე: ბუფერულ ზონად და საბრალო ხელისშემყურედ მძლავრი მეზობლისა, რომელიც „ოქროს მთებს“ ჰპირდებოდა მას სამშობლოს ღალატისა და გამყიდველობის სანაცვლოდ, შემდეგ კი მოექცა ისე, როგორც შეიძლებოდა მოქცეოდა მოძალადე სადისტი თავის მოტყუებულ და უკვე დაუცველ მსხვერპლს. მე როცა მეკითხებიან, თუ როგორ მესახება შესაძლებლობა ან პირობები აფხაზეთის დასაბრუნებლად საქართველოს იურისდიქციაში, ხშირად ასეთი მაგალითით ვპასუხობ: – წარმოიდგინეთ, რომ მოღალატე ცოლი, რომლის ქმარი მივლინებაშია, საყვარელმა დაიყოლია დაეხოცა შვილები და გაქცეულიყო მასთან ერთად სადღაც, სადაც მშვიდად და ბედნიერად იცხოვრებდნენ, რასაც ქალიც დათანხმდა. შედეგად, გაირკვა, რომ მოტყუებული ქალის იმედები სანახევროდაც არ გამართლდა, საყვარელი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორადაც მას წარმოედგინა – და ყოველივე ამის შემდეგ, შეძლებს კი ის დაუბრუნდეს ქმარს, მის მიერ მოკლული შვილების მამას?

უფრო სერიოზულად თუ შევხედავთ დღეს არსებულ რეალურ ვითარებასა და გარემოებებს, აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში შესაძლო დაბრუნებას უთუოდ დასჭირდება მინიმუმ ორი-სამი თაობის შეცვლა მაინც, ან გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებები კავკასიაში; პოზიტიური მიმართულებით პროცესების დაჩქარებას ხელს შეუწყობდა რუსეთის ხელისუფლებაში ისეთი ძალის მოსვლა, რომელიც საღი აზრითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით იხელმძღვანელებდა, რაც რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში შეუძლებლად გვესახება. ისეთი შეგრძნებაა, რომ ეს ხელისუფლება რუსეთს, და არა მარტო მას, კატასტროფული და საბედისწერო შედეგისკენ მიაქანებს...

2000 წელს, სამშობლოს იძულებით დატოვებიდან 8 წლის შემდეგ, პირველად რომ მივუახლოვდი საზღვარს მდინარე ფსოუზე, ჩემი პირველი

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲠᲘᲜᲐᲨᲘ“ (№1.2015 Წ.)

ᲖᲐᲣᲠ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲘᲐ



ბატონი ალექსეი თარია გუდაუთელია, იქ დაბადებული და გაზრდილი... უაღრესად განათლებული, მოაზროვნე, მწერალი, დისიდენტი, რაც მთავარია, თხემით ტერფამდე აფხაზი, პატრიოტი... პატრიოტს რომ ვწერ, აფხაზთა უმრავლესობა არ დამიჯერებს, პირიქით, ისინი, თუ გნებავთ, უახლოესი სანათესაოც მას „ძე შეცთომილად“ და „რჯულგანდგომილად“ მიიჩნევს. მეტიც, სამშობლოს ღალატში სდებენ ბრალს! ბატონმა ალექსიმაც რა ქნას, ასეთი დაიბადა, უმრავლესობისათვის ურწმუნო, ავკამი, მცირეთათვის – თავნება და მარტვილი... „აფხაზებს განსაკუთრებული სიმართლე გვაქვსო!“ ირწმუნებიან აფხაზები. ამ „განსაკუთრებული სიმართლის“ არ სჯერა აფხაზ თარიას და ამიტომ დევნიან, ავიწროებენ, ლამის ჯვარს აცვან... ის მაინც თავისას არ იშლის, მათ „განსაკუთრებულ სიმართლეს“ უპირისპირდება... არ ეგუება იმ რეალობას, რაც მის გარშემოა, მშობლიურ აფხაზეთში, გრძნობს და სჯერა, დამოუკიდებლობას და ეროვნულობას კი არ იბრუნებს, სამუდამოდ კარგავს.

სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო, ამბობს ქართული ანდაზა. ასეც იყო, ჯერ კიდევ 1968 წელს, სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი საკავშირო სუკ-ის აღრიცხვაზეა აყვანილი. ვინ მოგცემს იმის უფლებას საზოგადოებაზე უკეთესი იყო! „ჯვარს აცუ ეგე და მოგვიტევე ჩუენ ბარაბა!“... გვახსოვს ქრისტეს ცხოვრებიდან. ბრბო ბრბოა, ამ კუთხით ორი ათასი წელი ერთი ბნელი ღამეა... ამ უბედურებიდან ისევ ნათესავმა, გუდაუთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა უშანგი კვიწინიამ იხსნა, უფრო ზუსტად – თავს უშველეო, აფხაზეთიდან გაეპარა და, როგორც თავად აღნიშნავს, გულაგს გადაარჩინა. კი, გულაგს გადაურჩა, მაგრამ ჭეშმარიტებას ვერ გაექცა, სიმართლე მისთვის ყველგან სიმართლე იყო, მშობლიურ გუდაუთაში, ლენინგრადში თუ ჩიმაკენტში... და ასე, სანამდე საბჭოთა პასპორტი სწვდებოდა, იხეტიალა, იარა სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ ყარიბად, პილიგრიმივით ხუთი უსაშველო წელიწადი. სულიერად არ გატყდა, პირიქით, წიგნისა და ფიქრის კაცად იქცა და უკვე „გამოუსწორებელ“ დისიდენტად მობრუნდა სამშობლოში.

ბატონმა ალექსეი თარიამ დიდებულად იცის, აფხაზი ხალხის ვინ მტერია და ვინ მოყვარე.

გონიერმა საქართველომ ყოველთვის იცოდა და ამტკიცებდა, რომ აფხაზური ეთნოსი ქართულის ორგანული ნაწილი იყო და არის. რომ ჩვენ გვაქვს ერთი მიწა, ერთი კულტურა, ერთიანი საარსებო სივრცე და, თუ გადავრჩებით, ერთად გადავრჩებით! არ სჯერა ეს აფხაზს, განსაკუთრებით, ჩემს თაობას... მას სხვანაირად აუხსნეს, სხვანაირად ასწავლეს... ამ მომაკვდინებელი ვირუსით ორ საუკუნეზე მეტია იჟღინთება აფხაზური გარემო... თვითმკვლელობა დიდი ცოდვაა ქრისტიანულ სამყაროში. ვერ ვიტყვი, აფხაზი კაცი შაჰიდის ქამრით დადის მეთქი, მაგრამ მსგავს ქამარს რომ ეპოტინება უაზროდ და ამას მშობლიური მიწისა და მომავლის სიყვარულით ვაკეთებო, თუ ფიქრობს, დამთავრებულა ყველაფერი!

ამას გრძნობს აფხაზი კაცი, ბატონი თარია და აწუხებს.

ეს მაწუხებს მეც, მის ნათესავ ქართველ კაცს!

აფხაზებსა და ქართველებს შორის პრობლემები და დაპირისპირებები სხვა საუკუნეებშიც იყო, მაგრამ ჩვენი საერთო წინაპრების სიბრძნე და საქციელი ჭრიდა თუ საყოველთაო კავკასიური სამართალი, სისხლისღვრამდე იშვიათად მივდიოდით.

აზრი იყო – შორს, უკანმოუხედავად შორს აქაურობისგან! – მაგრამ როცა გამახსენდა, რომ წასასვლელი არსად მქონდა, თავი მოვთოკე და მეტი დაკვირვებით მიმოვიხედე.

...აგვისტოს მცხუნვარე მზის ქვეშ, ყველა მხრიდან შემოსაზღვრულ მავთულხლართის მაღალ ღობეს ხან ერთი მხრიდან აწყდებოდა ხალხის უზარმაზარი მასა, ხან მეორიდან, რომელსაც აუჩქარებლად, სათითაოდ ატარებდნენ საბაჟო კონტროლქვეშ. რაღაც მომენტში, როცა დახშული კვნესა-შეძახილები წყევლაში გადაიზარდა, ვაგონის კარი გაიღო და გამოვიდა ფორმიანი ბრგე ყმაწვილი, რომელმაც ხმადაბლა, თითქოს შინაურულად, ჩაიღრინა: – რას ახმაურდით, თქვენი დედაც!?. კარს ბოქლომს დავადებ და დილამდე აქ იდგებით! – და ისევ კარს უკან გაუჩინარდა; ყმაწვილის ალაპლაპებული ტუჩები და მღვრიე გამოხედვა ადასტურებდა, რომ სადილობდა, თანაც, რა თქმა უნდა, ალკოჰოლის თანხლებით. ბრბო მაშინვე ჩაჩუმდა – როგორც ჩანს, მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მით უფრო, რომ რკინის ვიწრო შესასვლელის ურდულში დაკიდებული მოზრდილი ბოქლომი საკმაოდ დამაჯერებელს ხდიდა მუქარას...

იმაზე საუბრისას, თუ რას წარმოადგენს აფხაზეთ-რუსეთის საზღვარი მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციულიდან სახელმწიფო მნიშვნელობის საზღვრად იქცა, გვერდს ვერ ავუვლით კორუფციისა და გამომძალველობის საკითხს – „იდუმალი რუსული სულის“ უცილობელ ნიშანს, თანდაყოლილი ხალივით ამოუძირკვავსა და მოუცილებელს რიურიკოვის დროიდან დღემდე, დაუბრკოლებლად გაბატონებულს აქ დღიდან მისი გაჩენისა. საკუთარ დაუსჯელობაში დარწმუნებული მებაჟეები, ნახევრად ველური ადგილობრივი აბორიგენების სამართლებრივი უფლებების იგნორირების ხარჯზე, კანონით შემოღებული მოვალეობების გარდა, რომელთა ლეგიტიმურობა თავისთავად ეჭვის საგანია, ყველაფერში ქრთამს ითხოვენ. სახელდახელოდ მოვიყვან ორიოდ მაგალითს. ...2003 წლის შემოდგომაზე ადლერის ვაგზლის ბაქანზე ვიჯექი, ადლერი–სანკტ-პეტერბურგის მატარებლის მოლოდინში. მოულოდნელად ძმისშვილი შემხვდა, რომელიც მოსკოვში, დედასთან მიემგზავრებოდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ გოგონა რაღაცას აეღელვებინა. დავინტერესდი, – რა შეგემთხვა-მეთქი, ვკითხე. როგორც გაირკვა, მებაჟეებმა მანამ არ მისცეს ნება საზღვარზე გადასულიყო ორი თავი ყველით, სანამ უკანასკნელი 100 რუბლი არ გადაახდევინეს. რომ არა ჩვენი შეხვედრა, მას დღენახევრის განმავლობაში მგზავრობა ჩაისა და თეთრეულის გარეშე მოუხდებოდა. 2010 წელს, იგივე საზღვარზე, გამაჩერეს 5 ლიტრი თაფლით, რომელიც საჩუქრად მიმქონდა პეტერბურგში. უშედეგო კინკლაობის შემდეგ, მოვითხოვე მორიგე ოფიცერთან შეხვედრა, რომელთან საუბრის დროსაც (როგორია – ცოლზე დაიჩივლო სიდედრთან?) მეორე მებაჟე მონდომებით აკაკუნებდა კომპიუტერის კლავიატურას – იქექებოდა მონაცემთა ბაზაში. მთელი ეს პროცესი დასრულდა იმით, რომ კომპიუტერთან მჯდომმა მიიხმო ოფიცერი და ჩაულაპარაკა: „ – მასზე არაფერია“, რასაც პასუხად მოჰყვა: „ – გაატარე“... ერთი წლის შემდეგ, იგივე საბაჟო ტერმინალის სიახლოვეს, ამ ადამიანებმა (რომლებსაც სამსახურებრივად ევალებათ ყველას შესახებ ყველაფრის ცოდნა), ალბათ, ჩემ მიერ ადრე მიყენებული „წყენის“ გამო, შემომასაღეს ბილაინის სიმ-ბარათი საბანკო დავალიანებით – ერთგვარი ყვითელი „დავითის ვარსკვლავი“, ალბათ, იმისთვის, რომ მათი თვალთახედვიდან არ დავკარგულიყავი რუსეთის უკიდეგანო სივრცეებში. ამ საზღვარზე, რომელსაც 14 წლის განმავლობაში სხვას ვერაფერს ვუწოდებდი, თუ არა „ქურდულ შალმანს“, მსგავს მაგალითებს თვლა არ აქვს...

ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ, სსრკ/რფ-ის სპეცსამსახურების ბევრმა ოფიცერმა, რომლებიც ომამდე გაცილებით ადრე საფუძველს უყრიდნენ, ომის დროს კი ორგანიზებას უწევდნენ აფხაზი ხალხის სისხლიან დაპირისპირებას ქართველ მოსახლეობასთან, საზღვარ „ფსოუზე“ მაღალი თანამდებობები მიიღეს. დღეს ისინი კრასნოდარის მხარის სანაპიროზე ათეულობით მილიონი დოლარისა თუ ევროს ღირებულების უძრავი ქონების მფლობელები არიან. 1991 წლიდან დღემდე აფხაზეთის მოსახლეობის ხარჯზე მათ მიერ ნაძარცვი ფულით თავისუფლად აშენდებოდა და კეთილმოეწყობოდა სანაპირო ზოლი ფსოუდან ენგურამდე მთელი თავისი ინფრასტრუქტურით, თუმცა 220 კილომეტრზე გადაჭიმული სანაპირო დღემდე გაველურებისა და მოუვლელობის საძაგელ სანახაობას წარმოადგენს. 2002 წელს აფხაზეთში სამსახურებრივ საქმეზე მყოფ კ. ზატულინს როცა თავისი შთაბეჭდილების შესახებ ჰკითხეს, მან ზუსტად ასე უპასუხა: „ – მე, როგორც რუსეთის მოქალაქეს, მრცხვენია, როცა ვხედავ, როგორ ძარცვავს ექვსი რუსული

უწყება აფხაზეთის ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას...“ შემიძლია თავი დავდო, რომ ეს იყო პირველი და უკანასკნელი სიმართლე, რაც ზატულინმა თქვა აფხაზეთის (და არა მარტო აფხაზეთის!) შესახებ და დარწმუნებული ვარ, ამის გამო მას მცირე უსიამოვნება როდი შეხვდებოდა ზემდგომი ხელმძღვანელობისაგან. მახსენდება, რომ „აფხაზეთის ღატაკი მოსახლეობის“ ძარცვის შესახებ ღიად გაკეთებული ამ განცხადების შემდეგ, კ. ზატულინი დიდი ხნით გაქრა რუსული ტელევიზიების ეკრანებიდან... და დამსახურებულადაც! სირცხვილი და სინდისი გაგაჩნია? – რა გესაქმება რუსულ „ისტებლიშმენტში“! კარიერის კეთება გინდა? – უყურე და ისწავლე სხვებისგან, სერგეი ლავროვისაგან, მაგალითად, რომელიც დიდი ხანია უცვლელად ხელმძღვანელობს რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყებას სწორედ იმიტომ, რომ არასოდეს, არც ერთხელ ამ უმაღლეს თანამდებობაზე მუშაობისას, არ დასცდენია არც ერთი მართალი სიტყვა! თავისთავად ცხადია, ჩვენში სიმართლეს, ისევე, როგორც სხვა დანარჩენს, განსაკუთრებული „გაგება“ აქვს. აი, „მისმა უწმინდესობა“ პატრიარქმა კირილმაც ხომ განაცხადა ახლახან, ვ. პუტინისა და მისი მიმდევარი ისტორიული ნაფტალინის სუნით გაჟღენთილი სლავოფილების კვალდაკვალ, რომ რუსეთი – ეს „განსაკუთრებული ცივილიზაციაა“, საიდანაც „ბუნებრივად“ და უსათუოდ გამომდინარეობს, რომ ჩვენ, რუსებს, ჩვენი განსაკუთრებული სიმართლე გვაქვს, ჩვენი განსაკუთრებული „სუვერენული დემოკრატია“, სიკეთისა და ბოროტების ჩვენი განსაკუთრებული ხედვა და გაგება. „...სიკეთისა და ბოროტებისადმი სამარცხვინო გულგრილობაც“ („...Êäîáðó è çëó ïîñûäíî ðàâíîäóøíû“ - ñòèõ. „Äóì à“) ჩვენს გამო აღნიშნა ლერმონტოვმა, ჩვენი „განსაკუთრებულობის“ გამო. როგორც ახლო წარსულში იტყოდნენ ხოლმე საბჭოთა იდეოლოგები: „ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ჩვენი, განსაკუთრებული სიამაყე გაგვაჩნია!“ უკვე ყველამ ვნახეთ და ვიცით, რა მოუვიდა ამ „დემონურ“ სიამაყეს 90-იან წლებში, თუმცა ეს არ გვიშლის ხელს, ყველგან და ყოველთვის იგივე შეცდომა დავუშვათ... ამ განცხადების შემდეგ, ის (პატრიარქი კირილი) ჩემთვის – „მისი ჩეკისტუწმინდესობა“ უფროა... ყველგან, საითაც არ გაიხედავ, ეკლესიაშიც კი, „სორტირის მწვალებლისა“ და ნაციონალ-რევანშისტის „რქები და ჩლიქები“ მოჩანს...

დავუბრუნდეთ „პოსტსკრიპტუმის“ ავტორს, რომელიც აფხაზეთში ერთ-ერთ „გამორჩეულ გონებად“ ითვლება, და გადავშალოთ მისი წიგნი 29-ე გვერდზე, სადაც ის მსჯელობს ჩვენი დროის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემაზე, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ნატოს შორის, და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ე.წ. „ევრაზიული პროექტს“ შორის – გლობალიზაციის შესახებ, რომელიც ა. გოგუას ასე ესმის: (მკითხველს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს „მწერლის“, ან იქნებ, „ფილოსოფოსისაც“ კი, მარცვალსა და პუნქტუაციას) – „ასე მალე მივალთ გლობალიზაციისა და ატომიზაციის პროპაგანდამდე, რომლებიც, ემუქრებიან მსოფლიოს, როგორც ოდესღაც კლასი, რომელსაც არაფერი ჰქონდა დასაკარგი“ – „ეს ... ეს ... ეს ...

ᲒᲔᲓᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲠᲐᲐ,

ანუ სამუდამო დევნილის მოგონებები და ფიქრები

10 gv.

გი, გარდა თავისი ბორკილებისა“, – შემდეგ კი, ისევ გლობალიზაციაზე, ოღონდ უფრო „ღრმაზროვნად“ და გავრცობილად: „გლობალიზაციას, როგორც მე მგონია (იმაზეც მადლობა, რომ „გგონია“, – ავტ. შენიშვნა), ახალი პროლეტარიატიზაციისკენ მივყავართ, უფრო მეტიც, გამარტორქებისკენ, ნიველირებისა და ნგრევისკენ...“ და მისთ. და მისთ... იძულებული გავხდი რამდენჯერმე წამეკითხა ეს გაუგებარი სისულელე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ სწორედ „მარტორქადან“ მომდინარეობდა სიტყვა „გამარტორქება“ („î í î ñî ðî æèâàí èâå“), რომელმაც ყველაზე მეტად შეძრა ჩემი მკითხველური წარმოსახვა, და რომელიც მოცემულ კონტექსტში სრულიად დაუჯერებლად და წარმოუდგენლად მომეჩვენა. დიდი ფსიქოანალიტიკოსობა და გრაფოლოგობა არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ აქ საქმე ბანალურ გრაფომანთან და შიზოფრენიკთან გვაქვს, სხვა არაფერი; თუმცა მთავარი ისაა, რომ შეშლილობის ამგვარი ნიშნები შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ განსაკუთრებული და თავშეუკავებელი სურვილის შემთხვევაში – ორიგინალურად და უარყოფითად გამოთქვას აზრი აქტუალურ თემაზე; მაგრამ მთავარი, რაც აქ ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ისაა, რომ ამ სამარცხვინო „ნაჯღაბნის“ მოტივი არის ავტორის სწრაფვა – „ესოდენ მკვეთრად უარყოფითი“ შეფასებით სიამოვნება მიანიჭოს, აამოს ვიღაცას საფეხურის სათავეში, რომ მისი მაღალი ყურადღების ღირსი გახდეს, კეთილგანწყობა მოიპოვოს. თანამედროვე პოლიტიკის საკითხებში უკეთ გარკვეული და ჭკვიანი მკითხველი რა თქმა უნდა მიხვდება, რომ ნანატრი კერპი, რომელიც უთუოდ თვალწინ ედგა გლობალიზაციის უიღბლო „კრიტიკოსს“, დედამიწის ზურგზე მხოლოდ ერთი ადამიანი შეიძლება იყოს, და ეს ადამიანი, რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, ვ. ვ. პუტინია – გლობალიზაციის ყველაზე ცნობილი და გავლენიანი მოწინააღმდეგე, რომელიც თავისი გაპრეზიდენტების პირველი დღიდან დღემდე „მრავალპოლარული სამყაროს“ აშკარად მკვდრადშობილი კონცეფციის მგზნებარე აპოლოგეტად და მქადაგებლად გვევლინება. „მოსასხამისა და დაშნის“ ეს „რაინდი“, რომელიც თავხედურად, პოპულისტური მოსაზრებებიდან გამომდინარე, თავს ქრისტიანული პოზიციებიდან წარმოგვიდგენს, ოდნავ მეტად განათლებული ადამიანი და საკუთარი ქვეყნის წინაშე გარკვეულწილად მაინც პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსი რომ ყოფილიყო, ეცოდინებოდა, რომ „მრავალპოლარული სამყარო“ აბსოლუტურ შეუთავსებლობაშია როგორც 21-ე საუკუნესთან, ისე ქრისტიანობის ფუძემდებლურ იდეასთან – „რათა ყველანი ერთნი იყვნენ“ (იოანე: 17, 21); რომ მხოლოდ ერთპოლუსიანი სამყარო გულისხმობს უალტერნატივო, და ამიტომაც გარდუვალად და აუცილებლად ერთიან კაცობრიობას; რომ სწორედ ერთპოლუსიანი სამყარო არის ქრისტიანული ცივილიზაციის ქვაკუთხედი და მისი საბოლოო, ნათელი მიზანი. თავს ვკითხოთ: გლობალიზაციის საკითხში ვინ ასახავს უფრო უკეთ თანამედროვე სამყაროს ჭეშმარიტ ინტერესებსა და მისწრაფებებს: ისინი, ვინც მოსკოვის კრემლის მაღალი კედლების მიღმა სხედან და ერთგული ოლიგარქების ფინანსური ნაკადების მართვითა და დაყოფა-დანაწილებით უფრო არიან დაინტერესებულნი, ვიდრე მსოფლიოსა და საკუთარი ხალხის ბედით, თუ, მაგალითად, ლევ ტოლსტოი, რომელმაც თავისი თვალსაზრისი კაცობრიობის ერთიანობის აუცილებლობაზე ჯერ კიდევ 100 წლის წინ არაორაზროვნად გამოხატა სიტყვებით: „ჭეშმარიტი პროგრესი – ადამიანთა სულ უფრო დიდ ერთობებშია“. ერთპოლარული და მრავაპოლარული მსოფლიოს საკითხში ვის უნდა გაჰყვეს რუსი ხალხი, რუსეთი, მსოფლიო? მათ, ვინც ქმნის რუსეთის ჭეშმარიტ დიდებას, თუ რუსეთის ისტორიის მორიგ „ხალიფას ერთი საათით“, მთვრალი ელცინის გულზიდვის შედეგს?.. და მაინც, რას გულისხმობს რეალურად პუტინისეული „მრავალპოლარული სამყარო“? ეს – გავლენის სფეროებად დაყოფილი მსოფლიოა, გარშემორტყმული ეკლიანი მავთულით, ბლოკპოსტებითა და სათვალთვალო პუნქტებით, სასაზღვრო საკონტროლო ზოლებითა და წარწერებით – „სდექ, გესვრი გაუფრთხილებლად!“ ეს „განსაკუთრებული“ სამყაროა, მრავალტანჯული, კაცობრიობისა და კაცობრიულისაგან მუდამ განზე მდგარი და გაუცხოებული სამყარო, რომლის სასაზღვრო პერიმეტრი ასიათასობით მესაზღვრითა და ძაღლითა დაცული; სამყარო, სადაც მშვიდობა არასოდეს ყოფილა, არ არის დღეს და არც იქნება – მისი, პუტინის სურვილითა და ნებით...

მართლაც უსაზღვროა ჩემი უბედური თანამემამულეების კერპთაყვანისმცემლობისა და მონური ერთგულების ხარისხი პუტინისადმი – ჩვენი უსაფრთხოების „გარანტისადმი“! 2007 წელს მდ. ფსოუზე გამავალი საზღვრიდან მიკროავტობუსით მივემგზავრებოდი. ის-ის იყო, დავიძარით, და ვიღაც მამაკაცმა, როგორც ჩანს, საზღვრის გადაკვეთის ბიუროკრატიული პროცედურით გვარიანად გაწამებულმა, კრიტიკული აზრი გამოთქვა კანონმდებლობით შემოღებულ წესებზე, რომლებიც, მისი თქმით, საგანგებოდ იყო შექმნილი ადამიანების დასატანჯად; მან პუტინის სახელიც ახსენა (ძალაუფლების ვერტიკალის ერთ-ერთი თავისებურება ჩვენში ისაა, რომ პუტინი – პასუხისმგებელია ყველაფერზე, მათ შორის, იმაზეც, რომ ონკანიდან წყალი წვეთავს ღვთისა და რუსი ჩინოვნიკებისაგან მივიწყებულ რომელიღაც „დათვის კუთხეში“, საიდანაც, გოგოლის სიტყვით რომ ვთქვათ, მთელი წელიც რომ იხტუნო, ვერსად გააღწევ), რაც ერთმა აფხაზმა ქალმა ემოციურად გააპროტესტა: „არ არის სიმართლე! პუტინს ჩვენ... ვუნდივართ!“ აქ რეზიუმესგან ვერც მე შევიკავე თავი: – „რას ნიშნავს, „პუტინს უნდიხართ“? პუტინს ჰყავხართ, როგორც მოუნდება!“ მთელი დარჩენილი გზა მგზავრები ეჭვის თვალით და ალმაცერად მიცქერდნენ მეც და საუბრის წამომწყებ მამაკაცსაც. „ენა ჩემი – მტერი ჩემი“! აბსოლუტურად რომ არ მცოდნოდა, რას წარმოადგენს პუტინი რეალურად – გრუ-სა და საბჭოთა კგბ-ს ეს ფიცის გამტეხი ოფიცერი, ჩეკისტურ „მოდაზე“ გადაწყობილი არამზადა, – მაშინაც, ამ გზაბნეული და უვიცი ხალხის მისდამი მონური ერთგულება და ბრმა სიყვარული საკმარისი იქნებოდა იმის მისახვედრად, რომ საქმე გვაქვს აღმოსავლურ-აზიური ტიპის დიქტატორთან, მისთვის დამახასიათებელი ტრადიციული და

გენეტიკური ხასიათის თვისებებით. პუტინისადმი გოგუას მსგავსი ადამიანების და საერთოდ, აფხაზი ხალხის ცხოველურ სიყვარულში რაიმე განსაკუთრებული საიდუმლო არ იმალება, რადგან ისინი პუტინს არა მხოლოდ უსაფრთხოების, არამედ, ზოგადად, აფხაზების, როგორც ნაციის, ფიზიკური არსებობის ერთადერთ გარანტად მიიჩნევენ. მე, როგორც საქართველოში (საქართველოს სსრ-ში) დაბადებულ აფხაზი ეროვნების ადამიანს, საკუთარ მოვალეობად მიმაჩნია, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ არასოდეს დაბადებულა ჩვენს მიწაზე ისეთი ქართველი, ყოველ შემთხვევაში – 1992 წლამდე მაინც, რომელიც აფხაზი ხალხის განადგურებას ისურვებდა. აფხაზეთსა და თვით რუსეთშიც ფართოდ გავრცელებული მითი, თითქოს ქართველებს იმთავითვე უნდოდათ აფხაზი ხალხის განადგურება და ერთთავად ყველა აფხაზის ქართველად გამოცხადება, სხვა მითების მსგავსად, შეიქმნა გოგუასა და მისი თანამოაზრეების – აფხაზეთის „გამარტორქებული“ და გამთაყვანებული ზოოპატრიოტების, ასევე, მათი ველიკოდერჟავული მფარველების მიერ, რომლებიც ამ გზით ცდილობდნენ ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები აფხაზი და ქართველი ხალხების წინაშე ჩადენილი თავიანთი რეალური და არა გამოგონილი დანაშაულების გამართლებასა და გადაფარვას, – იმ დანაშაულებისა, რომლებიც, შესაბამისი სტატიით, ჰაგის ტრიბუნალს ექვემდებარება.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: აფხაზთა და ქართველთა კულტურა ამაზონიის ტყეების აბორიგენებზე მაღლა რომ არ მდგარიყო, და მათ შორის განსხვავება მხოლოდ ის ყოფილიყო, რომ ქართველები ლერწმის ჩხირს მარჯვენა ნესტოში იყრიდნენ, აფხაზები კი – მარცხენაში, აფხაზი ხალხის „პასუხისმგებელი ამხანაგები“ და „მეგობრები“ უთუოდ დააჯერებდნენ ამ უკანასკნელთ, რაოდენ საშიში და უპატიებელი დანაშაულია – ატარო ლერწმის ჩხირი ცხვირის მარჯვენა ნესტოთი, მაშინ, როცა მისი ტარება საჭიროა სწორედ მარცხენით, როგორც ამას აფხაზები აკეთებენ! მერე დაარწმუნებდნენ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე პრევენციული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაში, უმსგავსობის სამუდამოდ აღსაკვეთად... (აქ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზთა და ქართველთა კულტურების შედარება იძულებითია: რეალურად, ეს – „უდიდესი დისტანციაა“... მსოფლიო იცნობს ათობით, ასობით ქართველს, რომლებმაც აღიარება მოიპოვეს ხელოვნების მრავალ სფეროში, მეცნიერებაში, კულტურაში, მაშინ, როცა აფხაზთა შორის ასეთი – საერთოდ არ არსებობს(!)... ის, რამაც „სახელი შესძინა“ აფხაზ ხალხს – 1992-1993 წლების სეპარატისტული ბოროტმოქმედებია). ასე, ან თითქმის ასე მოქმედებდნენ სსრკ-ის გრუ-ს აგენტები და სპეცსამსახურების თანამშრომლები ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკაში, სადაც კონტრაბანდის სახით იგზავნებოდა იარაღი და ვლადიმერ ლენინის ფოტოსურათები; იქმნებოდა ისეთი ამაზრზენი ფანტომები, როგორიცაა ჩრდილოეთ კორეა, პოლ-პოტის „წითელი კჰმერების“ რეჟიმი კამბოჯაში, და მრავალი სხვა.

ძალიან არ უნდოდათ რუს სამხედროებსა და რუსული სპეცსამსახურების თანამშრომლებს, განსაკუთრებით, მათ გაუმაძღარ ხელმძღვანელობას კრემლსა და ლიუბიანკაზე, რომ რუსეთის იმპერიული გავლენის ჩარჩოდან გამავალ საქართველოს დარჩენოდა შავი ზღვის 220 კმ-იანი მონაკვეთი და სტრატეგიული ობიექტები: მოსკოვის ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი დაბა აგუზერაში, სადაც ოპენჰაიმერის ლაბორატორიის თანამშრომელი გერმანელი სამხედრო ტყვეების მეშვეობით, შეიქმნა პირველი საბჭოთა ატომური ბომბი; უნიკალური ღირებულებისა და ტექნიკური აღჭურვილობის სეისმური სადგური ქვედა ეშერაში; სტრატეგიული დანიშნულების ფართოპროფილიანი აეროდრომი დაბა ბომბორაში, გუდაუთის სიახლოვეს და მისთ.

უაზრო მიამიტობამდე მისულ აფხაზ ხალხს, რომელსაც არც ძველ და არც ახალ საუკუნეში არ ჰყავს არც ერთი ინტელექტუალი ან რამდენადმე უნივერსალური განათლების ადამიანი, ურყევად სჯერა, რომ რუსეთი დაეხმარა აფხაზებს ერთადერთი მიზნით – ეხსნა ისინი საქართველოსგან მომდინარე გენოციდის საფრთხისგან. საღი გონებითა და მყარი ისტორიული მეხსიერებით განა ამის დაჯერება შეიძლება? ჩემს ბედკრულ ხალხს კი სჯერა! სჯერა იმ ფაქტის მიუხედავად, რომ აფხაზები, როგორც მონოკულტურული ეთნოსი, გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ 1991 წლამდე საქართველოს იურისდიქციაში იმყოფებოდა; სხვაგვარად ისინი დიდი ხნის წინ გამქრალი დასავლელი მეზობლების – უბიხებისა და შაპსუღების (ადიღეელების სუბეთნოსი) ხვედრს გაიზიარებდნენ. განა სიმბოლური არაა, რომ აფხაზთა უმრავლესობამ არაფერი იცის ამ ხალხთა არსებობის შესახებ? იმის გათვალისწინებითაც კი, რასაც დღეს რუსეთი სჩადის მთელი ცივილიზებული მსოფლიოს თვალწინ „მომმე“ უკრაინის წინააღმდეგ (არაცივილიზებულისთვის ხომ „კანონი არ არსებობს“) – უკლებლივ ყველა აფხაზს ნეტარი რწმენა აქვს და სჯერა პუტინის სიმართლისა და უცოდველობისა; თავადაც ბევრჯერ მომისმენია: „ჩვენ ვლოცულობთ პუტინზე, მან თავისუფლება მოგვცა“... ბიბლიური მითითება – „არ შექმნა თავისათვის შენისა კერპი, და ნუ თაყვანს სცემ მას“ – მათ მიერ შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც მტრული თავდასხმა „კაგებეშნიკურ“ წმინდანზე, ან – შეხვდნენ სრულიად გულგრილად, თითქოს არაფერი ჰქონდეთ საერთო რეალურ ცხოვრებასთან, რადგან ფობიებითა და მანიებით დაბინდული ცნობიერება, ათწლეულების მანძილზე დამუშავებული ცრუპატრიოტული ობსკურანტიზმით, არ ექვემდებარება არა მხოლოდ საღ აზრს, არამედ უნივერსალური ჭეშმარიტებისა და ცოდნის მატარებელ სიტყვასაც კი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

ყველაზე ცნობილი ქართველი პეტერბურგში

ბადრი კაკაბაძე

ქართველები პეტერბურგში ამ ქალაქის დაარსებიდანვე ცხოვრობდნენ. პეტრე პირველის თანამოაზრე-თანამოსაგრეები იყვნენ ქართველები: რუსული არტილერიის პირველი გენერალი უფლისწული ალექსანდრე, ვახტანგ მეექვსის ნდობით აღჭურვილი პირი ბაადურ თურქესტანიშვილი, თავადი გიორგი დადიანი...

დღესდღეობით, პეტერბურგში დაახლოებით 35 ათასი ქართველი ცხოვრობს. იქ ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან ქართველი ბიზნესმენები, მათგან ერთ-ერთი და გამორჩეული – ბადრი კაკაბაძეა. ამ ქალაქში მას ყველა იცნობს – როგორც ბიზნესმენს, როგორც ქველმოქმედს, როგორც საზოგადოებრივად აქტიურ პიტერელს... ყველა იცნობს და ამიტომაც ასეც მოიხსენიებენ – პეტერბურგის ყველაზე ცნობილი ქართველი.

* * *

რუსეთში 70-იანი წლების შუა ხანებში მოხვდა, როცა წყალტუბოში დაბადებული ახალგაზრდა სკოლის დამთავრების შემდეგ ძმის კვალს გაჰყვა რუსეთში და იმ ქალაქში დასახლდა, რომელსაც ჯერ კიდევ ლენინგრადი ერქვა. მისმა ძმამ პრესტიჟული პირველ სამედიცინო ინსტიტუტში არჩია სწავლა, ბადრიმ კი რატომღაც სამაცივრო მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა, რომელსაც შემოკლებით „მაცივარს“ ეძახდნენ. 1983 წელს ახალგაზრდა სპეციალისტი ინჟინერ-ტექნოლოგის დიპლომითა და განაწილებით ლენინგრადის სამაცივრო კომბინატში მოხვდა. სინამდვილეში, ეს იყო უზარმაზარი საწყობი, რომელშიც თავს იყრიდა და შემდეგ ქალაქისა და მის შემოგარენში მდებარე მაღაზიებში ნაწილდებოდა ხორცისა და რძის პროდუქტები. ინჟინერ-ტექნოლოგის მუყაითი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და ნელ-ნელა აწინაურებდნენ, უფრო საპასუხისმგებლო საქმეებს აბარებდნენ... „პერესტროიკის“ სიომ რომ დაჰბერა და დირექტორების არჩევის გორბაჩოვისეული მოდის დამკვიდრება დაიწყო, უკვე კომბინატის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. საწარმოს დირექტორის პირველ არჩევნებში ხუთი კანდიდატი მონაწილეობდა და მათგან 30 წლის ბადრი კაკაბაძეს გამოუცხადეს დიდი ნდობა.

„დღესდღეობით, ჩემი კომპანია პეტერბურგში ნაყინის უმსხვილესი საწარმო და რძისა და რძის პროდუქტების დიდი მწარმოებელია. რუსეთის მასშტაბით ამ დარგში მეათე ადგილი გვიკავია“.

წარმატების მრავალნაირი ფორმულა არსებობს, რომლის უმთავრესი შემადგენელი ხან გამართლება და შემთხვევითობაა, ხან საჭირო დროს საჭირო ადგილას ყოფნა, მაგრამ ესეც ხომ შემთხვევითობა და გამართლებაა?! მთავარი მაინც ალბათ ალღოა, რომელიც დახვეწილ და წაუგებელ ბიზნესგეგმას მოგაფიქრებინებს. ახლა, წლების გადასახედიდან, უკეთ ჩანს, რა რისკიან ნაბიჯებს დგამდა იმისთვის, რომ საუცხოო საწარმო შეექმნა და საუცხოო პროდუქცია ეწარმოებინა. ნაყინის ასამდე სახეობისა და რძის პროდუქტების გარდა, „პეტროხოლოდი“ მომხმარებელს გაყინულ ხორცპროდუქტებს, ხილსა და ბოსტნეულს სთავაზობს, უცხოურ ინგრედიენტებზე უარს ამბობს და ადგილობრივ ნედლეულს იყენებს – ნატურალურს, ხარისხიანს, ეკოლოგიურად სუფთას...

უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, ბადრი კაკაბაძე ხელმძღვანელობს ქართულ სათვისტომო „ივერიას“, რომელიც 1999 წელს, მის ოფიციალურ რეგისტრაციამდე ბევრად ადრე არსებობდა. ამბობენ, ბატონი ბადრი სათვისტომოს თითოეულ წევრს, გვარ-სახელით და სახეზე ცნობს.

„პეტერბურგში დაახლოებით 35 ათასი ქართველი ცხოვრობს და მათი დიდი ნაწილი 1990-იანი წლების დასაწყისში ჩამოვიდა, როცა საქართველოში ომი დაიწყო და ისინი პირდაპირი მნიშვნელობით ოჯახების გადარჩენას ცდილობდნენ. სათვისტომო 1992 წელს ჩამოყალიბდა და იგი აერთიანებს ყველა იმ ადამიანს, ვისაც გული შესტკივა საქართველოსა და რუსეთზე, ესწრაფვიან ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის განმტკიცებას, ხელს უწყობენ ქართული კულტურის გავრცელებასა და პოპულარიზაციას. ყოველ წელიწადს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს – 26 მაისს პეტერბურგში იმართება ქართული დღეები. ჩვენ ბავშვთა სამი ანსამბლი გვაქვს, მუშაობს ქართული სკოლა, მოქმედი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია“.

სათვისტომოს საქმიანობის საფუძველი გახდა კულტურული და საქველმოქმედო წამოწყებები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სანკტ-პეტერბურგში ქართული ეკლესიის აღორძინება და მშენებლობა, აგრეთვე ქალაქში სკოლის დაარსება საქართველოდან დევნილი ბავშვებისთვის და ბავშვთა ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლის შექმნა.

ქართველების სამლოცველო პეტერბურგში

პეტერბურგში ქართული ეკლესია ქართული კოლონიის შექმნის პარალელურად არსებობდა. ვასილევის კუნძულზე მდებარეობდა ქართველთა სალოცავი მთავარი ტაძარი, რომელიც 1916 წელს გადაეცათ ქართველებს და იქ ღვთისმსახურება ქართულად აღესრულებოდა... მაგრამ რევოლუციის შემდეგ იგი გააუქმეს. 90-იანი წლების დასაწყისში ქართულმა სათვისტომომ ადგილობრივ ხელისუფლებას სთხოვა, მათთვის დაებრუნებინათ ქართული სამრევლოს ეკლესია. ანატოლი სობჩაკის გუბერნატორობის დროს, ქართულ სათვისტომოს აღსადგენად გადაეცა მართლმადიდებლური ეკლესიის სხვა შენობა, რომელშიც ღვთისმსახურება 1993 წლიდან ქართულად სრულდება. 2002 წელს დამთავრდა მრავალწლიანი სარესტავრაციო სამუშაოები და აღდგენილი ეკლესიის საზეიმო კურთხევას ქართული და რუსული ეკლესიების მღვდელმთავრები, ორივე ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურების, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები დაესწრნენ. თანამოაზრეებთან ერთად, ბადრი კაკაბაძე სამუშაოებს მეურვეობდა და მატერიალურად უზრუნველყოფდა.

პეტერბურგში მცხოვრები ქართველების, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი ოჯახების შვილებისთვის ბადრი კაკაბაძემ სკოლის დაარსება გადაწყვიტა. ისევ თანამოაზრეები შემოკრიბა და უზარმაზარი ფინანსური და ადამიანური რესურსების წყალობით ქართველებს ქართულად სწავლის საშუალება მიეცათ.

„ჩვენი კომპანია ყოველმხრივ უზრუნველყოფს პეტერბურგში, გრაფის შესახვევში მდებარე ჩვეულებრივ საერთოსაგანმანათლებლო სკოლას, რომელიც იმით არის გამორჩეული, რომ იქ ქართული ენა და კულტურა გაძლიერებულად და სიღრმისეულად ისწავლება...“

სწორედ ამ სკოლაში ჩამოყალიბდა ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლები. ქართულ ცეკვასა და სიმღერას არა მარტო ამ სკოლის, არამედ რუსული სკოლების მოსწავლეებიც ეუფლებიან.

ბადრი კაკაბაძის საქველმოქმედო საქმიანობის ნუსხა, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, მეტისმეტად შთამბეჭდავია. ეხმარება ბავშვთა სახლებსა და საბავშვო ბაღებს, ინტერნატებს, სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სხვადასხვა გაერთიანებას, ვეტერანთა ორგანიზაციას, უფლებადამცველ საზოგადოებებს, ჩეჩნეთიდან პეტერბურგში დასასვენებლად ჩასულ ბავშვებს...

საქართველოში მისი საქველმოქმედო საქმიანობის მოკლე ჩამონათვალი ასეთია: წყალტუბოსა და ხონის რაიონის სოფელ კუხის ეკლესიების მშენებლობა, პოლიკარპე კაკაბაძის, გრიგოლ აბაშიძის მუზეუმების გახსნა, ქუთაისში ბესარიონ გაბაშვილის სახელობის პარკის აღდგენა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის გახსნის ხელშეწყობა...

პეტერბურგში თანამემამულთა ხსოვნის უზრუნველყოფაც მისი ზრუნვის ობიექტშია მოქცეული – რამდენიმე წლის წინ პეტრე ბაგრატიონის პატივსაცემად მემორიალური დაფა გაიხსნა, პისკარევის სასაფლაოზე მემორიალური დაფა გაუხსნეს იმ ქართველებს, რომლებიც ბლოკადის დროს ლენინგრადში დაიღუპნენ და ამ ქალაქის გათავისუფლებას თავის შესწირეს...

საგამომცემლო საქმიანობა – მისი ხელშეწყობით დაიბეჭდა წიგნი „პატრიარქი ილია II“, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა, ტიციან ტაბიძის ლექსების კრებული, ცნობილი ქორეოგრაფის გიორგი ალექსიძის მოგონებები...

უამრავი ჯილდო აქვს მიღებული, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: აქტიური საზოგადოებრივი და საქველმოქმედ მორვაწეობისთვის – რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის „წმინდა გიორგის ორდენი“; სანკტ-პეტერბურგში ქართული დიასპორის ჩამოყალიბებისთვის, აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისთვის ქართული სკოლის დაარსების, ქართველებსა და რუსებს შორის მეგობრობის განმტკიცებისთვის – საქართველოს ღირსების ორდენი; პეტერბურგის 300 წლისთავისადმი მიძღვნილი მედალი... და კიდევ ერთი – ბადრი კაკაბაძეს 1999 წელს მიანიჭეს სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო საზოგადოებრივი სიცივის აკადემიის აკადემიკოსის საპატიო წოდება. ამიტომაც ბატონ ბადრის ხშირად მოიხსენიებენ ასე: სიცივისა და სითბოს აკადემიკოსი.

ოჯახი მისი დიდი იმედი და საყრდენია. მეუღლე – ნატო ტურაბელიძე ქართულ სათვისტომოში ქალთა ორგანიზაციას უდგას სათავეში, ქართულ სკოლასა და ქორეოგრაფიულ კოლექტივებსაც ის უწევს მზრუნველობას. ჰყავს ორი შვილი – ნათია და დავითი, რომლებიც მამის პროფესიულ თუ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც გვერდით უდგანან მშობლებს.

„უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, როცა ლენინგრადში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, ყოველთვის ვფიქრობდი, წავიმუშავებ ერთ-ორ წელიწადს და მერე სახლში დავბრუნდები-მეთქი. ახლა კი ორმაგი გრძნობა მეუფლება – საქართველოში რომ ჩავდივარ, ვგრძნობ, რომ საშობლოში ვარ. მაგრამ ერთ კვირაში, ისევ პეტერბურგისკენ მომიწევს გული. აქ არის ჩემი სახლი, აქ მყავს მეგობრების დიდი წრე, აქ დაიბადნენ ჩემი შვილები, შვილიშვილები. ჩემი ყველაფერი ამ ულამაზეს ქალაქს უკავშირდება.

რუსეთის მოქალაქეა, მაგრამ როგორც ხშირად უყვარს ხოლმე თქმა, ნამდვილი ქართველია, საქართველო მისი სამშობლოა, რომელიც უსაზღვროდ უყვარს.

ელზა ნაბახტეველი

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲬᲣᲚᲔᲘᲡᲙᲘᲠᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲗ



არა მგონია, იყოს ქართველი, რომელსაც სამშობლო უყვარს და ეს სახელი და გვარი არ გაუგია.

მას შემდეგ, რაც სამწერლო ასპარეზზე შედგა ფეხი, იგი მუდამ იყო საქართველოსა და ქართული ენის ერთგული პრინციპული მეციხოვნე.

და ამასთანავე, იყო უაღრესად სასიამოვნო პიროვნება ურთიერთობაში: ტაქტიანი, თავმდაბალი, მორიდებული და თავდაჭერილი. და თუმცა ამას არასოდეს უსვამდა ხაზს, აშკარა იყო, რომ ყველა მისი დადებითი თვისება დიდი კოლხი წინაპრებისგან ჰქონდა მემკვიდრეობით მიღებული.

უბრალო კაცი იყო ბატონი ნოდარი და იდუმალების საბურველში არა ხვევდა არც თავის ღია ჭრილობის მსგავს მწერლობას და არც თავის ხიფათიან საქმეებს.

და მაინც, ყოველთვის, როცა მასზე ვფიქრობდი, ვგრძნობდი, რომ არ ვიცოდი, რაღაც მეტად მნიშვნელოვანი.

მერე იყო და წავიკითხე როსტომ ჩხეიძის წერილი ბატონ ნოდარზე. და უცებ მივხვდი, რა არა მცოდნია.

სჯობს თვით როსტომს მოვუსმინოთ:

„მაინც, რას შეეძრა ყველაზე მეტად მისი გული და რას აღეტაცა ასერიგად, სიბერეში შესულს ერთ ყველაზე ნათელ სურათად რომ გადაშლოდა გონების მზერის წინაშე?

რას და:

შაშვის ბარტყების დარაჯობას.

ვის რა საქმე გასჩენია ბავშვობაში თავისებურ თამაშად, ამას კი — ეს, ასეთი უჩვეულო და მოულოდნელი.

ახლადშეღინღლულნი და მოზრდილნი ბუდეში რომ ვეღარ ეტეოდნენ და ხშირად ვარდებოდნენ იქიდან, ასეთი ბარტყი განწირული გახლდათ — ან კატას უნდა შეესანსლა, ანდა რომელიმე სხვა მტაცებლის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. პატარა ნოდარი კი ამოიჩემებდა განწირული ბარტყის გადარჩენას — წაიყვანდა შინ და ზრდიდა, უჭერდა კალიებს, აღონიერებდა და თვალს ადევნებდა, მოყოჩებულნი ნელ-ნელა როგორ იწყებდნენ ფრენას, ჯერ მცირე მანძილზე რომ დაფრთხიალებდნენ, ვიდრე გაშლიდნენ ნახშირივით შავ, უკვე საკმაოდ მოზრდილ ფრთებს და აიჭრებოდნენ ზეცაში.

მოშინაურებულს, ცხადია, სახელიც უნდა რქმეოდა და, როგორც წესი, შოშიტას არქმევდა.

დიდი მოვლა-პატრონობისა და ზრუნვის მიუხედავად, მაინც ხშირად ეხოცებოდა?

მაგრამ რამდენიმე შოშიტას ხომ მაინც გაზრდიდა.

და ახლაც შოშიტების გაზრდის პროცესი უნედლებდა გულსაც და ჰმატებდა ძალასაც და სიმხნევესაც, რათა მიწას მიჯაჭვოდა ისე, როგორც ამ მიჯაჭვის წესია“.

ამ ამონარიდის ბოლოს რა „მიწასთან მიჯაჭვაზეა“ ლაპარაკობს როსტომი? ვინც ვერ მიხვდა, უნდა ავუხსნათ: 1991-92 წლების პუტჩის შემდეგ, როცა ჩამოგდებული იქნა საქართველოს პრეზიდენტი, ნოდარ წულეისკირი ჩავიდა მარნეულის სოფელ წერაქვში და გახდა ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებელი. და სოფლის სკოლას რომ ეარსება, ნოდარ წულეისკირი დიახაც მიწას უნდა მიჯაჭვულიყო, მოეყვანა სიმინდი, გაეყიდა, ეშოვა ფული და ერჩინა სკოლა.

შაშვის ბარტყებზე ზრუნვა ბავშვური თამაში კი არ ყოფილა, არამედ ნოდარ წულეისკირის ხასიათის ერთ-ერთი მთავარი ნიშნის გამოვლენა.

და როცა საქართველოში ავტომატი და უკანონობა გაპარპაშდა, მწერალმა თავი ანება წერას და წავიდა იქ, სადაც უნდა დაეცვა და გამოეზარდა შაშვის ბარტყებივით უმწეო არსებები — ბავშვები.

ნოდარ წულეისკირი მახვილი მზერით ამჩნევდა თუ იმ წუთას ვის სჭირდებოდა შველა თუ დახმარება. დარწმუნებული ვარ, ბატონი ნოდარის შემდეგი თაობების მწერლებში თუ ჩავატარებთ გამოკითხვას, აღმოჩნდება, რომ ბევრს დახმარებია სიტყვით, რჩევით თუ საქმით.

შემიძლია მეც დაგიდასტუროთ, რომ, როცა „მნათობში“ დავბეჭდე ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი ლექსი „დიდ ცრემლზე“, რომელიც ეძღვნებოდა მიხეილ კვესელავას, ერთ-ერთმა პირველმა სწორედ ნოდარ წულეისკირმა მომილოცა და გულწრფელი, პროფესიული და საჭირო რჩევებით დიდად გამამხნევა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის — დამწყები მწერლისათვის.

და შემდეგშიც მუდამ ვგრძნობდი მის ყურადღებას.

ნოდარ წულეისკირისადმი მიძღვნილი წერილი მინდა დავამთავრო ჩემი მოსაზრებით ერთი ფოტოს შესახებ.

ფოტოზე ბატონი ნოდარია. დგას და უკან ჩანს მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი.

გვიყურებს ნოდარ წულეისკირი და მზერის თარგმნა რომ შეიძლებოდეს, ეს მზერა იტყოდა, რომ მისმა პატრონმა ღირსეული, ალალი, პრინციპული და უკომპრომისო ვაჟკაცის ცხცოვრებით იცხოვრა. ოღონდ ერთი მაკლია გულს: ამ ფოტოზე ბაბუას გვერდს უნდა უმშვენებდეს მისი ღვთით შემკული შვილიშვილი — ნათია. მაშინ ლამაზი ზღაპარივით დამთავრდება ეს ნამდვილი და სევდიანი ამბავი.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲔ

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲬᲣᲚᲔᲘᲡᲙᲘᲠᲡ

ცოტამ იცხოვრა მწერალივით
სუფთად და ლაღად,
ცოტამ ისხურა მწუხარების
წვიმის წვეთები...
თქვენც ალბათ წახვალთ,
უფლისმიერ სინათლეს ნახავთ
და გამოარღვევთ მდუმარებას
თავგამეტებით;
თავგამეტებით, მაგრამ წუთით,
იქნებ – საათით,
რადგან ყველას წვავს
საკუთარი დიდების ცეცხლი;
და ეს დიდებაც
სატყუარა სულისდგმა არის,
სხვა არაფერი,
არაფერი ამაზე მეტი.
თქვენ მიხვდით ამას,
როცა ტაბუ დაადეთ სათქმელს
და უთქმელობით ზიდეთ
თქვენი ტკივილის ტვირთი...
ო, ვინ რა იცის,
როგორია ღამის საბანი
როცა გხურავს და მზისაგან იწვი,
როცა თვალებში ჩაგწურვია
უკიდეგანო
დარდი მამულზე
და სიტყვათა მდუმარე სიერცე...
ცოტამ იცხოვრა მწერალივით
სუფთად და ლაღად,
ცოტამ ისხურა მწუხარების
წვიმის წვეთები...
თქვენც ალბათ წახვალთ,
უფლისმიერ სინათლეს ნახავთ
და ცოდვილ სულებს
ვეღარაფრით შეგვეშველებით!

13. 07. 2013

იური ვაზაგაშვილის მკვლელობის მოტივი რომ გავარკვიოთ, ჯერ ის უნდა დავადგინოთ, რომელ ძალას აწყობს საქართველოში სიტუაციის არევა

„ვერაფრით მივხვდი, რატომ იღებს ირაკლი ფირცხალავა ყველაფერს თავის თავზე“

„საეჭვოა, იური ვაზაგაშვილის მკვლელობა ბოლომდე გაიხსნას, რადგან ასეთი საქმეები ძალზე რთული გასახსნელია. სავარაუდო მკვლელი კი დააკავეს, მაგრამ იგი დანაშაულს არ აღიარებს, უფრო მეტიც დუმილის უფლებას იყენებს, სააკაშვილის რეჟიმისეული წესებით ხომ არ ვიმოქმედებთ, რომ ნებისმიერ ფასად გამოვძალოთ სასურველი ჩვენება? ეს ყველაფერი პროფესიონალურ დონეზე იყო დაგეგმილი და შესრულებული, ამიტომაც მიჩნდება დიდი ეჭვი, რომ აქ მესამე ძალაა ჩართული, რომელსაც მოსახლეობაში უკმაყოფილების გამოწვევა სურს“, აცხადებს „საერთო გაზეთთან“ საუბარში პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე.


დავით გაგნიძე

დავით გაგნიძე; უკვე აშკარად ჩანს ნიშნები, რომ „არაბული გაზაფხულის“ მოწყობა უნდათ, არეულობას ვგულისხმობ, ხალხის უკმაყოფილება ისედაც პიკს აღწევდა, ამ დროს კლავენ ადამიანს, რომელიც ამდენი წელი სამართლიანობის დამკვიდრებისთვის იბრძოდა. ეს პერიოდი ძალიან მაგონებს 2001-03 წლებს, როდესაც შევარდნაძის ხელისუფლებიდან ჩამოცილება უნდოდათ, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ საზოგადოებაში პროტესტის ტალღა გაზრდილიყო. არც ლარის გაუფასურება მიმაჩნია შემთხვევით მოვლენად, მუდამ იმას გვიმტკიცებდნენ, ლარი დოლარზეა გადაჯაჭვულიო, თუ ასეა, მაშინ დოლარის გამყარების პარალელურად ლარი რატომ უფასურდება? ინფლაციის გამომწვევი ობიექტური მიზეზები რა თქმა უნდა არსებობს, მაგრამ ლარის ასეთი გაუფასურება მაინც ხელოვნურად გამოწვეული მგონია. მე არც ის მგონია შემთხვევითი, რუსმა ჯარისკაცმა სომხეთის ქალაქ გიუმრიში მთელი ოჯახი რომ ამოწყვიტა, გამორიცხულია ამ ყველაფერში რუსეთის ხელი ერიოს, რუსები გიჟები ხომ არ არიან, რომ საკუთარ თავს ასეთი რამ მოუწყონ, მით უმეტეს, რომ სომხეთი კავკასიაში მათი ყველაზე ერთგული მოკავშირეა. ე.ი. ის ძალები ცდილობენ ამის გაკეთებას, ვისაც კავკასიაში სტაბილიზაცია, კავკასიელების ერთიანობა არ აწყობთ. სხვათა შორის, კავკასიის ერთიანობის მთელ მსოფლიოს ეშინოდა. კონკრეტულად რომელ ძალას აწყობს საქართველოში სიტუაციის არევა, უპირველესად ეს უნდა გავარკვიოთ, რომლის საბოლოო მიზანიც რეგიონის ქვეყნებში საკუთარი ინტერესების გამტარაბელი ხელისუფლების მოყვანაა. ეს რუსეთი ნამდვილად არ არის.

- იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში შურისძიების მოტივს გამორიცხავთ? კორტებთან ჩატარებული სისხლიანი სპეცოპერაციის დროს თქვენ შსს-ში მუშაობდით, საინტერესოა, მაშინ რა ხმები დადიოდა უწყების შიგნით?

- სიმართლე გითხრათ, მეეჭვება, რომ ეს მკვლელობა შურისძიების გამო მომხდარიყო, ვგულისხმობ მხოლოდ ირაკლი ფირცხალავას მონაწილეობას. მთლად უჭკუო უნდა იყოს ადამიანი, თუ ამ მოტივით გააკეთა, მაგრამ ერთ-ერთ ვერსიად ესეც უნდა განიხილებოდეს. იური ვაზაგაშვილის მკვლელობა გლობალურ პოლიტიკის შედეგია, ისევე, როგორც გიუმრიში მომხდარი ტრაგედია და საბოლოო ჯამში მოსახლეობაში უკმაყოფილების გამოწვევას ისახავს მიზნად. ახლა რაც შეეხება ე.წ. კორტების სპეცოპერაციას, იმ პერიოდში სოდ-ში ვმუშაობდი. სამინისტროში ხმები დადიოდა, რომ თითქოს ზურა ვაზაგაშვილი, ხუბულოვი და ფუთურიძე საყაჩაღოდ მიდიოდნენ, თუმცა სამინისტროს ხელმძღვანელობას კარგად მოეხსენებოდა, რომ არ დავიჯერებდით ამ ვერსიას. თუ ისინი მართლაც საყაჩაღოდ მიდიოდნენ, დაეცლიათ, მისულიყვნენ ადგილამდე იქ აეყვანათ, რა საჭირო იყო ამხელა სისხლიანი დაპირისპირება. რამდენადაც ვიცი პოლიციელებს ამ ბიჭების დახოცვა არ უნდოდათ, თუმცა დავალება ჰქონდათ, რომ მკაცრად მოქცეულიყვნენ. საქმე იმაშია, რომ ოპერაციაში მონაწილე პოლიციელები შედარებით ჩამოუყალიბებელი ოპერატიული თანამშრომლები იყვნენ, ყველა არა, მაგრამ უმეტესობა მაინც. ეს იყო შემთხვევითი ხალხი, რომლებსაც არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა, მისცეს იარაღი და გაუშვეს ასეთ საპასუხისმგებლო ღონისძიებაზე. ჩემი ინფორმაციით, იქ ერთ-ერთ თანამშრომელს ავტომატი შემთხვევით გაუვარდა (მისი ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ), დანარჩენებს ეგონათ, რომ სპეცოპერაცია დაიწყო და ყველამ გახსნა ცეცხლი. მერე იმიტომ ამტკიცებდნენ, პირველად ვითომ ვაზაგაშვილის ავტომანქანიდან გვესროლეს და იძულებული გავხდით, გვეპასუხა. ძალიან მაინტერესებს სად იყო ამ დროს მათი ხელმძღვანელობა? ირაკლი ფირცხალავა კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო, გიორგი ცააძე სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე, სად იყვნენ ამ სამსახურების უფროსები, არცერთი არ მისულა შემთხვევის ადგილზე სპეცოპერაციის დამთავრების შემდეგაც, რაც ჩემში დიდ ეჭვებს ბადებს.

იარაღის შემთხვევით გავარდნა სხვა დროსაც ყოფილა, მაგრამ გამოცდილი თანამშრომლები და პირველი იმას ვარკვევდით, სინამდვილეში რა მოხდა, როგორ შეიძლება მასიურად ცეცხლის გახსნა, მაგრამ ვიმეორებ, გამოუცდელი თანამშრომლები იყვნენ და იმიტომ დაემართათ. ვერაფრით მივხვდი, რატომ იღებს ირაკლი ფირცხალავა ყველაფერს თავის თავზე, ეჭვი მიჩნდება, რომ ვიღაცებს შეგნებულად იფარავს. შეიძლება ვინმემ თქვას, დავით გაგნიძე ყოფილი პოლიციელია და კოლეგებს იცავსო, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ არის, სიმართლე მინდა გაირკვეს.

- ირაკლი ფირცხალავას სიტყვებს თუ ვერწმუნებით, კორტების სპეცოპერაცია მას დაუგეგმავს.

- თუ მან დაგეგმა, მაშინ ამ სპეცოპერაციას უნდა ჰქონდეს თავისი გეგმა, რომელზეც მისი უშუალო ხელმძღვანელი უნდა აწერდეს ხელს, სად არის ეს გეგმა? ასეთ სარისკო ოპერაციას მარტო მოადგილე ვერ დაგეგმავს, ხელმძღვანელთან ერთად უნდა დაგეგმო და სპეცოპერაციას ისიც უნდა ესწრებოდეს, თუ ლიკვიდაციაზე მიდგა საქმე, ეს ოპერაცია უკვე შს მინისტრის, მინიმუმ მინისტრის მოადგილის დონეზე იგეგმება. პროკურატურის ოფიციალური ვერსიაშიცაა საუბარი ამ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, ამიტომაც ვამბობ, რომ ფირცხალავას უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს, რომლებიც ფირცხალავაზე უფრო მკაცრად უნდა დაისაჯონ. ან საერთოდ ვინ დაუქვემდებარა ფირცხალავას თბილისის სპეცდანიშნულების რაზმი, კი იყო იგი კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილე, მაგრამ მას უფლება არ ჰქონდა ეს რაზმი გამოეყვანა მინისტრის ან მისი მოადგილის გარეშე. თუ ერთობლივი სპეცოპერაცია იყო, მაშინ სად იყო თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს კონტიგენტი, მარტო სპეცრაზმი რატომ იყო იქ, სად არის ეს ერთობლივი გეგმა? აქ რაღაც ძალზე დიდი გაურკვევლობაა. თუ ეს გეგმა არ არსებობს, მაშინ ფირცხალავას ხელმძღვანელობას უმკაცრესად უნდა მოსთხოვონ პასუხი, მარტო ფირცხალავა რა შუაშია? გაიხსენეთ იური ვაზაგაშვილის სიტყვები, ის ფირცხალავას ზემდგომებსაც ასახელებდა, სად არის ეს ხალხი, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი ბარტყი გადმოაგდეს? ბატონი იური ცოცხალი რომ ყოფილიყო, მარტო ამ 11 კაცის დაჭერით არ დაკმაყოფილდებოდა. თუ ფირცხალავამ ხელმძღვანელობა დაარწმუნა და გაუშვეს ამ ბინძურ საქმეზე, ხელმძღვანელობაც პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე. თუ პასუხისმგებლობას იღებენ, მაშინ კეთილი უნდა ენებათ და მაშინვე უნდა მისულიყვნენ კორტებთან, მით უმეტეს, რომ ორი ადამიანი დაიღუპა და ერთი მძიმედ დაიჭრა, რატომ არავინ მივიდა შემთხვევის ადგილზე, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ წინასწარ იცოდნენ, რაც მოხდებოდა იქ და ჩირგვებში დაიმალნენ? სხვა დასკვნას ვერ გამოიტან.

კორტების სპეცოპერაციასთან დაკავშირებით სპეცრაზმელებიც დააკავეს, მე დაზუსტებით არ ვიცი მათ რა ბრალდება აქვთ წაყენებული, მაგრამ სპეცრაზმელი შემსრულებელია, სპეცრაზმელს რა უნდა მოთხოვო, გასაგებია, რომ ხალხი დაიხოცა, კი ჩაიდინეს დანაშაული, მაგრამ რა ბრალდება უნდა წაუყენო? სპეცრაზმის უფროსს შეიძლება მოთხოვო პასუხი, მაგრამ სპეცრაზმელები ხელმძღვანელის დანაშაულებრივ საქციელს შეეწირნენ. ფირცხალავამ თავისი ძმის დაპატიმრების გამო შური იძიაო, არც ამ ვერსიის მჯერა, ამის გულისთვის კაცს არავინ მოკლავს, ვერც ფირცხალავა მოკლავდა, მით უმეტეს, თუ როგორც ამბობენ, ხუბულოვი სოდის აგენტი იყოო. დავუშვათ ხუბულოვი მართლაც იყო აგენტი, კოდუას ან დათა ახალაიას აგენტს ვიღაც ფირცხალავა როგორ მოკლავდა, ეს ხომ სასაცილოა. კოდუას და ვანო მერაბიშვილის ურთიერთობის შესახებ ფირცხალავას როგორ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, ფირცხალავას ხელმძღვანელობას კოდუა ამ სპეცოპერაციის შესახებ საქმის კურსში რომ არ ჩაეყენებინა, გამორიცხულია. ნაცრეჟიმმა თავისი არაპროფესიონალიზმის, გარეწრობისა და იდიოტობის გამო 160-ზე მეტი ადამიანი შეიწირა, რომლებიც ქუჩაში ჩახოცეს. პროფესიონალი სამართალდამცავები ერთი ხელის მოსმით ქუჩაში გაყარეს, ახალ კადრებს ჭკუის დამრიგებელიც არავინ ყავდა, რომ ეთქვა, რას

17 gv.

კახა კუკავა:

სახელმწიფომ ყველაფრისთვის, რაც ბოლო 25 წლის მანძილზე მოხდა, ქართველ ხალხს ბოდიში უნდა მოუხადოს...

გვესაუბრება „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა:

— კახა, საკმაო ხანია აქტიურ პოლიტიკაში აღარ ჩანხართ. ასეთი ხანგრძლივი შესვენება რამ გამოიწვია?

— დიახ, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ პაუზა გვქონდა. თებერვლიდან საქმიანობა განვაახლეთ, ვგეგმავთ პოლიტიკურ აქტიურობას. ადგილობრივ არჩევნებზე პარტიამ დაბალი შედეგი აჩვენა, რასაც გაანალიზება, განახლება, სტრატეგიის, სტრუქტურის შეცვლა სჭირდებოდა. მითუმეტეს, ზაფხული მოდიოდა და თანაც, ჩვენზე მაღალი შედეგის მქონე ოპოზიციურ პარტიებს მეტი უფლება ჰქონდათ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე ხმა ამოეღოთ. თუმცა, რეალურად, ის პარტიები, რომელთაც მაღალი შედეგები აჩვენეს, ხელისუფლების სატელიტებად იქცნენ და პირდაპირ, მის თამაშს თამაშობენ. აქედან გამომდინარე, „თავისუფალი საქართველო“, პრაქტიკულად, ერთადერთ რეალურ ოპოზიურ ძალად რჩება. ვფიქრობ, ქართულ პოლიტიკაში ჩვენი მონაწილეობა კვლავინდებურად აქტუალურია.

— კახა, პაუზის შემდეგ პრესაში პირველად გამოჩნდით და მოდით იმ საკითხზე ვისაუბროთ რაც, ჩვენს გარდა, მეტნაკლებად, ყველა ქვეყანაში მოწესრიგებულია. ესაა მოქალაქესა და სახელმწიფოს ურთიერთობა. რა ხდება ჩვენთან?

— აქ ორი პრობლემაა, რასთან დაკავშირებითაც „თავისუფალ საქართველოს“ კონკრეტული პოზიცია აქვს: ერთია სამართლებრივი რეფორმა, მეორე — სამართლიანობის აღდგენა. ქვეყანას, სამართლებრივი რეფორმა, კანონის უზენაესობის თვალსაზრისით სჭირდება. ზოგ ქვეყანაში კარგი კანონია, ზოგში — ცუდი. მაგალითად, ითვლება, რომ გერმანიაში კარგი კანონებია, ჩინეთში კი — უსამართლო. მაგრამ ორივე ქვეყანაში კანონებს იცავენ. სახელმწიფო რომ არსებობდეს, აუცილებელია, იგი კანონის საფუძველზე მოქმედებდეს. საქართველოში კანონი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ყველამ კარგად ვიცით, რეალური პოლიტიკური გადაწყვეტილებები აბსოლუტურად არაფორმალურად მიიღება, ხოლო კანონი, სასამართლო და პროკურატურა, შირმაა. პირველი, რაც გვჭირდება, სამართლებრივი რეფორმის გატარებაა. ამ პროცესის შედეგად მიღებული კანონები შეიძლება ყველასთვის მოსაწონი არ იქნეს — ზოგი კანონი მკაცრი იქნება, ზოგი — ნაკლებად მკაცრი, მაგრამ ეს კანონზე დაფუძნებული საზოგადოება უნდა იყოს. კანონს ის მნიშვნელობა აქვს, რომ საზოგადოება სტაბილური იქნება. ყველამ, ვისაც ქვეყანაში **ოპორირება** უნდა, იქნება ეს ოპოზიცია, ინვესტორი თუ სხვა, უმჯობესია იცოდეს სტაბილური და მკაცრი კანონების შესახებ, ვიდრე ქაღალდზე არსებული საუკეთესო კანონებისა, რომელიც არ სრულდება. სამართლებრივი რეფორმა უნდა შეეხოს შსს-ს დეცენტრალიზაციასაც, სასამართლოსაც, დამოუკიდებელი პროკურატურის ფორმირებასაც, საპროცესო კოდექსების განახლებასაც და ბევრ სხვა კონკრეტულ საკითხს. ჩვენ კანონზე დაფუძნებული საზოგადოება გვჭირდება, რომელიც არ გვყოლია. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირი კანონზე დაფუძნებული საზოგადოება იყო მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კანონები ევროპულ სტანდარტებს ძალიან ჩამორჩებოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირში რაღაც კანონი მაინც მოქმედებდა. მაგალითად, ყაჩაღი ადამიანს რომ გაძარცვავდა, ყველამ ვიცოდით, რომ მას პოლიცია დაიჭერდა, ჩვენ კანონის ისეთი უზენაესობა გვჭირდება, როდესაც ინსტიტუტები პოლიტიკური კლიმატისგან დამოუკიდებლად იმოქმედებენ. მეორე პროცესი სამართლიანობის აღდგენაა, რაც შემდეგს გულისხმობს — როცა ხელისუფლება ამ კანონმდებლობას მიიღებს მას პოლიტიკური ნებაც უნდა ჰქონდეს, რომ დაზარალებული ხალხის რეაბილიტირება მოახდინოს. საქმე ისაა, რომ ყოველთვის, ყველა ხელისუფლება ასე თვლის — კი, წინა ხელისუფლებამ ადამიანს ქონება რომ წაართვა, დაჩაგრა, ცუდად მოიქცა, მაგრამ რა ჩემი ბრალია და რა ჩემი გადასახდელიაო. ჯერ ერთი, სახელმწიფო, მიუხედავად ყველაფრისა, პასუხს აგებს, მათ შორის, წინა მთავრობის ქმედებებზეც. მეორეც, დაზარალებულების რეაბილიტაცია, აუცილებელია. საქართველოში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ნიშნით დაზარალებულია დიდი უმრავლესობა. დღეს, მოქალაქეებს რომ შეეკითხოთ, ყველა ქართველი გიპასუხებთ, რომ ქართული სახელმწიფო მისი მტერია, რადგან ზოგს შვილი დაუპატიმრა, ზოგს ქონება წაართვა, ზოგს ნათესავი მოუკლა და ა.შ. სამართლიანობის აღდგენა მარტო იმას როდი ნიშნავს, ვიღაცას ბაზარი რომ წაართვეს, მარტო იგი დავუბრუნოთ მესაკუთრეს. სახელმწიფო ადამიანის ცნობიერებაში რაღაც აუცილებელი ბოროტება არ უნდა იყოს — ეს თუ მიიღწა, ქართველ ხალხსა და ქართულ სახელმწიფოს შორის ერთგვარი შერიგება მოხდება. სახელმწიფომ, ქართველ ხალხს, ყველაფრისთვის, რაც ბოლო 25 წლის მანძილზე

აკეთა ბოდიში უნდა მოუხადოს და რა ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება, ამ ხალხის რეაბილიტაცია უნდა მოხდეს. სამწუხაროდ, დღევანდელ მთავრობას არც სამართლებრივი რეფორმის და არც სამართლიანობის აღდგენის სურვილი არ გააჩნია. უბრალოდ, საზოგადოებრივი აზრის გადასაფარად ხანდახან, ამ სფეროში, რაღაც ცალკეულ, აბსოლუტურად კოსმეტიკურ ცვლილებებს ახორციელებს.

—კახა, ახლა თქვით, სახელმწიფომ ბოლო 25 წლის მანძილზე ჩადენილი ქმედებებისთვის საზოგადოებას ბოდიში უნდა მოუხადოს. თანაც, ხომ არ უნდა შეიქმნას თვისობრივად ახალი სახელმწიფო, აღარ უნდა გამოვიდეთ იმ წყვდიადიდან, რაშიც ეს 25 წელია ვართ?

— ჩვენ არ ვართ სახელმწიფო კლასიკური გაგებით. რაც საქართველოში ხდება ეს პოსტკოლონიალიზმისთვის დამახასიათებელი მოვლენაა, რასაც ევროპელები „არშემდგარ სახელმწიფოს“ უწოდებენ. საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა. ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება პოსტკოლონიური ქვეყნების მიმართ, ანუ იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც გაეროს სცნო და საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფოები არიან, მაგრამ მათ, სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტები არ გააჩნიათ. მაგალითისთვის, შეგვიძლია, აფრიკის ქვეყნები მოვიყვანოთ. ალბათ, „სი-ენ-ენ“-ზე, „ბი-ბი-სი“-ზე გინახავთ აფრიკის ამსახველი კადრები. ჩვენ ვამბობთ, რომ ვიღაც აფრიკის პრეზიდენტია, ვიღაც პარლამენტის თავმჯდომარე, მაგრამ თავად ისინი ამბობენ, რომ ტომის ბელადები არიან. ანუ აცდენაა. იქ, სახელმწიფოები ვერ შედგა, ზოგან ცდილობენ, ამ კუთხით, რაღაც პროცესებიც მიდის, მაგრამ სახელმწიფოდ მაინც ვერ ჩამოყალიბდნენ. ის, რომ მაგალითად, ზიმბაბვეს რესპუბლიკა ეწოდება, ეს პირობითია. სამეგრელოში ასეთი ტრადიცია გვაქვს: ბავშვი რომ დაიბადება, რეესტრში ატარებენ როგორც თამაზი, რამაზი, ნუგზარი და ა.შ., მაგრამ სოფელში ეძახიან ჯოტიას, ხვიჩას. ასეთი აცდენა გვაქვს სახელმწიფოს შემთხვევაშიც. ქართული სახელმწიფო რეალურად სახელმწიფო არაა ისევე, როგორც აფრიკული სახელმწიფოები ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. საქართველო ესაა ტერიტორია, სადაც მარიონეტული რეჟიმებისა და კორუმპირებული ელიტების რაღაც ნაზავია თავმოყრილი. სახელმწიფო რომ შეიქმნას ამას თუ რევოლუცია არა, მინიმუმ სერიოზული რეფორმები სჭირდება.

— კანონები შესაცვლელიაო, ახსენეთ. ნაცების მიერ გაუპატიურებული სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კოდექსიც, ალბათ, თავიდანაა დასაწერი, რომელიც დათრგუნვის, ძალადობისკენაა მიმართული.

— ეს იმის ბრალი კი არ არის, რომ კანონები არ ვარგა, არამედ რითაც საუბარი დავიწყეთ — კანონები ფიქციაა, რეალურად, ამ საკითხებს, პოლიტიკური ორგანოები წყვეტს. გამოაცხადეს, ჯოკია ბოდოკიას 16 წელი უნდა მივუსაჯოთო. ჯოკია ბოდოკიას მიმართ სიმპატიით ნამდვილად არ ვარ გამსჭვალული, მაგრამ საქართველოში მილიარდები ვინც მოიპარა, იმ ხალხს, მართლმსაჯულება საერთოდ არ შეხებია. გამოვიდა, რომ ჯოკია ბოდოკია ვეფხვი ყოფილა. ჯოკიაც უნდა დაისაჯოს, მაგრამ კანონიერება იმას გულისხმობს, რომ ყველა დასასჯელი უნდა დაისაჯოს. აშშ-ში, ევროპაში პრემიერები, პრეზიდენტები, სენატორები, მილიარდერები ჩადენილი დანაშაულობებისთვის ციხეში მიდიან. რატომ? — იმიტომ კი არა, რომ ვინმე პოლიტიკურ ანგარიშს უსწორებს. არა! საფრანგეთის პროკურატურას სულ ფეხებზე ჰკიდია სარკოზის სტატუსი. მილანის პროკურატურას სულ ფეხებზე ჰკიდია რა იმუნიტეტი აქვს ბერლუსკონის. პოლიტიკურ სამყაროში ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. თუმცა, პოლიტიკურ ბრძოლაში, სამართლებრივ მომენტებს იქაც იყენებენ. მაგალითად, ბერლუსკონის ოპოზიცია, ალბათ, რაღაც კომპრომატებს აგროვებს და ცდილობს იგი ციხეში ჩასვას. მაგრამ მთავარი სხვაა. მილანის პროკურორს, რომელიც სადღაც კაბინეტში ზის, ბერლუსკონის სტა-

ტუსი სულ ფეხებზე ჰკიდია, ისე მიჰყვება საქმის მსვლელობას. ეს დაახლოებით იგივეა, ქუთაისის პროკურორმა მაღალი თანამდებობის პირების დანაშაულებების საქმეზე გამოძიება რომ დაიწყოს, აქ, ეს ხომ წარმოუდგენელია.

— ამ ყველაფრის გაგრძელებაა ის სოციალური უთანასწორობა, რაც დღეს სახეზეა — ჩინოვნიკები 10 ათასობით პრემიებს იღებენ, პენსიონერის პენსია კი 150 ლარია. ბიუროკრატიის მომსახურების ფონდი 150 მილიონით გაიზარდა, მასწავლებლის ხელფასი კი მინიმალურია.

— მთავარი პრობლემა ისაა, რომ საქართველო სახელმწიფოდ უნდა შედგეს. მანამდე სხვა პრობლემებს, როგორიცაა ეკოლოგია, კულტურა, სადაც ასევე, უმძიმესი მდგომარეობაა, ვერ გადავწყვეტთ. დღეს, მთავარია, საქართველო ჩამოყალიბდეს როგორც სამართლებრივი სახელმწიფო, სადაც პარლამენტი პარლამენტი იქნება და არა ბაზარი. ზვიადაური ბობოხიძეს თავზე რომ დაახტა, ასე რა კანონი უნდა მიიღონ, პარლამენტში ბაზარია, მთავრობაში მაფია, პოლიციაში ყაჩაღები. აი, ეს პრობლემაა საქართველოში მოსაგვარებელი, რათა მეტ-ნაკლებად ცივილიზებული სახელმწიფო ჩამოვაყალიბოთ. ისეთი სახელმწიფოს მოდელი უნდა გვქონდეს, სადაც ჯანყარაშვილი ჩინოვნიკი კი არ გახდება, არამედ ციხეში იჯდება. ია ანთაძემ დაწერა, რომელი განათლების რეფორმა უნდა გაატარო ქვეყანაში, როდესაც ყველა მინისტრი ოროსანიაო. საბჭოთა კავშირის დროს გვეუბნებოდნენ — ისწავლეთ, ისწავლეთ, ისწავლეთ. რატომ? — იმიტომ, რომ რაიკომის მდივნები, შეიძლება, არც მაშინ იყვნენ ყველაზე კარგი ადამიანები, მაგრამ ასეთი ხუმრობა იყო — პრესტიჟული ფაკულტეტი უნდა დაგემთავრებინა, რომ რაიკომის მდივანი გამხ-

— კახა, დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალქე სახელმწიფოს შემქმნელი, მთავარი პირია. იგი გადასახადის გადამხდელია ანუ ის პირი, ვინც ამ სტრუქტურებს არჩენს.

— ქვეყნებში სადაც დემოკრატიაა და მოქალაქეს ფასი აქვს, ამ უკანასკნელმა მეფე სიკვდილით დასაჯა. არავის სიკვდილით დასჯაზე არ ვსაუბრობ, მაგრამ ეს ცნობიერი გარდატეხა იყო — მოქალაქეებმა, ბურჟუებმა, უგვარო, უწარმომავლო ხალხმა ფსიქოლოგიური ბარიერი დაძლიეს და თქვეს ჩვენ ვართ ფრანგებიო და ისინი დასაჯეს, დახვრიტეს და ქვეყნიდან გაყარეს. იგივე მოხდა ინგლისში და ბევრ ქვეყანაში. საქართველოში ეს მენტალიტეტი დაძლეული არაა. ჩვენთან მოქალაქე სოციოლოგიურ გამოკვლევაში სხვაგვარად გიპასუხებს, მაგრამ თუ პირისპირ დაელაპარაკები, რა თქმა უნდა, არცერთი ქართველი არ თვლის, რომ ამ ქვეყნის პატრონია. ყველა კარგად აცნობიერებს, რომ ქვეყანას რაღაც კლანი მართავს. ქართველ ხალხს პრეტენზია არ აქვს იმაზე, რომ ქვეყანა მართოს, არამედ მას პრეტენზია აქვს იმაზე, რომ მთავრობამ რაღაც გადმოუგდოს.

— ასე სამოქალაქო საზოგადოება ვერ შედგება. სხვაგან, მოქალაქე ჩვენსავით თავდახრილი არ დადის.

— ეს ორი დიდი ფილოსოფიაა — დასავლური და აღმოსავლური. დასავლეთში ხალხია ბატონი და სახელმწიფო მისი მსახური. აქეთ, პირიქით, სახელმწიფო არის ბატონი და მოქალაქე მსახური. ეს ადამიანებს ქცევაზეც ემჩნევათ. ევროპელი ჩინოვნიკები სხვაგვარად იქცევიან. მაგალითად, ბელგიაში პრემიერ-მინისტრი სულაც არ არის პირველი პირი, შეიძლება, კაფეში ჩვეულებრივ, თქვენს გვერდით მჯდომი ნახოთ. ბელგიაში პრემიერ-მინისტრზე უფრო გავლენიანი, მდიდარი და ცნობილი 200 კაცი მაინც ჰყავთ. ასეა დემოკრატიულ ქვეყნებში. საქართველოში პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი მიუწ-

დარიყავი. მხოლოდ ცეკას მდივნის ნათლულობით, რაიკომის მდივანი ვერ გახდებოდი. დღეს, ვხედავთ როგორი მინისტრები და თანამდებობის პირები გვყავს, ხის თავიანები, რომლებიც **გეროინს** და **გერაინს** ვერ არჩევენ და თალიბანი ადამიანი ჰგონიათ. პირი რომ გააღო, გომელაურმაც ათასი სისულელე დააბრეხვა. ასეთი ადამიანები სახელმწიფოს პირველი პირები ხდებიან. მარტო ტესტები და უნივერსიტეტის რემონტი ვერ უშველის საქმეს. განათლების რეფორმა რომ გატარდეს, ცოდნა უნდა იყოს დაფასებული. ცოდნა მაშინ დაფასდება, როცა ჩვენი საზოგადოება დაინახავს, რომ საკვანძო პოსტებს ყველაზე განათლებული, ინტელექტუალურად მომზადებული ადამიანები დაიკავებენ. დღეს, ჩვენს ქვეყანაში, ყველაზე ინტელექტუალურად მომზადებული ხალხი ან ევროპაში გარბის ან საქართველოში კერძო სექტოროში მუშაობს. ხომ ამჩნევთ, რომ ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან ბანკის იურისტი ბევრად უფრო მაღალი კვალიფიკაციისაა, ვიდრე ჩვენი პროკურორები და მოსამართლეები.

ვდომელი სიმაღლეა. ის კი არა დეპუტატებიც და მაჟორიტარებიც მიუწვდომელნი არიან ხალხისთვის, ეს ფეოდალური სისტემაა.

— ანუ 21-ე საუკუნეში ბატონყმური ურთიერთობის ახალი ფორმა მივიღეთ?

— 21-ე საუკუნეში არა, ეს სულ იყო. უბრალოდ, განვითარებულმა ერებმა ეს დაძლიეს, ზოგმა 500 წლით ადრე, ზოგმა 300 წლით ადრე, ზოგმა 100 წლის წინ. მაგალითად, თურქებმა, ეს რევოლუცია, 100 წლის წინ მოახდინეს. ჩვენ ეს რევოლუცია ვერ გავაკეთეთ. ჩვენთან მოხდა გამსახურდიას დროს რევოლუცია, თუმცა ძალიან ეფემერული, რასაც სწრაფადვე მოჰყვა კონტრ-რევოლუცია. ერთმა გერმანელმა რეჟისორმა, მაშინ, საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ფილმი გადაიღო და ამას „ნომენკლატურის რევანში" უწოდა. არაფერი შეცვლილა. ღარიბ ოჯახში გაზრდილი, თავისუფალი, უბრალო, განათლებული ადამიანები მთავრობაში ვერ მოვიდნენ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

იური ვაზაგაშვილის მკვლელობის მოტივი რომ გავარკვიოთ, ჯერ ის უნდა დავადგინოთ, რომელ ძალას აწყობს საქართველოში სიტუაციის არევა

15 gv.

აკეთებთ, ხალხთან გაქვთ საქმე და არა ცხოველებთანო. ეს იყო უბედურება და შედეგიც მიიღეს, თუმცა მათ რა, ჩვენმა ხალხმა ზღო, ესენი მოიხდიან სასჯელს და გათავისუფლდებიან, იმ დახოცილებს რა ეშველებათ?

— თავიდან ხომ ამბობდნენ იქ მეოთხე პირიც იყოო, მერე სად გაქრა ის პირი?

— რამდენადაც ვიცი ის მეოთხე პირი ამბობდა, რომ ამათ საერთოდ არ იცნობდა, მერე იძულებით რა ათქმევინეს ვერ გეტყვით. მიდიოდნენ კი ეს

ლებს ჰქონდათ. ამიტომ სააკაშვილის დროინდელი არცერთი თანამდებობის პირი არ უნდა მუშაობდეს სამართალდამცავ სტრუქტურაში, რადგან კიდევ დიდ უბედურებებს დაატრიალებენ, განა იმიტომ, რომ ცუდი ბიჭები არიან, უბრალოდ შეჩვეულები არიან ამას. ნაციონალებმა ფულით იყიდეს მათი სულები და უკიდურესად გაათავხედეს. დაუსჯელობის სინდრომი ყოველთვის იყო პოლიციაში, მაგრამ სააკაშვილის მმართველობისას, განუსაზღვრელ მასშტაბებს მიაღწია. 25 წელი ვატარებდი იარაღს, მაგრამ ჩემმა მეზობლებმაც კი არ იცოდნენ, ჩვენ იარაღს ვმალავდით, ესენი კი არა-

ბიჭები საყაჩაღოდ, შეიძლება თქვეს კიდეც საყაჩაღოდ მივდივართო, მაგრამ სინამდვილეში რესტორანში მიდიოდნენ. რაში სჭირდებოდათ სამი კაცის ასაყვანად სპეცრაზმი, ოპერთანამშრომლები არ ეყოფოდნენ? პოლიციის თითო განყოფილებას 15 ოპერთანამშრომელი მაინც ყავს, მაგრამ პიარს იკეთებდნენ, რომ ისეთი სახელმწიფო ააშენეს, სადაც ყველა რგოლი გამართულად მუშაობდა, თუმცა შემთხვევით გავარდნილმა ტყვიამ ყველაფერი წყალში ჩაუყარა. ე.წ. საკონტროლო გასროლებსაც მათ მეტიჩრობას დავაბრალებ, ესეც ვიღაცის წინაშე თავის გამოსაჩენად უნდოდათ, ახლა კი უარყოფენ, მაგრამ სატელევიზიო კადრებში ხომ აშკარად ჩანს და ექსპერტიზამაც დაადასტურა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, სპეცრაზმი რომ არ წაეყვანათ, ეს ტრაგედია არ მოხდებოდა, ავტომატები სპეცრაზმს ჰქონდა და შემთხვევით სწორედ ავტომატი გავარდა, მაგრამ ეს შემთხვევითობა სულაც არ ამსუბუქებს მათ პასუხისმგებლობას. მერე ისიც თქვეს, რომ თითქოს იმ ბიჭებს იარაღი (პისტოლეტი) ჰქონდათ, დანამდვილებით ვიცი, რომ მათ იარაღი არ ჰქონიათ.

გინდა თუ არა, იქამდე მიდიხარ, რომ ეს იყო სისტემური დანაშაული, 2004 წელს პროფესიონალები მასობრივად გაყარეს სტრუქტურიდან, მოიყვანეს შემთხვევითი ხალხი, რომლებმაც ცეცხლსასროლი იარაღი პირველად ნახა, ხოლო სააკაშვილმა მათ განუსაზღვრელი ძალაუფლება მისცა და მოუწოდა, ხელი არ აგიკანკალდეთ ისე ესროლეთო. გამოუცდელ, უცოდინარ პიროვნებას იგივე რეაქცია ექნებოდა, რაც ამ პოლიციე-

ფერს ერიდებოდნენ, მიხვდნენ ყველაფრის უფლება ჰქონდათ. მერაბიშვილის მინისტრობისას პოლიციის ერთ-ერთი დიდი თანამდებობის პირი ყვებოდა, სადღაც (რესტორანთან თუ სახლთან) ვიდექით და ვდარაჯობდით, არც ვიცოდით შიგნით ვინ იყო, უცებ ვანო მერაბიშვილი გამოვიდა, ბიჭებო, აქ ასე როგორ ხართ, წამოდითო, შეგვიყვანა ყველა და გვაქეიფა, აი, ვინ არის კაციო. მაშინ ვუთხარი, რომ სწორედ ეს იყო ქვეყნის უბედურება, რომ პიროვნებას ხედავდნენ, მას ემსახურებოდნენ და არა ხალხს. გახსოვთ ალბათ, პოლიციელები ხალხს რომ ესროდნენ და თან მიშა-მიშას ყვიროდნენ. პოლიციელი რომ მიშა-მიშას დაიყვირებს, იმის სისტემაში გაჩერება როგორ შეიძლება. დღევანდელმა ხელისუფლებამ თუ არ იცის მიტინგების დამრბევ პოლიციელთა ვინაობა, ამის გარკვევა სულ ადვილია, ჩაიხედონ კადრების სამმართველოს მიერ მომზადებულ ბრძანებებში ვის როდის აქვს პრემიები მიღებული და მიხვდებიან. ვიცი, ჩემი ამ განცხადებით ბევრ ადამიანს გავანაწყენებ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, ისინი ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიურად დაზიანებული ხალხია და ასეთ ადამიანებს იარაღი არ უნდა მისცე ხელში, რადგან ისინი პიროვნებას (სააკაშვილს, მერაბიშვილს და ა.შ.) ემსახურებიან და ქვეყანას და ხალხს, წინაარმდეგ შემთხვევაში ამდენი გვამები არ იქნებოდა. ნაციონალებს რომ კითხო, მათი მმართველობისას დანაშაული აღარ ხდებოდა, კრიმინალი როგორღა მოხდებოდა, როცა ყველა კრიმინალი ხელისუფლებაში და მთავრობაში იჯდა.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

რამდენად სწორია ინფორმაცია, რომ ირაკლი ფირცხალავამ კაზინოში 200 000 dolari waago და ოჯახი უსახლკაროდ დატოვა?

ირაკლი ფირცხალავას მეუღლე ნინო ხვიტია საზოგადოების მხრიდან ზეწოლებზე საუბრობს და აცხადებს, რომ ხალხის მხრიდან აგრესიას გრძნობს – ჩემი შვილების მისამართით მუქარები და წყევლები ისმისო.

ტელევიზიით ირაკლი ფირცხალავას პირველად გამოჩენამ იმთავითვე გამოიწვია არასასიამოვნო განწყობები, თუმცა არავის მოსვლია აზრად მისი ოჯახისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა. მიუხედავად ამისა, ირაკლი ფირცხალავას ქალიშვილმა მაინც განაცხადა, ჟურნალისტებს ისე გაუხარდათ ჩვენი ოჯახის უბედურება, ერთი მათგანი კიდევაც გაიძახოდა: ფირცხალავას ატირებული ქალიშვილი დამანახეთ, უნდა ვისიამოვნოო...

რაც შეეხება ფირცხალავას ოჯახს, როგორც ოჯახთან დაახლოებულები ამბობენ, ირაკლი ფირცხალავას საკუთარი საცხოვრებელი ბინა კორტების სპეცოპერაციიდან ორი თუ სამი წლის შემდეგ გაუყიდია და კაზინოში წაგებული 200 000 დოლარი სწორედ გაყიდული ბინის თანხით დაუფარავს. როგორც გვითხრეს, ირაკლი ფირცხალავა ძალიან ყოფილა გატაცებული აზარტული თამაშებით. ამას ის წაგებული 200 000 დოლარიც მოწმობს, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, დამწყები მოთამაშე ამხელა ფულს არ აგებს, არც ფსონს დებს ამ რაოდენობის თანხაზე.

ფირცხალავას მეუღლის ნინო ხვიტიას მამას, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის დამაარსებელს გრიგოლ ხვიტიას იმ ხანებში უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის ხელფასები ვერ გადაუხდია და სწორედ მაშინ წამოუყვედრებ-

ათ თანამშრომლებს რექტორისთვის – თქვენი სიძე კაზინოში აგებს და ჩვენი ხელფასებით ფარავთ ვალებსო.

– დღეს ირაკლი ფირცხალავას ოჯახი გრიგოლ ხვიტიას სახლში ცხოვრობს, რადგან ბინა გაყიდეს და, ფაქტობრივად, უბინაოდ დარჩნენო, – ირწმუნება ჩვენი ინფორმატორი, რომელიც ხვიტიების ოჯახთან დაახლოებული პირია.

როგორც ჩანს, ირაკლი ფირცხალავას ნაცმოძრაობის „ჩამოლაბორანტების“ მერე სერიოზული ფინანსური პრობლემები გაუჩნდა, გავლენას და ეკონომიკურ კეთილდღეობას მიჩვეული ფირცხალავა უფუნქციოდ და მფარველების გარეშე დარჩა. ახლა, როცა „ნაცმოძრაობის“ წევრები საკუთარი ტყავის გადასარჩენად იბრძვიან, ვინ საით გარბის, ისიც რომ არ იციან, ფირცხალავასთვის ვიღას სცხელოდა?! თუმცა კუთხეში მიმწყვდეული ირაკლი ფირცხალავა ვის დაასახელებს ვაზაგაშვილების ოჯახის ტრაგედიაში მთავარ მონაწილეებად, ყველაფერს თვითონ აიღებს საკუთარ თავზე თუ კიდევ „ჩაიყოლებს“ ვინმეს, ამას უახლოეს ხანებში დავინახავთ.

რამდენად სწორია ინფორმაცია, რომ ირაკლი ფირცხალავამ კაზინოში 200 000 დოლარი წააგო და ოჯახი უსახლკაროდ დატოვა, ვფიქრობთ, ეს ინფორმაცია აუცილებლად უნდა გადაამოწმონ შესაბამისმა ორგანოებმა, რადგან ადამიანის ზოგიერთ ქმედებას, რომელის ახსნასაც პოლიტიკური მოტივებით ვცდილობთ ხოლმე, არ არის გამორიცხული, სინამდვილეში, სრულიად ბანალური მიზეზები ედოს საფუძვლად.

გასაკვირია, რომ კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის საქმესთან დაკავშირებით, ჯერ-ჯერობით, არაფერი თქმულა საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის და შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის მისამართით.

არადა, ეს ფართომასშტაბიანი ოპერაცია, რომელშიც უამრავი ადამიანი მონაწილეობდა, წარმოუდგენელია, მათთან შეთანხმების და მათი დასტურის გარეშე ირაკლი ფირცხალავას ან სხვა ვინმეს დამოუკიდებლად ჩაეტარებინა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაცია ტყუპისცალივით ჰგავს სხვა სპეცოპერაციებს, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის დროს არაერთხელ განხორციელებულა.

გავიხსენოთ თუნდაც სპეცოპერაცია ნავთლუღის ბაზართან, რომელსაც სამი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა.

სპეცოპერაცია ეცერში, აფრასიძეების ოჯახის წინააღმდეგ, სპეცოპერაცია ორთაჭალის ციხეში და ა. შ. და ა.შ.

ეს ვანდალური აქტები კარგად დაგეგმილ მკვლელობებს უფრო ჰგავს, ვიდრე სპეცოპერაციებს...

ამის გაანალიზება და ერთ კონტექსტში მოქცევა კიდევ ერთხელ მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ „ნაცმოძრაობა“ ეს იყო კრიმინალური, სასტიკი და დაუნდობელი ორგანიზაცია საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მერიიდან 445 თანამშრომელი გათავისუფლდა

მერიიდან 445 თანამშრომელი გათავისუფლდა. ამის შესახებ მერიაში გამართულ ბრიფინგზე გახდა ცნობილი. როგორც მერიის პრესსპიკერმა განაცხადა, თანამშრომლები ვაკანტურ თანამდებობებზე დროებით მოვალეობის შესრულების ვადის გასვლის გამო გათავისუფლდნენ.

„მერიის სისტემაში კონკურსი გამოცხადებული იყო 1 033 ვაკანსიაზე. კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე პრეტენდენტებმა გაიარეს ტესტირება, ხოლო მეორეზე – გასაუბრება. კონკურსის შედეგების მიხედვით, კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია 484 პრეტენდენტს, ხოლო 549 ადგილი დარჩა ვაკანტური, რაზეც მოგვიანებით ხელახალი კონკურსი გამოცხადდება“, - განაცხადეს მერიაში.

როგორც ბრიფინგზე აღინიშნა, კონკურსის შედეგების მიხედვით, ვაკანტური ადგილების 40% ახალი კადრებით დაკომპლექტდება.

საკაშვილს და მის ბანდას მალე გამოყრიან უკრაინიდან

ვესაუბრებით ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს – ბატონ ზურაბ გაგნიძეს

–ბატონო ზურაბ, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების უკრაინაში დასაქმებას როგორ შეაფასებდით, რამდენად მისაღებია ეს თანამედროვე მსოფლიოსთვის?

– ასეთი მასობრივი სახელისუფლებო დანიშვნები უცხო ქვეყნის ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებისა, მართლაც უპრეცედენტოა, რა დგას ამის უკან, მალე გამოვლინდება, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თავად უკრაინელი ხალხი ამის წინააღმდეგია, ისინი პირდაპირ ლაპარაკობენ, რომ უცხო ქვეყნის წარმომადგენლები „თავზე დაჯდნენ“ თავად არ ჰყავდათ კანდიდატები? ეს ყველაფერი ზედა ფენამ გადაწყვიტა ასე ამერიკისა და დასავლეთის ჩარევით და უკრაინის პრეზიდენტმა თვითნებური სვლები გააკეთა და დანიშნა თანამდებობებზე საქართველოს ხელისუფლებიდან განდევნილი ხალხი, კრიმინალში მხილებულები და ძებნილები. ვფიქრობ, რომ ეს გახლავთ უკრაინის მხრიდან საერთაშორისო დანაშაული. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო უკრაინაში საერთო-სახალხო აჯანყება დაიწყოს. ვფიქრობ, მალე თვითმხილველი გავხდებით იმისა, თუ როგორ გამოაძევებს უკრაინელი ხალხი საქართველოდან ჩასულამ კრიმინალებს.

– ნაციონალებს სერიოზული ამერიკული ლობი ჰყავს და მათი იმედი აქვთ...

– ლობი ჰყავთ სერიოზული თანხების ხარჯზე, რაც შეეხება სახელს მე მათ ვუწოდებ „ცრუ ნაციონალებს“, მათ ეროვნულობის არაფერი გააჩნიათ. თავად ეშინიათ სიტყვა ნაციონალის მართალი გაგების, პატრიოტიზმის და ეროვნულობის არაფერი სცხიათ, არც უნდათ. როდესაც ეს სახელი დაირქვეს, მათთან მე მქონდა პოლემიკა, იმიტომ, რომ ვინც ეს სახელი დაირქვეს, არავინ იყო ეროვნული. ლევან ბერძენიშვილი იყო ეროვნული? როდესაც საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი იყო, შოთა რუსთაველის ძეგლი, რომელიც მერაბ ბერძენიშვილის მიერ იყო გაკეთებული, შენობიდან გამოიტანა და მოაჯირზე შემოდო, ეს არის ერის სიყვარული? ახლაც იქ არის. ასეთმა ხალხმა დაარქვა ამ პარტიას ნაციონალები, თვითონვე წინააღმდეგი იყვნენ აზრობრივად იმისა, რაც ერქვათ.

– ალასანია რატომ დაუპირისპირდა ასე სასტიკად კოალიციას?

– ჩემი აზრით, ალასანია ყოველთვის სააკაშვილის გუნდის წევრი იყო, ფაქტობრივად, ის მას არც გამიჯვნია, რესპუბლიკური პარტიაც ასე არ არის? ბერძენიშვილებმა ვერ აიღეს აჭარაში ხმები და იმიტომ გაემიჯნენ ნაციონალებს. ფაქტობრივად, ივანიშვილმა 2012 წლის არჩევნების დროს „გააცოცხლა“ ეს მივიწყებული და ურეიტინგო პოლიტიკოსები ანუ პოლიტიკური გვამები „გააცოცხლა“. ალასანია რომ დიდხანს არ დარჩებოდა „ოცნებაში“, ეს ყველამ იცოდა.

– რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

– შესაძლებელი არის, მაგრამ ამხელა ხარჯის გაწევა არასწორად მიმაჩნია. არჩევნებს სჭირდება მომზადება, რაღა დარჩა, თითქმის წელიწადნახევარი, სჯობია ქვეყანა სერიოზულად მოემზადოს, გამოიკვეთოს ახალი სახეები, ეროვნული ხალხი, რომ სწორი არჩევანი გაკეთდეს ქვეყანაში ბოლოსდაბოლოს. ვფიქრობ, არც ერთი ოპოზიციური ძალა, რომელიც დღეს ქვეყანაშია, მზად არ არის ვადამდელი არჩევნებისთვის.

რომ ვიჩქაროთ, შეიძლება უარესი ხელისუფლება მივიღოთ. ამ პარლამენტმა ნიღაბი უკვე ჩამოიხსნა, არჩევნებამდე თვითლიკვიდაციას მოახდენენ,. რადგანაც კოალიციას საერთო არაფერი გააჩნია. თვითონ პარლამენტარები ხალხის ინტერესებს არ გამოხატავენ, მთავრობა და პარლამენტი გაუცხოებულია თავისი ხალხისგან. ავიღოთ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ფანჯიკიძე, ძალიან სუსტი მინისტრი იყო, მაგრამ ბერუჩაშვილი – უარესია! აი, ეს არის სიჩქარე. არ უნდა ვიჩქაროთ არჩევნების დროზე ადრე ჩატარება, ვიდრე ნამდვილი პატრიოტები არ მომძლავრდებიან და არ გამოიკვეთებიან. უარესისა და უარესის დანიშვნა თანამდებობაზე იმას ნიშნავს საბოლოოდ, რომ თითქოს კადრები არა გვყავს, სინამდვილეში ეს ასე არ არის. დღეს ქვეყანაში ბევრი ღირსეული ადამიანია. ამიტომ ლუსტრაცია უნდა მოხდეს როგორც მთავრობის წევრების, ასევე ზოგიერთი ტელევიზიის, რომელიც ხალხში ნერგავს ცრუ იდეოლოგიას. უნდა შეიქმნას ტელევიზიები, რომელიც მაქსიმალურად გამოხატავს ხალხის ინტერესებს, ასევე ნიჭიერ ხალხს გაუხსნიან გზას. მედიის გაჯანსაღება აუცილებელია. ქართველი ხალხის ინტერესების დამცველი არც ერთი ტელევიზია არ არის დღეს.

– ხალხი რამდენად გაუძლებს ამდენ წნეხს და უბედურებას, ვერცერთი არჩევნებით შედეგი ვერ მიიღეს, როდემდე?

– ხალხს ამაზე უარესიც გადაუტანია და გაუძლეს. ამასაც გაუძლებენ, უბრალოდ, სხვა გზა არ არის, შაჰ-აბასმა და აღა მაჰმად ხანმა ვერაფერი დააკლო საქართველოს და სააკაშვილი და ალასანია ვერაფერს დააკლებენ ერს. ცხადია, თაობები დაიჩაგრა, რადგან ვერ მოახდინა პატიოსანმა ხალხმა თვითრეალიზაცია, თორემ ერი გადარჩება და ამ ცრუ დემაგოგებსაც გაუძლებს. მსოფლიოში ინტეგრაცია უნდა მოვახდინოთო, რად გვინდა ისეთი ინტერგაცია, თუ ჩვენი ღირსეული კადრების გაცნობას ვერ მოვახერხებთ მსოფლიოსთვის?

– თქვენი აზრით, რა ღუპავს პარლამენტს, რატომ იყრიან იქ თავს არაკვალიფიციური კადრები?

– მთავრობას და პარლამენტს ღუპავს მაღალი ხელფასი, ტყუილია ასეთი „მითის“ არსებობა, რომ მაღალ ხელფასს დავნიშნავთ და ქრთამს არ აიღებენ, პირიქით, უფრო აიღებენ, რაც შეიძლება დაბალი ხელფასი უნდა ჰქონდეს პარლამენტარს და იქ ქვენა გრძნობების მქონე პიროვნება აღარ წავა, დღეს მათ მთავრობისა თუ პარლამენტის შენობა მიაჩნიათ „საქულას დუქნად“, ფულის საკეთებელ ორგანოდ – ეს ასე არ უნდა ხდებოდეს. ფული თუ უნდათ, წავიდნენ და ბიზნესი აკეთონ. მთავრობაში თავი უნდა მოიყაროს ისეთმა ხალხმა, ვისაც სახელმწიფოს მართვა აინტერესებს და ერს ემსახურება.

ახლანდელი მთავრობის, მერიისა თუ სხვა თანამშრომლები არც მალავენ, ისე იმატებენ ხელფასს. მერიაში 300 პროცენტით გაიდიდეს ხელფასები რატომ? რას აკეთებენ ზედმეტს? წავიდა უგულავა და მოვიდა ნარმანია – უარესი გაკეთა, როდემდე? ვის ხარჯზე იმატებენ ხელფასებს? ხალხისა და ბიუჯეტის ხარჯზე! ამას წერტილი უნდა დაესვას.

ემზერ კასრელიშვილი
599 110 200

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

-ჩემმა შვილმა არასრულწლოვნობის დროს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მოიხადა სასჯელი. ვის შეიძლება მივმართოთ ნასამართლობის ვადაზე ადრე მოხსნის თაობაზე?

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, იმას, ვინც განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა თვრამეტ წლამდე, ნასამართლობა გაუქარწყლდება სასჯელის მოხდიდან ხუთი წლის შემდეგ.

თქვენი შეკითხვიდან ჩანს, რომ გსურთ ნასამართლობის ვადაზე ადრე მოხსნა.

თქვენ შეგიძლიათ განცხადებით მიმართოთ საქართველოს პრეზიდენტს შეწყალების აქტით ნასამართლობის მოხსნის შესახებ ან სასამართლოს სასჯელმოხდილის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ნასამართლობის გაქარწყლერბის ვადაზე ადრე მოხსნის შესახებ.

მიგითითებთ შესაბამის მუხლებს სს კოდექსიდან:

საქართველოს სს კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

ამავე კოდექსის 79-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია, მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე

* * *

– სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, ვინ უნდა აღასრულოს ანდერძი?

– ანდერძის აღსრულების მოვალეობა, ჩვეულებრივ, ანდერძით მემკვიდრეებს ეკისრებათ, რომლებსაც შეუძლიათ ანდერძი ან ერთად აღასრულონ, ან მისი აღსრულება ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს მიანდონ. თუმცა, შესაძლოა, ანდერძში მითითებული იყოს სხვა პირიც / ან პირები /ანდერძის აღმსრულებლად. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ამ პირმა ანდერძზე ან მასზე დართულ განცხადებაში წერილობით გამოხატოს თანხმობა. გარდა ამისა, ანდერძის აღმსრულებელს, შეუძლია, ნებისმიერ დროს უარი თქვას თავისი მოვალეობის შესრულებაზე, რის შესახებაც წინასწარ უნდა გააფრთხილოს მემკვიდრეები.

შესაძლოა, ასევე, ანდერძით განისაზღვროს ცალკე მესამე პირი, რომელსაც დაევალება ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნა და მემკვიდრეთათვის აღნიშნულის შეტყობინება.

* * *

– ჩემმა შვილმა პირობითი სასჯელის პერიოდში ჩაიდინა ნაკლებად მძიმე განზრახი დანაშაული და ამჟამად სასჯელს იხდის ერთ-ერთ დაწესებულებაში. როდის იქნება შესაძლებელი მისი პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება?

– როდესაც მოიხდის ფაქტობრივად დანიშნული სასჯელის სამ მეოთხედს.

* * *

– ჩემი ქალიშვილი აპირებს საზღვარგარეთ წასვლას და სურს ბავშვის წაყვანაც. ბავშვის წაყვანის წინააღმდეგია ჩემი ყოფილი სიძე. არის თუ არა სავალდებულო მისი თანმობა მოცემულ შემთხვევაში და თუ არის, გთხოვთ გვითხრათ, არსებობს თუ არა ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის რაიმე სამართლებრივი მექანიზმი, ერთ-ერთი მშობლის უარის შემთხვევაში?

– როდესაც ერთ-ერთ მშობელს საზღვარგარეთ მიჰყავს შვილი, აუცილებელია მეორე მშობლის თანხმობა. არსებობს გამონაკლისი: შეგიძლიათ სარჩელით მიმართოთ სასამართლოს ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ თქვენი ქალიშვილი საფუძვლიანად დაასაბუთებს, რომ საზღვარგარეთ წაყვანა ბავშვის ინტერესებისათვის ხდება, შესაძლოა, სასამართლომ ეს საკითხი გადაწყვიტოს თქვენს სასარგებლოდ.

ავეჯის გადაზიდვა
593 20 46 87

საქართველოში უპრეცედენტო იუბილე გაიმართა, უნიკალური თავისი შინაარსით და მნიშვნელობით — ქართველებისა და ებრაელების 26-საუკუნოვან თანაცხოვრებას ზეიმობდა ორი სხვადასხვა აღმსარებლობის ერი. მსოფლიოს ვერცერთი ქვეყანა, რომელშიც ებრაული დიასპორაა, ვერ მოიწონებს თავს იმით, რომ საზეიმოდ აღენიშნოს ამ ქვეყანაში ებრაელთა შემოსვლისა და დასახლების თარიღი. 2014 წელი კი საქართველომ საიუბილეო წლად გამოაცხადა.

დღეს 2015 წლის 18 თებერვალს ამ ორი ერის ღირსეულ მანდილოსანს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ღირსების ორდენის კავალერს, ცოდნისა და ინფორმატიკის ცენტრის დირექტორს, კლუბ „26 საუკუნის" ხელმძღვანელს - **ზაირა დავარაშვილს 70 წელი შეუსრულდა**. დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვულოცავთ მას ამ საიუბილეო თარიღს.

ცხოვრების მანძილზე მას უამრავი ჯილდო და საპატიო სიგელი აქვს მიღებული, გამოვყოფთ ზოგიერთს: „ამაგდარი"- განათლების სამინისტრო; „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის"; „ესთა" - ქართველ და ებრაელ ქალთა მეგობრობის ასოციაცია: „ხალხთა შორის მეგობრობა" - „სახალხო დიპლომატია"; „ორი ქვეყნის ვარსკვლავი" - მეირ შავიტის სტუდია.

ზაირა დავარაშვილი

70 წლის იუბილესთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატია" ქალბატონ ზაირა დავარაშვილს აჯილდოებს საპატიო სიგელით - „სახალხო დესპანი" ქართველებისა და ებრაელების 26-საუკუნოვან მეგობრობაში უდიდესი წვლილისთვის.

საერთაშორისო ორგანიზაცია
„სახალხო დიპლომატიას"
პრეზიდენტი
ნინო ანდრონიკაშვილი

ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი

დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან

თიბისი ბანკი

0 901 500 540 ა/ნ GE88TB1117236080100001



გამოვიდა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ „რიწის" 2015 წლის პირველი ნომერი.

რუბრიკაში „მოყვარეს პირში უძრახე" დაბეჭდილია ალექსეი თარიას, რეზო ჭეიშვილისა და ზაურ კალანდიას წერილები.

რუბრიკაში „პოეზია" იხილავთ ემზარ კვიტაიშვილის, გენო კალანდიას, მურმან ხურცილავას, ქეთევან შენგელიას, პაატა შამუგიას და ჯემალ შონიას ლექსებს, ხოლო რუბრიკაში „პროზა" თქვენ წაიკითხავთ ლალი ბრეგვაძე-კახიანის, თორნიკე გოგნიაშვილის, ზაურ კოდუას მოთხრობებს და აპოლონ ჯინჯოლიას მინიატურებს.

რუბრიკა „ინტერვიუ" გთავაზობთ შეხვედრას დიმიტრი ჯაიანთან.

რუბრიკაში „პოეტის არქივიდან" იბეჭდება პოეტ ოთარ მიქაძის ესეისტური ხასიათის წერილები, „ახალ თარგმანებში" დაბეჭდილია გაბრიელ გარსია მარკესის „იცხოვრო, რომ მოჰყვე" და მთარგმნელის, ლანა კალანდიას მოსაზრებები მარკესისა და მისი შემოქმედების შესახებ.

რუბრიკაში „საგანძური" იხილავთ ბეჟან ხორავას წერილს ილორის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის შესახებ, ხოლო რუბრიკა „წერილები" გთავაზობთ თემურ შავლაძის, მურმან ჯგუბურიას და ნანა ქარდავას წერილებს. ჟურნალის ბოლოს განთავსებულია კულტურის ქრონიკა.

რომელ დაავადებებზე შეიძლება მიმართოთ პროფესორ ოთარ წიწილაშვილს?

ბიოლოგ ოთარ წიწილაშვილს ბუნებრივი, ფიტოთერაპიული მეთოდით მკურნალობის ორმოცდაათწლიანი გამოცდილება აქვს. დღეს, როცა კლასიკური მედიცინა ფიტოთერაპიასთან კომპლექსში თანამედროვე მედიცინის განუყოფელი ნაწილი გახდა, მისი მკურნალობის მეთოდები საუკეთესოა. ამიტომ ვისაც არ სურს ქიმიური პრეპარატების მიღება და ბუნებრივი გზით სურს განკურნება, შემდეგი დაავადებების დროს შეგიძლიათ მიმართოთ მას, ესენია:

- სასუნთქი სისტემის ორგანოების
- სისხლძარღვთა სისტემის
- საჭმლის მომნელებელი სისტემის
- შარდსასქესო სისტემის
- ნერვული სისტემის
- სისხლის დაავადებები
- ძვალ-სახსართა სისტემის
- კანის დაავადებები
- თვალის დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი
- ბუნებრივი კოსმეტიკა

ტელ.: 599 53 32 00; 2 14 26 73

ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი — ბევრ დროს დაუთმობთ დისკუსიას. ეს კვირა თქვენგან სრულ მობილიზებასა და პროფესიონალიზმს მოითხოვს. მოსალოდნელია შეხვედრა თქვენთვის საინტერესო პიროვნებასთან.

კურო — მიზანდასახულობა თქვენი მთავარი კოზირი იქნება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ოჯახურ ვახშამზე, გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, თავის მართლება მოგიწევთ.

ტყუპები — ფრთხილად იყავით, უადგილო ადგილას წუწუნით კარიერას საფრთხეს ნუ შეუქმნით. შესაძლოა, მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის წყალობითაც, თქვენ წინაშე ახალი პერსპექტივა გადაიშლება.

კირჩხიბი — პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები გელით. უარი თქვით ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც დიდი ხანია, სიამოვნებას აღარ განიჭებთ და ახალი რომანი გააბით.

ლომი — საუკეთესო კვირაა შემოქმედებითი პროექტების განსახორციელებლად და დიპლომატიური შესაძლებლობების გამოსავლენად. ძვირად ღირებული ნივთების შეძენისას თავშეკავება გმართებთ.

ქალწული — წარმატება გელით ყველა იმ საქმეში, რაც შემოქმედებით მოღვაწეობასთან, ლიტერატურასა ან ვაჭრობასთან იქნება დაკავშირებული.

სასწორი — სასიყვარულო ურთიერთობები გაგირთულდებათ და შეიძლება, ინტრიგაშიც გაეხვითო. პარტნიორს ეჭვიანობის საფუძველს ნუ მისცემთ. გამოიჩინეთ წინდახედულობა და ემოციებს არ აჰყვეთ.

მორიელი — თქვენს ცხოვრებაში წარმატებული პერიოდი დადგა, წინ სიურპრიზებით სავსე კვირა გელით. ეცადეთ, მაქსიმალურად იაქტიუროთ და ცხოვრება უკეთესობისაკენ შეცვალოთ.

მშვილდოსანი — დროა, იმიჯის შეცვლაზე იზრუნოთ და ახალი ტანისამოსი შეიძინოთ. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი საყვარელ ადამიანს დაუთმეთ.

უქმე დღეებში ქალაქგარეთ წადით და დაისვენეთ.

თხის რქა — ეს კვირა იდეალურია კარიერაში წინსვლისთვის. საშუალება მოგეცემათ, ახალი, მაღალანაზღაურებადი სამსახური იშოვოთ. კარგი კვირაა შოპინგებისათვის და გარდერობის გაახლებლად.

მერწყული — სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არაა. თუ რაიმე შეიცვლება, მხოლოდ სასიკეთოდ კვირის მეორე ნახევარი საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ და მას სიურპრიზი მოუწყვეთ.

თევზები — ამ კვირაში თავგადასავლებს, ფულს და საჩუქრებს ელოდეთ. ახალი ნაცნობობა ხანგრძლივ და მნიშვნელოვან ურთიერთობაში ნადაიზრდება, ამიტომ შეეცადეთ, ეს კვირა მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენოთ.

ISSN 2233-3983